ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 178 (12 553) 31 ივლისი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

Beijing 2008
ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 8 დღე



დღეს უეფაზე უნდა ვიყოჩაღოთ

წინასამატჩო ამბები
»»» 2

მესი: გპირდებით, პეკინში მიხილავთ

დაუსრულებელი კონფლიქტი
»»» 5



# მოვიდა, ნახა... გაიმარჯვა?

არგენტინელი თბილისში ორი დღე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გუშინვე შინ დაბრუნება გადაწყვიტა. ფედერაციაში გვითხრეს - შეთანხმება მიღწეულია და თუ პირველ აგვისტოს ალმასკომი კუპერის კანდიდატურას მოიწონებს, არგენტინელი მწვრთნელი ერთ კვირაში თბილისში დაბრუნდება.

კუპერის ერთდღიანი თავგადასავალი
»»» 8-9

# ზაზა მაიამიში?



ზაფხული ბუნებრივადაც და სატრანსფერო თვალსაზრისითაც ცხელი პერიოდია. დღეს ქართველ ლეგიონერებს შორის რამდენიმე თავისუფალი აგენტია, რომელიც ახალი კლუბის ძიებით არის დაკავებული. თუმცა კონტრაქტიან **ზაზა ფაჩულიასაც** შეიძლება მოუწიოს კლუბის შეცვლამ. მოქმედი ხელშეკრულების თანახმად, ქართველ ცენტრს "ატლანტასთან" კიდევ ერთი წელიწადი აკავშირებს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე სხვა გუნდში აღმოჩნდეს.

ამ მხრივ საგულისხმოა "ჰუპს ვორლდის" ჟურნალისტის ინფორმაცია - ზაზა შეიძლება "მაიამი ჰიტში" აღმოჩნდეს. "ატლანტას" მაიამელი ფორვარდის **შონ მერიონის** დამატება სურს და ამისთვის სამ კალათბურთელს თმობს - **ჯოშ სმიტს, სპიდი კლექსტონსა** და ზაზა ფაჩულიას. ისიც უნდა დავძინოთ, რომ სმიტი ამჟამად თავისუფალი აგენტია და თუკი საქმე გაცვლაზე მიდგება, "ჰოქსის" ხელმძღვანელობამ ჯოშს ჯერ ახალი კონტრაქტი უნდა გაუფორმოს და შემდეგ ჩართოს გაცვლაში.

ამ ტრანსფერზე "ჰუპს ვორლდში" მეტი არაფერი წერია. "ატლანტა ჯორნალ კონსტიტუშენი" კი უკვე დასრულებული ტრანსფერის შესახებ იუწყება. ჯორჯიელებმა 210 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრი **რენდოლფ მორისი** შეიძინეს, რომელიც ზაზას უშუალო კონკურენტი იქნება. რენდოლფის კონტრაქტი ორწლიანია, წლიური ხელფასი კი 1.7 მილიონი დოლარი გახლავთ.

დღეს ძნელია იმაზე ლაპარაკი, გაუწევს თუ არა მორისი კონკურენციას ფაჩულიას, მაგრამ "კონსტიტუშენმა" უკვე ჩაატარა გამოკითხვა, რომელსაც უნდა გაერკვია - **ელ ჰორფორდის** მძიმე ფორვარდის პოზიციაზე გადასვლის შემთხვევაში, სასტარტო ხუთეულში ცენტრის ადგილზე ზაზა ითამაშებდა თუ რენდოლფი. გამოკითხვაში მორისმა გაიმარჯვა, რომელსაც ხმების 51 პროცენტი ერგო. ზაზა 38 პროცენტით დაკმაყოფილდა (დარჩენილ 11 პროცენტს არც მორისის სჯერა და არც ზაზასი)...

იქნებ ფაჩულიასთვის მართლაც "მაიამიში" გადასვლა სჯობდეს. მით უმეტეს, რომ **ვლადიმერ სტეფანიას** სახით კარგი მაგალითი გვაქვს. ვოვამ 1998-2004 წლებში არაერთი კლუბი მოიარა და ყველაზე კარგი შედეგები სწორედ "მაიამი ჰიტში" ჰქონდა.

ვაჟა სიმონიშვილი

# წავიდა, ნახა, წააგო

UEFA CHAMPIONS LEAGUE

0:3

პანათინაიკოსი-დინამო
»»» 2



კრშკოს (მარცხნივ) ივანშიტცი გაექცა

# საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს უკვე ჰყავს პრეზიდენტობის გამოკვეთილი კანდიდატი



ინტერვიუ
გია ნაცვლიშვილთან
»»» 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

**პანათინაიკოსი–დინამო**
საბერძნეთი საქართველო

**3:0**

30.07. ათენი. ოლიმპიური
45 000 მაყურებელი

1:0 ივანშიტცი (23), 2:0 , 3:0 სალპინგიდისი (44, 73).

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, სარიეგი, ვინტრა, ნილსონი (გაბრიელი 46), სპიროპულოსი, სიმაო, მარსელო (ხრისტოდულოპულოსი 46), ნინისი, ივანშიტცი, სალპინგიდისი, მანციოსი (რუკავინა 79)

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ინწკირველი (თომაშვილი 20), გ. კაშია, კრშკო, დილმელაშვილი (ნერგაძე 66), ხმალაძე, გველესიანი, ფირცხალავა, ოდიკაძე, ჯიუსტი (სპასოევიჩი 46).

გაფრთხილება: ინწკირველი, გველესიანი, ხმალაძე, შ. კაშია.

მსაჯი: ბრუნო პაიშაო (პორტუგალია)

# დინამომ სათბილისო შანსი არ შეირჩინა

„გაჭედა" – ეს ჟარგონული სიტყვა ყველაზე ხშირად გვესმის, როდესაც ჩვენი ტელევიზიების „წყალობით" ქართული გუნდის საგარეო შეხვედრას ინტერნეტით ვადევნებთ თვალს. საერთაშორისო ქსელის სიჩქარე საქართველოში ჯერაც ვერ არის სათანადო, ამიტომაც ხშირად „ჭედავს".

თამაშის დასრულებას არაფერი უკლდა, ორი კომპენსირებული წუთიც ის იყო მიილია, რომ **დავით ოდიკაძეს** მეტოქის საჯარიმოში, ყველასთვის მოულოდნელად, ძალზე ხელსაყრელ სიტუაციაში მიუვიდა ბურთი. ეს არ იყო კლასიკური ტეტ-ა-ტეტ მეკარესთან, მაგრამ აღარც ბევრი უკლდა. ოდიკაძემ კი დაარტყა, მაგრამ რალაცნაირად, სუსტად – მოკლედ, ვერ იყოჩაღა. აი, მანამდე კი „დინამოს" სამჯერ გაუტანეს.

ოდიკაძის გოლი ალბათ ბევრს ვერაფერს შეცვლიდა საბოლოო ჯამში - მეტისმეტად დიდია „პანათინაიკოსა" და „დინამოს" ფეხბურთელთა კლასში სხვაობა - მაგრამ გულშემატკივარს 6 აგვისტომდე იმედს ჩაუსახავდა. **რაინერ ცობელის** გუნდი პირველ ტაიმში ზვარაკად შესაწირს ჰგავდა, არადა, ჯერაც სათამაშო კონდიციებამდე ვერმისული „პაოც" გადასარევს ვერაფერს აჩვენებდა. უბრალოდ, „დინამოს" უსუსური ნახევარდაცვა მოედნის ცენტრში გატეხა, ბურთს აკონტროლებდა და ქართველთა დაცვის მარჯვენა ფლანგს აწიოკებდა. უკვე მე-20 წამზე (!) ბერძენთა თინეიჯერ **სოტირის ნინისს** თავხედური იდეა მოუვიდა თავში, მისი ძალზე შორეული დარტყმა კი მოიგერია **დიდიე ოვონომ**, მაგრამ ყველა მივხვდით, რომ დაიწყო - ამხელა უპირატესობა უნდა ასახულიყო გოლებში და ასეც მოხდა – ავსტრიელმა **ანდრეას ივანშიტცმა** რაც მეტოქეებს ევრო 2008-ზე დააკლო, ჩვენთან აანაზღაურა. მოთმინებით ელოდა მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს და მცველთაგან მიტოვებულმა დააწინაურა თავისიანები.

44-ე წუთზე **გურამ კაშიამ** ფლანგზე „გაატარა" მეტოქე, რომლის ჩაწოდებულსაც ახლო მანძილიდან ოვონოს კარის დალაშქვრა მოჰყვა: გოლი **დიმიტრის სალპინგიდისმა** დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

პირველი ტაიმი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. სტატისტიკა ბევრზე მეტყველებს, ჩვენები სულ სამჯერ დაემუქრნენ მეტოქის კარს, სახიფათოდ – ვერც ერთხელ. ოვონომ ორი გაუშვა და ექვსჯერ მოიგერია ბურთი. „პაოს" ხუთი კუთხური ჩვენი ოთხი ყვითლის წილ.

მეორე ტაიმი დაიწყო ერთი ცვლილებით: ცობელმა გარისკა ჩერნოგორიელი ფორვარდის, **ილია სპასოევიჩის** გამოყვანა კამერუნელი **ჯიუსტის** ნაცვლად. ილია „დინამოს" რუხ, უსახურ გუნდში ნამდვილად ნათელი წერტილი აღმოჩნდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა „დინამოს" კიდევ ერთი საკვანძო ფეხბურთელი აკლდა - **გიორგი მერებაშვილი**. სპასოევიჩს ორჯერ, 51-ე და 71-ე წუთებზე გატანაც შეეძლო. მას თითქმის ვერ უმაგრებდნენ ზურგს, მაგრამ ილია მაინც იბრძოდა და რალაცას ქმნიდა. სხვა საქმეა, რომ ეს ცოტა იყო, მაგრამ „პანათინაიკოსის" მცველებს და გოლკიპერსაც საქმე მიეცათ. „დინამოს" უსახურობა ბოლოს დიდიე ოვონოსაც გადაედო და ერთი სერიოზული შეცდომა მანაც დაუშვა - **სპიროპულოსის** ჩაწოდება-პარაშუტი უნიათოდ მოიგერია და სალპინგიდისმაც დუბლი მიითვალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დღეს. უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ვიტ ჯორჯია-ტრნავა (პირველი მატჩი 2:2)

# მოდით! მოდით!

**სლოვაკური** დელეგაცია თბილისს გუშინ ესტუმრა ჩარტერული რეისით. ფეხბურთელთა და მწვრთნელთა გარდა, საქართველოს "ტრნავას" შვიდი ხელმძღვანელი პირი და ერთი ჟურნალისტი ეწვია. სლოვაკები სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდნენ.

საღამოს ხუთ საათზე დანიშნული პრესკონფერენცია არ ჩატარდა, თუმცა ამით არაფერი დაშავებულა. "ტრნავას" მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვერმეზოვიჩმა ჟურნალისტთა შეკითხვებს "მიხეილ მესხის" მოედანზევე უპასუხა.

- ვიცოდი, რომ "ვიტ ჯორჯია" ბრძოლისუნარიანი გუნდი იყო, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა. მეტოქის შეუფასებლობას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ თამაში ისე წარიმართა, რომ ფრეც სანატრელი გაგვიხდა. ძალიან გამაკვირვა ქართველთა ასეთმა ტაქტიკურმა განსწავლულობამ და ფიზიკურმა მომზადებამ.

**- თბილისს საუკეთესო შემადგენლობით ეწვიეთ?**

- დიახ, ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში გვყავს და "ვიტ ჯორჯიას" ოპტიმალური შემადგენლობით დავუპირისპირდებით.

**- შანსებს როგორ შეაფასებდით?**

- "ვიტ ჯორჯიამ" სლოვაკეთში დადებით შედეგს მიაღწია, მაგრამ ეს არაფერს წყვეტს. ყველა შეკითხვას პასუხს თბილისური მატჩი გასცემს. ვფიქრობ, ორივე გუნდს მომდევნო ეტაპზე გასვლის თანაბარი შანსი აქვს. "ვიტ ჯორჯიას" ისეთი მრავალფეროვანი ტაქტიკური არსენალი აქვს, რომ ამ გუნდისგან სიურპრიზები არც განმეორებით შეხვედრაშია გამორიცხული.

ვერმეზოვიჩთან გასაუბრების შემდეგ "სპარტაკის" ვარჯიშიც დაიწყო. განსაკუთრებული არაფერი გვინახავს. სტუმრები 45 წუთში დიდად არ დატვირთულან, არც ორმხრივად უთამაშიათ.

შესაძლოა, ორმხრივ თამაშს აპირებდნენ კიდეც, მაგრამ 45 წუთის შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" წარმომადგენლებმა ტრნაველებს გასახდელისკენ მიუთითეს და, სავსებით სამართლიანადაც, რადგან სლოვაკეთში ქართველებისთვის ამაზე მეტი სავარჯიშო დრო არ მიუციათ.



ვიტელები სტარტზე არიან - ტრნავას უნდა მოვუგოთ — ავტორის ფოტო

## ჯორჯია ქომაგს უხმობს

"ვიტ ჯორჯიას" ვარჯიშმა კი დაახლოებით ერთ საათს გასტანა. ვეტერინარები უფრო ინტენსიურად დაიტვირთნენ. მათი წვრთნა მრავალფეროვანი იყო, სხვადასხვა კომპონენტის დახვეწაზე **ნესტორ მუმლაძის** ფეხბურთელებმა ბევრი იმუშავეს.

**ნესტორ მუმლაძე:**

- შესანიშნავ განწყობილებაზე ვართ. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება. ვიცით, რომ წინ დიდი ბრძოლა გველის, სადაც გადამწყვეტი სიტყვა შეიძლება გულშემატკივრის აქტიურობამ თქვას. სლოვაკეთში "ტრნავამ" თამაში სწორედ ერთგული ქომაგების მხარდაჭერით გადაარჩინა. იმედია, ქართველი გულშემატკივრები მხარში დაგვიდგებიან და გამარჯვებას ერთად ვიზეიმებთ. ყველას ძალიან გვინდა, სტადიონზე რამდენიმე ათასი ქომაგი შეიკრიბოს.

**- საკადრო პრობლემები ხომ არ გაწუხებთ?**

- არა, საბედნიეროდ, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა.

**- შემადგენლობაში ცვლილებები თუ იგეგმება?**

- ამას უშუალოდ მატჩის წინ გადავწყვეტ, მაგრამ არა მგონია, ძირითად შემადგენლობაში რამე შეიცვალოს. იმედია, იძულებითი ცვლილებების განხორციელება არ მოგვიწევს.

**.- როგორ თამაშს ელით?**

- იქიდან გამომდინარე, რომ სტუმრებს გოლის გატანა სჭირდებათ და "ვიტ ჯორჯიაც" არ თამაშობს ჩაკეტილ ფეხბურთს, ალბათ მაყურებელი ლაღ და სანახაობრივ ფეხბურთს იხილავს. შეიძლებოდა, სლოვაკეთში უფრო უკეთესი შედეგისთვისაც მიგვეღწია, მაგრამ როგორც ჩანს, კონცენტრაცია დაგვაკლდა.

**- ორი წლის წინათ ასევე სლოვაკურ "არტმედიას" შეხვდით. რა სხვაობაა ამ ორ გუნდს შორის?**

- სტილი მსგავსი აქვთ, მაგრამ "არტმედია" "სპარტაკზე" გაცილებით ძლიერი გუნდი იყო.

"ვიტ ჯორჯიას" მთავარი მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილიც** გულშემატკივარს სტადიონზე მისვლისკენ მოუწოდებს:

- ქომაგებს ჩემი და თანაგუნდელების სახელით ვპირდები, რომ იმედებს არ გავუცრუებთ. მესმის, რომ ყელში ამოვიდა ამდენი მარცხი, მაგრამ გვჯერა, მომდევნო ეტაპზე აუცილებლად გავალთ. "ტრნავა" მებრძოლი, დისციპლინირებული გუნდია, მაგრამ დაუმარცხებელი ნამდვილად არაა..

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი-დიორი (პირველი მატჩი 1:1)

# ილბალი ბევრს გადაწყვეტს

**„ზესტაფონი" უნგრულ „დიორს" უმასპინძლებს და ისტორიის შექმნას შეეცდება. ზესტაფონური კლუბი ევროთასების მეორე ეტაპზე ჯერ არ გასულა, მაგრამ ყველაფერი ხომ ოდესღაც პირველად ხდება...**

სანამ „დიორი" საქართველოში ჩამოფრინდებოდა, „ზესტაფონის" ცენტრალურ სტადიონზე მასპინძლებმა ივარჯიშეს. ზესტაფონელებმა ვარჯიში 16:20 წუთზე დაიწყეს. გახურებისა და მცირე მოთელვების შემდეგ **თემურ მახარაძემ** გუნდი ორად გაყო და მოედნის ნახევარზე ერთმანეთს დაუპირისპირა. წვიმიან და გრილ ამინდში ფეხბურთელები იმდენად შეიჭრნენ როლებში, რომ ერთმანეთის ფეხებში ჩარტყმასაც არ ერიდებოდნენ. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და თუ არ ჩავთვლით გაუჩინარებულ პოლ კესანს, გუნდი პრინციპულ მატჩს ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება.

თემურ მახარაძემ ფეხბურთელები პენალტებშიც ავარჯიშა, როგორც ჩანს ზესტაფონელთა დამრიგებელი თერთმეტმეტრიანების სერიასაც არ გამორიცხავს და წინასწარვე იჭერს თადარიგს.

ვარჯიშის შემდეგ „ზესტაფონის" ფეხბურთელებს გავესაუბრეთ.

**როინ კვასხვაძე:**

- პირველ შეხვედრაში სასურველ შედეგს მივაღწიეთ და ხვალინდელ მატჩში ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. ვეცდები, კარი მშრალად შევინახო. კარგი იქნება, თუ გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო არ გახდება საჭირო.

**- თუ არის „დიორში" ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება?**

- რამდენიმე კარგი ფეხბურთელი ჰყავთ, მაგრამ ბაიზაქს მაინც გამოვყოფდი, ძალისმიერი ფეხბურთელია და პირველ მატჩში სულ დაძაბულობაში გვამყოფებდა, თუმცა არც მას და არც „დიორს" ჩვენ არ ვუფრთხით. დასათმობი არაფერი გვაქვს და ყველაფერს ვილონებთ, რომ მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულოთ.

**ჟილვან ვიეირა:**

- ხვალ სერიოზული თამაში გველის. შემდეგ ეტაპზე გასვლის დიდი შანსი გვაქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ. „დიორი" საკმაოდ ძლიერი გუნდია, მისი გატეხა რთული იქნება, თუმც კარგ ფორმაში ვართ და ვეცდებით, მოწინააღმდეგეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს. ზურგს ერთგული ფანებიც გაგვიმაგრებენ და მათი მხარდაჭერის პირობებში ათმაგად მოვინდომებთ. დარწმუნებული ვარ, ხვალ სტადიონი ბოლომდე შეივსება.

რაც შეეხება „დიორს," უნგრელები საქართველოში 17:00 საათზე ჩამოფრინდნენ და მცირეოდენი ფორმალობების შემდეგ კოპიტნარიდან პირდაპირ ზესტაფონისკენ აიღეს გეზი. სტუმრებმა განმეორებითი მატჩისთვის საქართველოში ტრამვების გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი, **შტარკი** და გოლის ავტორი **ბორორი** ვერ იახლეს. ერთ საათში მათი ვარჯიში დამთავრდა და ჩვენ „დიორის მთავარ მწვრთნელ **შანდორ ეგერვართან** გასაუბრების საშუალება მოგვეცა.

- პირველ შეხვედრაში „ზესტაფონმა" ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სტუმრებს 1:0 მიჰყავდათ და დიდი შანსი იყო იმისა, რომ მატჩი წაგვეგო, მაგრამ ჩემმა გუნდმა მობილიზება შეძლო, ანგარიში გაათანაბრა და განმეორებითი შეხვედრისთვის შანსები დაიტოვა. ხვალინდელ მატჩში შევეცდებით, შეცდომები აღარ გავიმეოროთ და მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულოთ. ვიცი, ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება, მაგრამ ჩვენ ცდას არ დავაკლებთ.

**- ზესტაფონის სტადიონი და მოედნის საფარი როგორ მოგეწონათ?**

- კოხტა სტადიონია და როგორც მითხრეს, ხვალ ბოლომდე შეივსება. წვიმის მიუხედავად, ბალახიც კარგ მდგომარეობაშია და ფეხბურთელებს ვარჯიშის დროს პრობლემა არ ჰქონიათ.

**- მეტოქე ფეხბურთელებისგან ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

- მომეწონა ბრაზილიელი ლეგიონერები, განსაკუთრებით ვიეირა... საერთოდ „ზესტაფონი" ყველა რგოლში თანაბრად ძლიერია. ხვალ ორი თანაბარი დონის მეტოქის დაპირისპირება იქნება და ილბალი ბევრ რამეს გადაწყვეტს...

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.** *ნომრის მორიგე რედაქტორი* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო საკითხი. ინტერვიუ კახა კალაძესთან

# სეგრტი უფრო მომგებიანი და სასარგებლოა

**გერმანელი** ფოლკერ ფინკეს შემდეგ, გუშინ თბილისში ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთი კანდიდატი ექტორ კუპერი გვეწვია, რომლის ვიზიტიც ასევე გაცნობითი ხასიათის იყო. მესამე კანდიდატი კი პეტარ სეგრტია, რომელიც უკვე ორი წელიწადია საქართველოშია და აქაურობასაც კარგად იცნობს.

როგორც არაერთხელ ითქვა, ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს ხვალ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი დაამტკიცებს. საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ეროვნულის კაპიტანი კახა კალაძე ამ საკითხზე. მას გუშინ იტალიაში დავუკავშირდით.

- სამწუხარო რეალობაა, ეროვნულ ნაკრებს აქამდე არ ჰყავს ახალი თავკაცი. დრო ცოტაა, 20 აგვისტოს უელსში ამხანაგური მატჩი გვაქვს, 6 სექტემბერს კი ახალი შესარჩევი ციკლის პირველი მატჩი გველის.

**- 1-ელ აგვისტოს სამი კანდიდატიდან აღმასკომი ერთს შეარჩევს და დაამტკიცებს. კუპერი, ფინკე თუ სეგრტი, შენ რომელს აირჩევდი?**

- კუპერსა და ფინკეს სეგრტს ვამჯობინებდი და ამას თავისი ახსნა გააჩნია...

**- რატომ? იქნებ დაგვიკონკრეტო...**

- ზემოთაც აღვნიშნე, დრო ცოტაა, ფაქტობრივად ერთ თვეში შესარჩევ ციკლს ვიწყებთ. მწვრთნელი კი, რაც უნდა მაღალი კვალიფიკაციის იყოს, ჯადოქარი არაა, უმალ რომ გაერკვეს ვითარებაში და ოპტიმალური შემადგენლობითა და ძლიერი გუნდით დავუხვდეთ ირლანდიას. ამ სამი კანდიდატიდან სეგრტი უკეთ იცნობს ჩვენს ფეხბურთელებს, იცის მათი შესაძლებლობები. ხორვატი მონდომებული კაცია, სულს და გულს დებს ვარჯიშებსა და თამაშებში. ეროვნულ ნაკრებში უკვე არიან და მალე კიდევ მეტი ფეხბურთელი მოვა, რომლებიც სწორედ სეგრტის ახალგაზრდულ ნაკრებში მოემზადნენ ეროვნულისთვის. სეგრტის წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ მუდმივად საქართველოში ცხოვრობს, რეგიონებში დადის, ჭიათურაში, ახალციხეში, საჩხერეში... და იქაც კი ეძებს ნიჭიერ ფეხბურთელებს.

**- კუპერს რას უწუნებ?**



- კუპერს ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს, არგენტინელი მართლაც მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელია. მაგრამ საკითხავია, ვართ კი ამ ეტაპზე მზად ასეთი დონის მწვრთნელისთვის?

**- რას გულისხმობ?**

- თუ მხოლოდ ის გვინდა, რომ სახელოვანი მწვრთნელი გვყავდეს და სათანადო შედეგი არ გვქონდეს... ჩემი აზრით, ჯერ ის უნდა განვსაზღვროთ, რა გვინდა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ნაკრების თავკაცად სეგრტის დატოვება უფრო მომგებიანი და სასარგებლო იქნება. ბარემ ფინკეზეც ვიტყვი: ეს მწვრთნელი წლების განმავლობაში „ფრაიბურგში" მუშაობდა და კუპერზე მეტად იცნობს ქართულ ფეხბურთს, ნაკრების მოთამაშეებს, საქართველოშიც იყო და გარემოს, ინფრასტრუქტურას გაეცნო. ერთი სიტყვით, სამივე კანდიდატს თავისი პლუს-მინუსი აქვს, მაგრამ ამ ეტაპისთვის არჩევანის სეგრტზე გაკეთება უფრო რეალური და სასარგებლოა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ლექსო თოფურიასთან

# კოლხიდა საზოგადოებრივ მაუწყებელს დაუამხანაგდა

## ლოკომოტივის მიზანი ჩემპიონობაა

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ, როცა ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა და რკინიგზის შეფი აკაკი ჩხაიძე საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივს" ჩამოსცილდა, ამ გუნდის ამბიციებმა იკლო - ბოლო წლების „ლოკომოტივი" დიდი ვერაფერი გუნდი იყო, თუმცა კლუბში ბევრი რამ უკვე ისე შეიცვალა, რომ დამდეგ სეზონში საქართველოს ჩემპიონობას უმიზნებს.

ახალი, „ვარდების" შემდგომი „ლოკომოტივი" 2004 წლის ზაფხულში შეიქმნა. კლუბის აქციათა 75 პროცენტი საქართველოს რკინიგზიდან კომპანია Silk Road-მა შეიძინა, 25 პროცენტი კი კერძო პირმა - ირაკლი მაჭავარიანმა. თუმცა „ლოკომოტივს" ფაქტობრივად ერთადერთი დამფინანსებელი ჰყავს - Silk Road.

„ლოკომოტივის" პრეზიდენტი ლექსო თოფურია გახლავთ, საკმაოდ საინტერესო კაცი ქართულ ფეხბურთში, თუნდაც იმიტომ, რომ მედიაპროექტ „კოლხიდას" ერთ-ერთი ინიციატორია. თოფურიას ჯერ კლუბის ზოგად სტრატეგიაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა და მერე სხვა საკითხებსაც შევეხეთ.

- რასაკვირველია, გვაქვს ჩვენი გეზი, პრიორიტეტები, თუ რაში უნდა ჩავდოთ ფული. ყოველივე ამას თავისი საფეხურები აქვს. გვყავს გუნდი ყველა ასაკობრივ ლიგაში და გვაქვს საფეხბურთო სკოლაც, რომელიც „ბარსელონის" ტალანტების მოძიების სისტემაში შედის. ბარსელონელი მწვრთნელი პერიოდულად ჩამოდის და ამოწმებს ჩვენი სკოლის სტრუქტურას, ყოველწლიურად მიჰყავს ერთი გამორჩეული ბავშვი „ბარსელონის" სკოლაში - ამ პროექტით პირველად იქ ლევან ყენია წავიდა.

**- საქართველოში არის ერთი-ორი გუნდი, რომელიც მკაცრ საკლუბო პოლიტიკაშია მოქცეული. „ლოკომოტივს" კი თითქოს მკვეთრი გეზი არ გააჩნია...**

- როცა კლუბი მეტწილად საკუთარ კადრებს ეყრდნობა, ეს სწორი სტრატეგიაა, თუმცა მიმაჩნია, რომ მხოლოდ საკუთარ წვენში არ უნდა იხარშებოდე - თუ სხვა კლუბში აღმოაჩენ ნიჭიერ ფეხბურთელს, ისიც უნდა დაიმატო.

**- „ლოკომოტივში" ბოლო დროს ისეთი ფეხბურთელები გამოჩნდნენ,**



ლექსო თოფურია

**რომ ალბათ კლუბის წლიური ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ საკითხს როგორ აბალანსებთ?**

- ჩვენი ბიუჯეტი წლიდან წლამდე იცვლება. ახლახან ბიუჯეტი იმიტომ გავზარდეთ, რომ „ლოკომოტივში" აღმოჩნდნენ რატი ალექსიძე, ვიტალი დარასელია და ლევან ცქიტიშვილი. დარასელია და ალექსიძე დამდეგ სეზონშიც ჩვენთან რომ დარჩებიან, გადაწყვეტილია და იმედი მაქვს, ცქიტიშვილიც „ლოკომოტივში" გააგრძელებს თამაშს. ვფიქრობ, ალექსიძის ფეხბურთში დაბრუნება მისასალმებელი ფაქტია.

**- კიდევ ერთი საინტერესო ტრანსფერიც განახორციელეთ - კულუარული ინფორმაციით, ირაკლი ჩირიკაშვილის თბილისის „დინამოდან" გამოსყიდვა 45 ათასი დოლარი დაგიჯდათ...**

- „დინამოს" ჩირიკაშვილში საკომპენსაციო თანხა ეკუთვნის, რომლის ოდენობა ჯერ არ არის გადაწყვეტილი. 45 ათასი მაქსიმალური თანხაა, რომელიც ალბათ დაიწევს, „დინამოსთან" საბოლოოდ ჯერ შეთანხმებული არ ვართ. „ლოკომოტივში" დაბრუნდა გიორგი კახელიშვილი, ჩვენთან მოვიდნენ მეკარეები - კონსტანტინე სეფიაშვილი და ზურაბ ბათიაშვილი, ნახევარმცველი გიორგი ჭელიძე.

**- ასეთი კონტინგენტით რას უმიზნებთ დამდეგ სეზონში?**

- საქართველოს ჩემპიონობას! ზემოთ ნახსენები ფეხბურთელების გარდა, არაერთი ძლიერი მოთამაშე გვყავს, თუნდაც ირაკლი სამხარაძე, - ძალიან ნიჭიერია, ოღონდ ბევრი გაუცდა და მალე ოპტიმალურ ფორმაში იქნება. პერსპექტიული შემტევები არიან ბარბაქაძე და დავით ჩაგელიშვილი, მოკლედ, საჩემპიონო ბრძოლისთვის მზად ვართ.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენი გუნდი იბრძოლებს ჩემპიონობისთვის?**

- სამწუხაროდ, ასეთი გუნდი ბევრი არ იქნება, ალბათ, ხუთ გუნდს ექნება დანარჩენებზე მნიშვნელოვნად მეტი ბიუჯეტი. არ ვიცი იმ კლუბების შესაძლებლობები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ისე, ჯობს, კერძო კლუბი უფრო მეტი იყოს - ასე უკეთესად განვითარდება ფეხბურთი.

**- დამდეგი სეზონის ბოლოს უმაღლესი ლიგის საპრიზო ფონდი, 2 000 000 ლარი გუნდებზე შედეგის მიხედვით განაწილდება - როგორ მიგაჩნიათ, ეს მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება კლუბისთვის?**

- ეს ფეხბურთის განვითარებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. კლუბი, რომელიც, დავუშვათ, წელიწადში მილიონ ლარს ხარჯავს და სეზონის ბოლოს საპრიზო ფონდიდან 300 000 ლარს მიიღებს, ამით ვერ გამდიდრდება, თუმცა კლუბის მეპატრონისთვის ეს დიდი სტიმული იქნება: ის იგრძნობს, რომ საქმეში მარტო არ არის და მას ვიღაც ეხმარება. ამით სხვებსაც გაუჩნდებათ საფეხბურთო კლუბის შექმნის სურვილი. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში თვითონ პრეცედენტს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

**- საგურამოში საფეხბურთო ბაზას აშენებთ და ამ საქმეში თქვენი პარტნიორი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა. ისე ჩანდა, გასულ სეზონში ბაზის მშენებლობას უფრო მეტი თანხა მოახმარეთ, ვიდრე გუნდს, რომელიც არგავარდნისთვის იბრძოდა...**

- ინფრასტრუქტურის გარეშე ძნელია სერიოზული მიზნების დასახვა. ბაზის მშენებლობის პირველი ფაზა დასრულებულია და გუნდს უკვე შეუძლია იქ ორჯერადი ვარჯიშების გამართვა. დანარჩენი იმაზეა დამოკიდებული, ფეხბურთის ფედერაცია რამდენად დაიხარჯება ამ პროექტში. „ლოკომოტივმა" კი წინა სეზონში დასახული მიზანი შეასრულა - უმაღლეს ლიგაში დარჩა.

**- ალბათ ყველასთვის საინტერესოა, რა თანხად დაუთმო „ლოკომოტივმა" ლევან ყენია გელზენკირხენის „შალკეს".**

- ტრანსფერის თანხა ამ დროისთვის კონფიდენციალურია, რადგან რაღაცრაღაცები ბოლომდე ჯერ გარკვეული არ არის „შალკესთან".

**- მედიაპროექტი „კოლხიდა" თქვენი ინიციატივით ამუშავდა. რამდენად წარმატებულად მოხდა ამ პროექტის გაყიდვა გასულ სეზონში?**

- ეს პროექტი მართლაც Silk Road-ის ძალისხმევით განხორციელდა, კომერციალიზაციის გარეშე ხომ ფეხბურთი ვერ განვითარდება. „კოლხიდის" ნაწარმი ტელეკომპანია „მზეზე" გადიოდა, მაგრამ არ იყიდებოდა, საცდელ ფაზაში ვიყავით. როცა „კოლხიდა" მოგებაზე გადავა, 60 პროცენტი კლუბებზე გადანაწილდება. ახლა 3-4 კომპანიასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ეროვნული ჩემპიონატის დასპონსორებაზე. ფორმდება ხელშეკრულება საზოგადოებრივ მაუწყებელთან - დამდეგი სეზონიდან ამ ტელეარხზე გამოჩნდება „კოლხიდის" პროდუქცია - შაბათ-კვირას მატჩების ტრანსლაცია იქნება, ორშაბათს კი ტურის ერთსაათიანი მიმოხილვა.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ჩემპიონატი

# ვინ აქტიურობს, ვინ პასიურობს



დამდეგი სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრანსფერი: ოლიმპს გიორგი სეთურიძე მეორე ბუნდესლიგიდან დაუბრუნდა

**ხვალ** საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩებით ახალი სეზონი იწყება. მართალია, ევროტურნირებზე მოასპარეზე ჩვენს გუნდებს („ლოკომოტივს", „დინამოს", „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას") ოფიციალური შეხვედრების ჩატარებამ უფრო ადრე მოუწიათ, მაგრამ რასაც აქაური სეზონის გახსნა ჰქვია, ეს ხვალ იქნება. იმასაც შეგახსენებთ, რომ საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი უჩვეულოდ გვიან - 23 აგვისტოს იწყება და ჩემპიონატში მონაწილე გუნდებშიც, ალბათ, კიდევ არაერთი ცვლილება მოხდება - სატრანსფერო ფანჯარა ხომ 31 აგვისტოს იხურება. თუმცა გუნდების უმრავლესობამ დაკომპლექტება დაასრულა და ვისაც საშუალება ჰქონდა, მოსამზადებელი ეტაპიც შეძლებისდაგვარად გამოიყენა. ახლა კი არსებულ ვითარებაზე ვილაპარაკებთ და თითოეული გუნდის სატრანსფერო აქტივობასა თუ მიზნებს შევაფასებთ.

## დინამო

ყველასთვის მოულოდნელად, ქვეყნის ჩემპიონს სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობა არ გამოუჩენია: აზერბაიჯანიდან დაბრუნებული **ალექსანდრე ინწკირველი** და „ბორჯომში" განათხოვრებული **დონალდ ჯიუსტი** დაიმატა და მორჩა! ისიც გავიხსენოთ, რომ გასინჯვაზე მყოფი ორი ჩეხი და ერთი ბოსნიელი მცველი გუნდს არ გამოადგა. ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ, ჩემპიონატის დაწყებამდე „დინამოში", სულ მცირე, ორი-სამი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კონკურენტები უსაქმოდ ნადვილად არ არიან. ჰო, მთავარი კინალამ დაგვავიწყდა: „დინამოს" ახალი მწვრთნელი ჰყავს - გერმანელი **რაინერ ცობელი**.

## ვიტ ჯორჯია

ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა საკლუბო ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და აქცენტი ისევ საკუთარ აღზრდილებზე გააკეთა. ისე, მართლაც, უცნაურია - გუნდიდან ყოველი ექვსი თვის მერე წამყვანი ფეხბურთელები მიდიან, მაგრამ მიზანი და ამბიცია არ იცვლება. ახლაც იგივე სიტუაციაა - **პავლე დათუნაიშვილისა** და **ზაზა სახოკიას** სრულფასოვნად შეცვლა ბევრ ახალგაზრდა „ვეტერინარს" შეუძლია. ახალწვეული კი ჯერჯერობით ერთია - ახალგაზრდა ფორვარდი **ვახტანგ კვარაცხელია**.

## ზესტაფონი

თასის მფლობელმა და ბრინჯაოს მედალოსანმა რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი დაიმატა, რომელთა შორის, უპირველესად, **ბოიომო ფრიდოლინი** და **ერიკ-რომეო ჩასემი** უნდა ალვნიშნოთ. ორივე კამერუნელი, უკვე წლებია, საქართველოში თამაშობს და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ურიგო ფეხბურთელებად არ მიიჩნევა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ **თემურ მახარაძე** ალბათ ამ სეზონშიც გააგრძელებს გუნდის გაახალგაზრდავების პროცესს. ასე რომ, ძირითად შემადგენლობაში, ალბათ, ხშირად ვიხილავთ პერსპექტიულ ფეხბურთელებს (**ძარია, გორგიაშვილი, საცერაძე, სტეფანიშვილი**). თუმცა მეორე მხრივ, დანაკლისიც სერიოზულია - **ედიკ საჯაია, გიორგი ხიდეშელი** და **გოგა ფიფია** ნებისმიერ ქართულ გუნდს გააძლიერებდა. თანაც, ამ დროისთვის კვლავაც ბუნდოვანია გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, გაბონელი **პოლ კესანის** საკითხი (მისი თანამემამულე **ეტიენ ბიტოო** არც არავის ახსოვს).

## ოლიმპი

აი, სატრანსფერო პერიოდის „ერთპიროვნული ლიდერიც" - რუსთაველმა კლუბმა არნახული აქტივობა გამოიჩინა და უკვე დღესვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი შემადგენლობით „ოლიმპი" ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნება. **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდს ამხანაგური მატჩებიც არ აკლდა, ნაყოფიერი შეკრებაც გაიარა და ახლა ყველა მაღალი შედეგის მოლოდინშია. რაც შეეხება ახალწვეულებს, ვფიქრობთ, რომ თითქმის ყველა მათგანი უდავოდ გააძლიერებს „ოლიმპს": **გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი, გიორგი ფეიქრიშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, გია მეგრელაძე, კოკა მიკუჩაძე, გაგა ჩხეტიანი, დენის დობროვოლსკი, გიორგი გაბიდაური, ნოდარ მაჭავარიანი**, - მოკლედ, ლამის მთელი გუნდია. თანაც, თუ **დავით დევდარიანიც** დარჩება გუნდში, მაშინ „ოლიმპის" ფავორიტობაზე საკამათო ალბათ აღარაფერი უნდა იყოს.

## მესხეთი

წინა სეზონის დებიუტანტი, ალბათ, არც საიუბილეო ჩემპიონატში შეირცხვენს თავს. ყოველ შემთხვევაში, „მესხეთში" კარდინალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის და მთავარი მწვრთნელის, **კობა თედიაშვილის** განკარგულებაში კვლავაც შარშანდელი ბირთვი იქნება. პოტენციურ ახალწვეულებს რაც შეეხება, ვფიქრობთ, რომ **ბორის გონჩაროვს, ვლადიმერ გოჩაშვილს, გიორგი მემარნიშვილსა** და **ბექა ჟღენტს** „მესხეთისთვის" ბევრი სარგებლის მოტანა შეეძლებათ.

## მგლები

რამდენიმე დღის წინ დავწერეთ, რომ ზუგდიდიდან ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები მოდიოდა. ერთი ხანობა, „მგლებს" დაფინანსების პრობლემა ჰქონდა და მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზიაც** გუნდიდან წავიდა. ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ „მგლებს" უმაღლეს ლიგაში მეორე ზუგდიდური გუნდი „ბაია" (წელში გამართული და ამბიციური) ჩაანაცვლებდა. ისიც გაჟღერდა, რომ „მგლები" და „ბაია" შესაძლოა გაერთიანებულიყვნენ. მოკლედ, ერთობ ბუნდოვანი სიტუაციაა, თუმცა ბოლო ინფორმაციით, უმაღლესში ალბათ მაინც „მგლები"ითამაშებს.

## ბორჯომი

ბოლო წლების „აბსოლუტური რეკორდსმენი" ტრანსფერებში - **ვლადიმერ ხაჩიძე** ყოველ ექვს თვეში ახალ გუნდს აკეთებს. ეგ კი არა, იმასაც მივეჩვიეთ, რომ „ბორჯომი" ზედ ჩემპიონატის სტარტის წინ ასრულებს დაკომპლექტებას და მთავარი მწვრთნელიც... ზედ თამაშის წინ ეცნობა თავის ფეხბურთელებს. ახლაც იგივე სიტუაციაა - სრული გაურკვევლობა, ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშე და ახალგაზრდა ადგილობრივი ფეხბურთელები. მოკლედ, ბევრი ფიქრი არ სჭირდება იმას, თუ რა იქნება ამ სეზონში „ბორჯომის" მთავარი მიზანი - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

## სიონი

ბოლნისელებს ამ სატრანსფერო კამპანიაში „ვიცე-ჩემპიონობას" ვერავინ შეეცილება. ანუ, „ოლიმპის" მერე, ყველაზე მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები სწორედ"სიონში" მოხდა. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ კორღალიძემ** გუნდი მთლიანად გადაახალისა და ასეთი შემადგენლობით „სიონს" საპრიზო ადგილებზეც უნდა ჰქონდეს პრეტენზია. თავად განსაჯეთ: **რევაზ ქემოკლიძე, ვლადიმერ კაკაშვილი, გივი დიდავა, არჩილ ალავიძე, ლევან სილაგაძე, ალექსანდრე კოშკაძე, ირაკლი შენგელია** პლუს კიდევ ორი პოტენციური ახალწვეული (**ზურაბ ქვაჩახია** და **სულიკო დავითაშვილი**) რომ გეყოლება გუნდში, მიზნებიც შესაბამისი უნდა იყოს.

## ლოკომოტივი

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდთაგან მზადებას ყველაზე ადრე „ლოკომოტივი" შეუდგა. ახალგაზრდა და პერსპექტიულ მწვრთნელებს - **გიორგი კიკნაძესა** და **ზაზა ზამთარაძეს** გუნდში ბევრი ცვლილება არ განუხორციელებიათ. ყოველ შემთხვევაში, „ლოკომოტივი" წინა სეზონთან შედარებით უფრო გაძლიერდა: **ზურაბ ბათიაშვილი, გიორგი კახელიშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი** და **გიორგი ჭელიძე** ჩვენი ჩემპიონატის დონეზე ყოველთვის გამორჩეულ ფეხბურთელებად ითვლებოდნენ. არ დაგვავიწყდეს, რომ გუნდში კვლავაც დარჩნენ **რატი ალექსიძე** და **ვიტალი დარასელია** (ალბათ, **ლევან ცქიტიშვილიც**) და აქედან გამომდინარე, ამ სეზონში „ლოკომოტივი", სულ მცირე, ხუთეულს ქვემოთ არ უნდა იყოს.

## სპარტაკი

**კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის მიზანი, ისევე როგორც წინა ჩემპიონატში, კვლავაც უმაღლესში ადგილის შენარჩუნება იქნება. მით უმეტეს, რომ „სპარტაკი" ძირითადი შემადგენლობის ოთხმა-ხუთმა ფეხბურთელმა დატოვა. ახალწვეულებიდან უნდა ალვნიშნოთ **კობა შალამბერიძე, გაგა იაშვილი** და **ლაშა ჯანგიძე**, რომლებსაც ახალგაზრდა თანაგუნდელებთან ერთად მძიმე ამოცანის გადაჭრა მოუწევთ.

## გაგრა

დიდი ინტერესით ველით უმაღლესი ლიგის დებიუტანტის ასპარეზობას. „გაგრას"სხვა გუნდებთან შედარებით ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობა ეყოლება და ასევე ახალგაზრდა მწვრთნელს **გიორგი ჭიაბრიშვილს** შეგირდებთან ერთად ურთულესი სეზონი ელის. „გაგრაში" არაერთი ისეთი ფეხბურთელია, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში რომ თამაშობენ და ეს პერსპექტიული ბიჭები უმაღლეს ლიგაში ასპარეზობისას უდიდეს გამოცდილებას მიიღებენ.

**გია ტუხაშვილი**

---

U 17. ამხანაგური მატჩი

# მარცხი მოგების შემდეგ

**აზერბაიჯანი-საქართველო 1:0**

1:0 ყურბანოვი (40)

საქართველო: **ნადირაძე, ამაშუკელი, აფაქიძე, ფუტკარაძე, ჯიმშელეიშვილი (47. კობახიძე), ელიზბარაშვილი, კვეკვესკირი, კუხიანიძე (42. სანიკიძე), გაბაშვილი, ჯიშკარიანი (42. ბუზალაძე), ჩაფიძე.**

**სამი** დღის წინათ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა სუმგაითში აზერბაიჯანელი თანატოლები 3:1 დაამარცხა. **გელა შეყილაძის** გუნდმა აზერბაიჯანში მეორე და ამ ეტაპზე დასკვნითი მატჩი ჩაატარა. ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა ამჯერად უკვე სხვა მოთამაშეებს მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა და ამაში გასაკვირი არაფერია. შეყილაძე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ემზადება და ოპტიმალურ შემადგენლობას არჩევს.

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, რომლის ბოლოს მასპინძლებმა იმარჯვეს და **მურად ყურბანოვმა** აზერები დააწინაურა.

გოლის მიღებისთანავე შეყილაძემ შეცვლებს მიმართა. ქართველებმა მეორე ტაიმში უკეთ ითამაშეს, მაგრამ წონასწორობის აღდგენა ველარ შეძლეს.

*„ამ ეტაპზე უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ გუნდს მეტი შეუძლია. ამასთან, ოთხი წამყვანი ფეხბურთელის გამოკლებაც დაგვეტყო. თუმცა აგვისტოში პალანგის საერთაშორისო ტურნირზე სრული შემადგენლობით გავემგზავრებით. მჯერა, სექტემბერში ბევრად უკეთესი გუნდი გვეყოლება"*, - მატჩის შემდეგ აღნიშნა 17-წლამდელთა თავკაცმა გელა შეყილაძემ.

**დავით ცაბაძე**

---

# ყოფილ გუნდს ვერა დააკლო

**ბუნდესლიგის** მორიგი სეზონისთვის ემზადება **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე". 5 ათასამდე მაყურებლის თვალწინ „კარლსრუემ" 0:2 წააგო მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგთან". იაშვილმა პირველი ტაიმი ითამაშა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ, თუმცა თავი ვერ გამოიჩინა. „ფრაიბურგში" 18 წლის **დავით თარგამაძე** ირიცხება, ის ამ სეზონის წინ გადაიყვანეს ძირითად გუნდში და ახალი ხელშეკრულებაც გაუფორმეს, თუმცა ჯერ ის გუნდთან ერთად არ იმყოფება.



ალექსანდრე იაშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

# კალაძე გააკრიტიკეს

**კახა კალაძემ** „მილანთან" ერთად ახალი სეზონის პირველი ტიტული მოიგო – „ტიმ ტროფი", რომელიც სამ გუნდს შორის თამაშდება. თითოტაიმიან მატჩებში „მილანი" „იუვენტუსს" დაუზავდა – 2:2, თუმცა პენალტების სერიაში აჯობა – 4:2. შემდეგ „იუვენტუსმა" 1:0 მოუგო „ინტერს", ბოლო შეხვედრაში მილანური დერბი 0:0 მორჩა, თუმცა პენალტების სერიაში კვლავ ქართველი ლეგიონერის გუნდს გაუმართლა. **კარლო ანჩელოტიმ** კახა კალაძე პირველ შეხვედრაში ათამაშა „იუვენტუსთან". იტალიურმა წყაროებმა კახას თამაში გააკრიტიკეს. მათი თქმით, ჩვენებური დაცვაში ხშირად ცდებოდა და პირველი გაშვებული გოლიც მის კისერზეა. მე-16 წუთზე კალაძემ შეტევაშიც ვერ ივარგა, როცა **ბროკის** შესანიშნავი პასი ვერ გამოიყენა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:

რეალი

# შუსტერი: კალდერონი და მიატოვიჩი ზემოდან მიყურებენ

## სამეფო კლუბში ელემენტარული კომუნიკაცია არ არსებობს




მადრიდის "რეალში" დაძაბულობამ იმატა. სამეფო კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს საკუთარი გულისტკივილი გაანდო. როგორც გაირკვა, ჰერ ბერნდი მისდამი დამოკიდებულებით ძალიან უკმაყოფილოა. გერმანელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ხელმძღვანელობა მას საკადრისად არ აფასებს და საქმის კურსში არ აყენებს. შუსტერმა პრესკონფერენციაზე საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო: "მოგეხსენებათ, სამწვრთნელო კარიერა "რეალში" არ დამიწყია. აქ საკმაოდ დიდი გამოცდილებით მოვედი. ყველგან, სადაც ვმუშაობდი, პრეზიდენტებსა და გენერალურ დირექტორებს ჩემთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი ყოველთვის ჩემს აზრს ითვალისწინებდნენ, მეკითხებოდნენ და ამბობდნენ, რომ მთავარი მწვრთნელის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდნენ. ვფიქრობ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. იმის გათვალისწინებით, რომ მწვრთნელი შედეგებზე ერთპიროვნულად აგებს პასუხს, გუნდების ხელმძღვანელები ვალდებული არიან, მისი აზრიც გაითვალისწინონ. სხვა შემთხვევაში, ესა თუ ის სპეციალისტი გუნდს მისი შეხედულებისა და გემოვნების მიხედვით ვერ მოამზადებს. შესაძლოა, პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ ამ თვალსაზრისით მადრიდის "რეალში" კატასტროფული სიტუაციაა. გუნდში თუ რამე მოხდება, ამას მე ყოველთვის ბოლოს ვიგებ ხოლმე. ყველაზე დაბალტირაჟიანი რეგიონული გაზეთის სტაჟიორი ჟურნალისტიც კი ჩემზე მეტად ინფორმირებულია. აქამდე არაფერს ვამბობდი, მაგრამ მეტის მოთმენას არ ვაპირებ. ვფიქრობ, ეს უპასუხისმგებლობაა და მეტი არაფერი. არ შეიძლება, მწვრთნელი ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფო და მის ზურგს უკან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო."

ჟურნალისტები შუსტერის ასეთ ხმაურიან განცხადებას არ ელოდნენ და მას გაბრაზების მიზეზის დაკონკრეტება სთხოვეს. როგორც გაირკვა, გერმანელ სპეციალისტს **რამონ კალდერონისა** და **პრედრაგ მიატოვიჩის** ქედმაღლობა არ მოსწონს: "ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენი გუნდის პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი თავს არ მიყადრებენ. თითქოს, ისინი ზეადამიანები არიან, ჩვენ კი ჩვეულებრივი მოკვდავები. კალდერონი და მიატოვიჩი ზემოდან მიყურებენ. ვიცი, ეს მძიმე ბრალდებაა, მაგრამ არაფერს ვაჭარბებ. "რეალში" ელემენტარული კომუნიკაცია არ არსებობს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ მაყენებს. მაგალითად, კრისტიანო რონალდოს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ერთი ამბავია ამტყდარი, მაგრამ მე მხოლოდ ის ვიცი, რაც გაზეთებში წერია. ანუ, პრეზიდენტსა და გენერალურ დირექტორს ჩემთვის არაფერი უთქვამთ."

შუსტერმა ღიად საუბარი დაიწყო და ესპანელი ჟურნალისტები მიხვდნენ, რომ გერმანელ მწვრთნელს კიდევ ბევრ საინტერესო ინფორმაციას დასტყუებდნენ. ასეც მოხდა. როგორც გაირკვა, შუსტერის უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი ხელფასი ყოფილა: "ჯერ კიდევ გასული სეზონის დასრულებამდე დირექტორატის მაღალჩინოსნები შემპირდნენ, რომ გასამრჯელოს მომიმატებდნენ. რა თქმა უნდა, აზრად არ მომსვლია, რომ მათთვის ეჭვის თვალით შემეხედა, თუმცა მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით არავის არაფერი უთქვამს. მე თვითონ რომ მივიდე და ვიკითხო, ალბათ, ამოძრავდებიან და რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ, მაგრამ არავისთვის არაფერი მაქვს სათხოვარი. მე მაღალი დონის სპეციალისტი ვარ და ალბათ, უკეთეს მოპყრობას ვიმსახურებ."

ორი დღის წინ ბერნდ შუსტერმა "დიარიო ასის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, **კრისტიანო რონალდო** არაჩვეულებრივი ფეხბურთელია, მაგრამ პირადად მე, ვან დერ ვაარტი უფრო მჭირდებაო. მთავარი მწვრთნელის ამ განცხადებას რამონ კალდერონი გამოეხმაურა და საკმაოდ მკაცრად თქვა, "რეალი"ან რონალდოს შეიძენს, ან არავისო. როგორც გაირკვა, შუსტერი იმითაც უკმაყოფილოა, რომ სატრანსფერო პოლიტიკის წარმოებისას მის აზრს, ფაქტობრივად, არ ითვალისწინებენ: "საქმე მხოლოდ რონალდოს არ შეეხება. დავუშვათ, ის განსაკუთრებული ფეხბურთელია და ხელმძღვანელებს არ უნდათ, რომ მოლაპარაკების დეტალები საკუთარ თანამშრომლებსაც გაუმხილონ, მაგრამ ჩვენი ცხოვრება რონალდოთი არ მთავრდება. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ კიდევ არაერთი მიმართულებით ვმუშაობთ, მაგრამ დეტალების შესახებ მაინც არაფერი ვიცი. არადა, კალდერონთან პირადად მაქვს ნათქვამი, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება თუ გვინდა, გარკვეულ პოზიციებზე უნდა გავძლიერდეთ-მეთქი."

პრესკონფერენციის მიწურულს, შუსტერს ჰკითხეს, თუ რაში ხედავს გამოსავალს. გერმანელი სპეციალისტი პრეზიდენტთან შეხვედრას ელოდება: "იმედი მაქვს, რომ სენიორ რამონს რამდენიმე დღეში შევხვდები და ყველა დეტალზე დაველაპარაკები. ჩემი აზრით, ასე გაგრძელება არ შეიძლება. ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ და საკუთარი მოსაზრებები გავუზიაროთ. ჩვენს შეხვედრაზე აბსოლუტურად ყველაფერს ვიტყვი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემა არ მოგვარდება. იმედია, სატრანსფერო მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება. ჩვენ ერთი დიდი კოზირი გვაქვს. "რეალი" იმდენად დიდი გუნდია, რომ აქ გადმოსვლა ნებისმიერ ფეხბურთელს სურს. მთავარია, ახალწვეულები დროზე ჩამოვიდნენ, რომ სრულფასოვნად მოემზადონ და მომავალ სეზონს კარგ ფორმაში შეხვდნენ."

**ილია ნიკოლაიშვილი**

კონფლიქტი

# ფიფამ ბრძანა: გაუშვით მესი ოლიმპიადაზე!

## მესი: გპირდებით, რომ პეკინში მიხილავთ

როგორც მოსალოდნელი იყო, ფიფამ "ბარსელონის" გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. კატალონიური გრანდისა და არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის დაპირისპირების შესახებ, ფიფას ფეხბურთელთა უფლებების დამცველმა კომისიამ იმსჯელა. ამ ორგანიზაციას ტუნისელი **სლიმ ალულუ** ხელმძღვანელობს. მისი ინიციატივით გუშინწინ, გვიან ღამით, ციურიხში საგანგებო სხდომა გაიმართა. ორსაათიან შეხვედრაზე საფეხბურთო მამებმა **ლეო მესის** საკითხზე ილაპარაკეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ "ბარსელონას" არგენტინელი ფეხბურთელის ოლიმპიურ ნაკრებში მივლინება დაავალდებულონ. გადაწყვეტილება ჟურნალისტებს თავად სლიმ ალულუმ გააცნო:

"ამ დღეებში დიდი აჟიოტაჟის მომსწრენი გავხდით. არგენტინის საფეხბურთო ასოციაცია სრულიად კანონიერად ითხოვს მესის პეკინში თამაშს, მაგრამ "ბარსელონა" გაჯიუტდა და სამხრეთამერიკელებს უარი შეუთვალა. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ესპანურ გუნდს ამის უფლება არ აქვს. ჩვენი კომიტეტის გადაწყვეტილებით, "ბარსელონა" ვალდებულია მესი დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს და არგენტინის ოლიმპიურ გუნდში მიავლინოს. კატალონიური მხარე ფიფას იმ რეგლამენტით აპელირებდა, რომლის მიხედვითაც ოლიმპიური თამაშები და მასთან დაკავშირებული საფეხბურთო ღონისძიებები ფიფას კალენდარში არ შედის. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ჩვენს კანონმდებლობაში კიდევ ერთი პუნქტი მოინახება, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ 23-წლამდელ ფეხბურთელებს ოლიმპიურ ნაკრებებში ასპარეზობის პრობლემა არ უნდა შეექმნათ. საამისო მოტივი მარტივია. ეროვნულ გუნდში თამაშის შესაძლებლობა ყველა ახალგაზრდას არ მიეცემა, ამიტომ გამოცდილება მათ სხვაგან უნდა შეიძინონ. ოლიმპიადა ამისათვის ფანტასტიკური შესაძლებლობაა. ფიფა ყოველთვის ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნავს და კომპრომისებს არ უშვებს. დღევანდელი გადაწყვეტილების შესრულებას მთელი კატეგორიულობით ვითხოვთ. "ბარსელონამ" მესი უახლოეს საათებში უნდა გაათავისუფლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესპანური გრანდის მიმართ სადამსჯელო სანქციებს გავატარებთ".

**ჟოან ლაპორტამ** ჯერ კიდევ ფიფას ვერდიქტის გამოქვეყნებამდე განაცხადა, ციურიხში როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ, მესის ოლიმპიადაზე მაინც არ გავუშვებთო. პრეზიდენტს პოზიცია ახლაც არ შეუცვლია. ის კვლავ აცხადებს, რომ ლეოს ცოცხალი თავით არ შეელევა და სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალში იჩივლებს. წინასწარი ინფორმაციით, ეს ორგანიზაცია "ბარსელონას" უმაგრებს ზურგს და ალბათ, ლაპორტაც ამიტომ აქტიურობს. გუშინ, სენიორ ჟოანმა "დიარიო მარკას" კორესპონდენტს საკმაოდ საინტერესო რამ უთხრა: "ფიფას საკუთარი მოტივები აქვს, მაგრამ ჩვენ ჩვენს ინტერესებს ვემსახურებით. ერთ კითხვას დავსვამ, მესის ხელფასს ვინ უხდის, "ბარსელონა" თუ არგენტინის საფეხბურთო ასოციაცია? ჩვენ მილიონებს ვხარჯავთ იმისთვის, რომ "ბარსა" კონკურენტუნარიანი და ძლიერი გუნდი იყოს. დიდი უსამართლობაა, როცა გეუბნებიან, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი წინასასეზონო მზადებას უნდა მოსწყდეს და ოლიმპიადაზე წავიდეს. ეს ხომ სასაცილოა. მესი ძალოსანი ან მძლეოსანი რომ იყოს, სხვა საქმე იქნებოდა, მაგრამ მსოფლიო დონის ვარსკვლავს ისეთი დაბალი დონის ტურნირზე, როგორიც ოლიმპიადაა, არაფერი ესაქმება. ძალიან ვწუხვარ, რომ ფიფამ ობიექტური გარემოებები ვერ გაითვალისწინა და მიკერძოებული გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. მესის მაინც არ გავათავისუფლებთ. როგორც იცით, ჩვენმა ადვოკატებმა სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალში შესატანი სარჩელი მოამზადეს. მოდით, ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებას დაველოდოთ. დარწმუნებული ვარ, ევროპული სამართალი ჩვენ გაგვამართლებს, რადგან უსამართლოდ გვჩაგრავენ."

მანამ, სანამ ფიფა კონფლიქტურ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებდა, ლეო მესი "დიარიო სპორტის" კორესპონდენტს შეხვდა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გულწრფელად ისაუბრა: "თუ ფიფა იტყვის, რომ უნდა წავიდე, წავალ, ხოლო თუ დარჩენას მომთხოვს, რა თქმა უნდა, დავრჩები. სიმართლე გითხრათ, სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ჩემთვის მთავარია, ფიფა რას იტყვის. მე არგენტინელი ვარ და გასაკვირი არ არის, რომ არგენტინის ეროვნულ გუნდში თამაში მსურს. სხვათა შორის, ჩემი კლუბის ხელმძღვანელებს ამის შესახებ დაახლოებით ორი თვის წინ ვუთხარი და მაშინ არანაირი პრობლემა არ შემქმნია. მოკლედ, ყველაფერი ფიფაზეა დამოკიდებული. თუ ისინი წასვლის უფლებას მომცემენ, ვერავინ გამაჩერებს. პირობას გაძლევთ, რომ ამ შემთხვევაში პეკინში მიხილავთ."

თუ ლეო სიტყვის კაცია, მაშინ ჩემოდანი უნდა ჩაალაგოს და ჩინეთისკენ აიღოს გეზი. მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში, "ბარსელონაში" სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება. ჟოან ლაპორტა და **ჩიკი ბეგირისტაინი** თვითნებობას არავის აპატიებენ...



ამასობაში, ასპარეზზე **სამუელ ეტოო** გამოჩნდა. მოგეხსენებათ, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე **პეპ გვარდიოლას** დანიშვნისთანავე გაცხადდა, რომ ახალ ხელმძღვანელობას **რონალდინიო** და ეტოო არ სჭირდება. გაუჩო მალევე მოიშორეს თავიდან და ის "მილანს" დაუთმეს. აი, ეტოოს საკითხი კი მეტისმეტად გაიწელა. გვარდიოლა კვლავ შეუვალია და ამბობს, რომ კამერუნელი ფორვარდი არ სჭირდება, მაგრამ მწვრთნელს "ბარსას" არც ერთი ფეხბურთელი არ ეთანხმება. რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, რომ ფეხბურთელებმა ეტოოს დასაცავად პრესკონფერენცია მოიწვიეს. მათ ხმაურიან განცხადებებს გვარდიოლას არანაკლებ გამომწვევი სიტყვები მოჰყვა. ახალგაზრდა სპეციალისტმა შეგირდებს საკუთარი საქმის კეთებისკენ მოუწოდა და ფაქტობრივად, დაიმუქრა, ეტოოს მაინც გავყიდითო. როგორც გაირკვა, ამ საკითხთან დაკავშირებით ჟოან ლაპორტას ოდნავ განსხვავებული მოსაზრება აქვს. აი, რას ამბობს პრეზიდენტი: "მთავარი მწვრთნელის სურვილს ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვი, რომ ეტოო "ბარსელონიდან" წასასვლელადაა განწირული. საკმაოდ დიდი შანსია იმისა, რომ სამუელი ჩვენთან დარჩეს. სიმართლე გითხრათ, მე ამით უაღრესად ბედნიერი ვიქნები. იმედია, გვარდიოლა და ეტოო გულწრფელად დაილაპარაკებენ და საერთო ენას გამონახავენ."

ლაპორტას სიტყვები ერთი შეხედვით ეტოოს კატალონიური კარიერის გაგრძელების შანსს აძლევს, მაგრამ თავად აფრიკელი ფორვარდი მაინც პესიმისტურადაა განწყობილი. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ეტოომ გულწრფელად განაცხადა: "არ ვიცი, ლაპორტა რას ფიქრობს და რისი იმედი აქვს, მაგრამ მე ვერ ვგრძნობ, რომ აქ ვინმეს ვჭირდები. როგორც ჩანს, გვარდიოლას ძალიან დიდი ვინმე ჰგონია თავი. ღმერთმა ქნას, მაგრამ ჯერ ეს დასამტკიცებელი აქვს. მე ერთი რამ ვიცი, ჩემი დამცირების უფლებას არავის მივცემ. ამით ყველაფერია ნათქვამი. ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს."

"ბარსელონაზე" ლაპარაკს ერთი ინფორმაციით დავასრულებთ. გუშინ გადაწყდა, რომ **ოლიგერ პრესასი** ამსტერდამის "აიაქსში" გააგრძელებს კარიერას. ესპანური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ჰოლანდიელებმა ვეტერანი მცველის სანაცვლოდ 2.25 მილიონი ევრო გადაიხადეს. 28 წლის ოლიგერს "კამპ ნოუზე" ექვსი სეზონი აქვს გატარებული. მთლიანობაში "ბარსას" მაისურით მან 175 ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა. ამიერიდან, მის ცხოვრებაში ახალი ერა იწყება. კატალონიელი "აიაქსში" მომდევნო ორ სეზონს გაატარებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

TROFEO TIM. ტრადიციული ტურნირი

# ზეედორფის არტილერია



TROFEO TIM იტალიაში ყველაზე პოპულარული წინასასეზონო ტურნირია. ეს არის ძალების შემოწმება მზადების პირველ ეტაპზე, მაგრამ რაკი მასში "იუვენტუსი", "მილანი" და "ინტერი" მონაწილეობენ, ბუნებრივია, უკვე ინტრიგაც დიდია, ლამის სერია A-ს დონეზეც კი. ამჯერად, სამი გიგანტის ტურნირს ტურინმა უმასპინძლა...

პირველ 45-წუთიან მატჩში ერთმანეთს "იუვენტუსი" და "მილანი" შეხვდნენ. თამაშამდე ცოტა ხნით ადრე, **კლაუდიო რანიერიმ** განაცხადა, რომ ორივე მატჩში ძირითად შემადგენლობას გამოცდიდა, რაზეც **ჟოზე მოურინიოს** სიტყვების საძებნელად შორს წასვლა არ დასჭირვებია და, "იუვეს" ჩვენი ეშინიაო, განაცხადა. თუმცა "ბებერმა ქალბატონმა" ჟოზეს "ინტერს" დაუმტკიცა, რომ არავისიც არ ეშინია...

მაგრამ ამ თამაშზე ცოტა ქვემოთ, ჯერ "იუვე"-"მილანი". "როსონერიმ" ნაოპერაციები **კაკა** დაიბრუნა და თავდასხმაში არსებული კრიზისის გამო, "ტორინოს" დროებით უარი უთხრა 18 წლის **ალბერტო პალოსკის** არენდით გაშვებაზე. თავდასხმის დუეტი სწორედ კაკამ და პალოსკიმ დააკომპლექტეს, ოდნავ უკან კი **კლარენს ზეედორფი** გამწესდა. მცირე ტრავმის გამო, ანჩელოტიმ ვერ გამოცადა **მატიო ფლამინი**, ხოლო **ალეშანდრე პატო** და **რონალდინიო**, მოგეხსენებათ, ოლიმპიადისთვის ემზადებიან. რანიერის მხრივ კი მოულოდნელი იყო **ტიაგო მენდეშის** დაყენება. თავდასხმაში **დავიდ ტრეზეგე** და **ვინჩენცო იაკვინტა** ვიხილეთ.

"მილანმა" მატჩი აგრესიულად დაიწყო და უკვე მე-7 წუთზე ზეედორფმა ანგარიში გახსნა. ჰოლანდიელმა სივრცე დაიგულა და დაახლოებით 20 მეტრიდან ბურთი პირდაპირ "ცხრიანში" გაახვია. მართალია, **ჯანლუიჯი ბუფონი** ბურთს თითებით შეეხო, მაგრამ ეს იყო და ეს. "როსონერის" ლიდერობა სულ რაღაც 40 წამით დასცალდა. ტრეზეგემ **კახა კალაძის** შეცდომით ისარგებლა და **მარკო მარკიონის** გასწვრივი პასი გოლად აქცია.

ანჩელოტის დაცვაშიც რომ აქვს პრობლემები, მოგვიანებითაც გამოჩნდა. **ზდენეკ გრიგერას** ფლანგური პასის შემდეგ, ბურთი კალაძეს მოხვდა და მიუვიდა იქვე ჩასაფრებულ მარკიონის, რომელმაც "იუვე" თავურით დააწინაურა.

ისე, საქართველოს ნაკრების კაპიტანს უცნაური დღე ჰქონდა. მან თავდასხმაშიც შესცოდა, როცა ხელსაყრელ სიტუაციაში **კრისტიან ბროკის** დაბალი პასით ვერ იხეირა - შვიდიოდ მეტრიდან ბურთი მიზანს ააცილა. მერე პალოსკისა და **მარეკ იანკულოვსკის** შეეძლოთ გატანა, მაგრამ ბუფონმა იყოჩაღა, **ჟელკო კალაჩმა** კი იაკვინტასა და **პაველ ნედვედის** რიკოშეტირებული დარტყმები მოიგერია.

"როსონერიმ" ანგარიში მატჩის დასრულებამდე 120 წამით ადრე გაათანაბრა - ისევ ზეედორფი და კიდევ ერთი შორეული გასროლა. ბუფონი ამჯერზეც უძლური იყო - 2:2. დაინიშნა 11-მეტრიანების სერია, რომელშიც საბედისწერო შეცდომა ტიაგომ დაუშვა. მას კალაჩმა აუღო, სამაგიეროდ, ზუსტი იყო პალოსკის დამაგვირგვინებელი დარტყმა. 4:2 "მილანის" სასარგებლოდ.

**იუვენტუსი-მილანი 2:2, პენ 2:4**

**იუვენტუსი:** ბუფონი, გრიგერა, კიელინი, მელბერგი, მოლინარო, მარკიონი, სისოკო, ტიაგო, ნედვედი, ტრეზეგე, იაკვინტა.

**მილანი:** კალაჩი, ძამბროტა, ბონერა, კალაძე, იანკულოვსკი, ბროკი, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, პალოსკი.

**გოლები:** 0:1 ზეედორფი (7), 1:1 ტრეზეგე (8), 2:1 მარკიონი (12), 2:2 ზეედორფი (43).

■ ■ ■

შემდეგ, მოედანზე პირველ მატჩში დამარცხებული "იუვენტუსი" და "ინტერი" გავიდნენ. რანიერიმ ბევრი ფეხბურთელი შეცვალა. მაგალითად, თავდასხმის წყვილი **ალესანდრო დელ პიერო-კარვალიო ამაურის** ტანდემით დაკომპლექტდა. მოურინიოს თერთმეტეული უფრო საბრძოლო იყო. წინა ხაზზე ჟოზემ სამი ფორვარდი გაამწესა, **მარიო ბალოტელის, ამანტინო მანსინისა** და **ადრიანოს** სახით.

"ინტერისთვის" თამაშის დებიუტი უსიამოვნო მოვლენით აღინიშნა. ტრავმა მიიღო **მარკო მატერაციმ** და შესაცვლელი გახდა. მის მაგივრად, მოურინიომ გამოიყვანა **დეიან სტანკოვიჩი**, რომელსაც ტურინული პუბლიკა გამაყრუებელი სტვენით შეხვდა. ამით, ფაქტობრივად, განაჩენიც დაიწერა: "იუვენტუსში" სტანკოვიჩის ფეხი არ იქნება, თუ რამ სასწაული არ მოხდა. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი სიტუაციით ასე ჩანს.

მატერაცის ტრავმის გამო, ჟოზემ დაცვის ცენტრში **ესტებან კამბიასო** გადაისროლა. თამაში უხეში გამოდგა, რაც მოსალოდნელიც იყო. მოედნის დატოვება მოუხდა ამაურისაც, რომელიც **პატრიკ ვიეირას** შეასკდა და შუბლი გაიტეხა. "იუვენტუსიდან" გამოირჩეოდა ორი ახალგაზრდა - შვედი **ალბინ ეკდალი** და **ფაუსტო როსი**, რომელიც უკანა პლანის ფორვარდის როლში ჩინებულად გამოიყურებოდა. თამაში მოუნია **კრისტიან პოულსენსაც**. ერთ მომენტში, დანიელმა "ინტერის" მეკარე შორეული დარტყმით შეაწუხა...

ერთადერთი გოლი 27-ე წუთზე გავიდა, როცა იაკვინტამ თამაშგარის მახე გაარღვია და **ჟულიო სეზარს** ოდნავ მახვილი კუთხიდან გაუტანა. იაკვინტა შესანიშნავ ფორმაშია. სამ ტესტ-მატჩში მან ოთხი გოლის გატანა მოახერხა. "ინტერს" ყველაზე ხელსაყრელი შანსი ბოლოსკენ ჰქონდა, როცა ადრიანოს თავური ბუფონმა ფანტასტიკური რეაქციის ხარჯზე განმუხტა. მოგვიანებით, ადრიანო ორ მცველს შორის გაძვრა, მაგრამ "იუვეს" ახალწვეულმა **დარიო კნეჟევიჩმა** ბოლო მომენტში იყოჩაღა და საგოლე შეტევა ჩაშალა. საპირისპირო მხარეს კი კინაღამ მეორე გოლიც გავიდა. დელ პიეროს საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი "ცოცხალ კედელში" მდგომ ერთ-ერთ ინტერელს მოხვდა. ჟულიო სეზარმა ერთი კუთხიდან უმალ მეორეში ისკუპა და "ნერაძური" მეორე გოლს გადაარჩინა...

**ინტერი-იუვენტუსი 0:1**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, მატერაცი (7. სტანკოვიჩი/35. ფიგუ), მაქსველი, ხ. ძანეტი, ვიეირა, კამბიასო, ბალოტელი (35. კრესპო), ადრიანო, მანსინი.

**იუვენტუსი:** ბუფონი, ზებინა, ლეგროტალიე, კნეჟევიჩი, მოლინარო (38. კიელინი), კამორანეზი, ეკდალი, სისოკო (26. პოულსენი), როსი, დელ პიერო, ამაური (20. იაკვინტა).

**გოლი:** 0:1 იაკვინტა (27)

■ ■ ■

და მესამე, გადამწყვეტი მატჩი, რომელიც "მილანს" ვეტერანი მეკარის **კრისტიან აბიატის** გმირობამ მოაგებინა. ანჩელოტიმ მთლიანად შეცვალა დაცვა და გოლი არ გაუშვა, მოურინიომ კი შეცვალა თავდასხმა, მაგრამ "ინტერმა" გოლი ვერც ამჯერად გაიტანა. შავ-ლურჯებში, ახლახან შეძენილი **სულეიმან მუნტარის** დებიუტი შედგა. მოურინიომ ის ბოლომდე ათამაშა.

აბიატის მხოლოდ პენალტების სერიაში არ უყოჩაღია. მან "ინტერის" ორი ასპროცენტიანი მომენტი განმუხტა. ჯერ **ნიკოლას ბურდისომ** გამოიტანა ბურთი ცარიელი კარიდან, მერე კი დამატებაზე, "ატლეტიკოს" ყოფილმა მეკარემ **ოლივიე დაკურს**, ფაქტობრივად, უიმედო დარტყმა აუღო. მოგვიანებით, აბიატიმ იყოჩაღა **საუსოს** ეპიზოდშიც, როცა ჰონდურასელმა მას თვალი თვალში გაუყარა. სადებიუტო მატჩში თავის გამოჩენა შეეძლო მუნტარისაც, მაგრამ აბიატი ამ შემთხვევაშიც შეუვალი იყო, **ლუის ხიმენესმა** და **მარიო ბალოტელიმ** კი ხელსაყრელი სიტუაციებიდან მიზანს ააცილეს.

პრინციპში, "მადონინას" მინი-დერბი "ინტერის" უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ეგ იყო, მოურინიოს ბიჭებს გოლის გატანა უჭირთ. ჩავთვალოთ, რომ ეპატიებათ, რადგან სეზონი ჯერ არ გახურებულა. რაც არ უნდა იყოს, "ნერაძურიმ" და "მილანმაც", მზადება "იუვენტუსზე" რამდენიმე დღით გვიან დაიწყეს და ეს იგრძნობა კიდეც. თუმცა საბოლოო შედეგი "მილანს" უკეთესი ჰქონდა.

რაც შეეხება 11-მეტრიანების სერიას, აქ აბიატიმ ჯერ **ლუიშ ფიგუს** აუღო, მერე ხიმენესს, ბოლოს კი მუნტარისაც ჩაუშხამა დებიუტი. ამრიგად, 4:3 და "იუვენტუსთან" ასევე პენალტებით მოგებული დუელის წყალობით, Trofeo TIM "მილანს" დარჩა.

**მილანი-ინტერი 0:0, პენ 4:3**

**მილანი:** აბიატი, ოდო, შიმიჩი (45. იანკულოვსკი), დიგაო, ფავალი, გატუზო, პირლო, ზეედორფი (21. ბროკი), ამბროზინი (15. ანტონინი), კაკა, პალოსკი (27. ოსუჯი).

**ინტერი:** ტოლდო, მაიკონი, ბურდისო, კამბიასო (43. სანტონი), მაქსველი (15. ხიმენესი), ხ. ძანეტი, დაკური, მუნტარი, მანსინი (15. ბალოტელი/43. ადრიანო), ფიგუ, კრესპო (30. სუასო).

TROFEO TIM. ტურნირის შემდეგ

# ანჩელოტის თითი

## სკანდალი ტურინში. კიდევ რომ მომაყენონ შეურაცხყოფა, ანალოგიურად მოვიქცეოდიო...

"ტროფეოს" სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. შეიძლება, **კარლო ანჩელოტი** მკაცრად დაისაჯოს უხამსი ჟესტისთვის (შუა თითის კომბინაცია), რომელიც "იუვენტუსის" ფანებს უჩვენა. ისე, მარტო კარლეტოსაც ნუ დავადანაშაულებთ, თუმცა სხვა საქმეა, უნდა აჰყოლოდა თუ არა ტურინელი ტიფოზებისგან წამოსულ პროვოკაციას. აი, რა კომენტარი გააკეთა "მილანის" თავკაცმა ინციდენტთან დაკავშირებით:



*"ეს იყო საკადრისი პასუხი ბრიყვების მისამართით. არანაირი ვიდეოგარჩევა საჭირო არ არის. ვაცხადებ, ეპიზოდი კიდევ რომ განმეორდეს, ისევ ისე მოვიქცეოდი. ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია, მაგრამ სწორად გამიგეთ, სხვანაირად არ შემეძლო. საშინლად შეურაცხყოფილი ვარ. მათ არც მოურინიო, ძამბროტა, მატერაცი და სტანკოვიჩი დაინდეს".*

შემდეგ, ანჩელოტიმ ტურნირიც შეაჯამა: *"გავიმარჯვეთ და, ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ. და კმაყოფილი ვარ, პირველ რიგში, თამაშის ხარისხით. მზადების საწყისი ეტაპის კვალობაზე, გუნდი საკმაოდ მხნედ გამოიყურება. ცოტა სულელური გოლები კი გავუშვით, მაგრამ ვფიქრობ, საქმე მაინც კარგად მიდის. ბედნიერი ვარ აბიატის გამოც. ეს მისი საღამო იყო. ახლა ვრწმუნდები, თუ რაოდენ მძიმე იქნება ბრძოლა პირველი მეკარის სტატუსის მოსაპოვებლად".*

კმაყოფილი დარჩა **კლაუდიო რანიერიც**. "იუვენტუსმა" ფრედ ითამაშა "მილანთან" და მოუგო "ინტერს". ცხადია, რანიერისაც აქვს საბაბი, რომ მშვიდ ვითარებაში განაგრძოს მზადება:

*"რაც ვნახე, ყველაფერი მომეწონა. ვიცოდი, და არც არის გასაკვირი, რომ საუკეთესო ფორმაში არ ვართ. თითქმის ყველა ფეხბურთელს მივეცი თავის გამოჩენის შანსი. ეს ჩემი მუშაობის სტილია. ნელ-ნელა კიდევ უნდა მოვუმატოთ და იმედია, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს ფორმის პიკზე თუ არა, კარგად მომზადებულები შევხვდებით. თუმცა უკვე აშკარაა, რომ თამაშიდან თამაშამდე სულ უფრო უკეთ გამოვიყურებით".*

ამ უიქენდზე "იუვენტუსს" კიდევ ერთი ტურნირი ელოდება, ამჯერად ლონდონში, "ემირითსის თასზე", რომელშიც, მის გარდა, მასპინძელი "არსენალი", "რეალი" და "ჰამბურგიც" მიიღებენ მონაწილეობას. რანიერი პრინციპს არ გადაუხვევს და ლონდონურ ტურნირშიც ორ სხვადასხვა შემადგენლობას გამოცდის.



**ჟოზე მოურინიო** გულგატეხილი იყო **მარკო მატერაცის** ტრავმის გამო. ჯერჯერობით, ზუსტი პასუხი იმაზე, თუ როდისთვის შეძლებს "მატრიქსი" მწყობრში დაბრუნებას, არ არსებობს. მატერაცის ტრავმის გამო, დაცვის ცენტრში მას მხოლოდ ერთი ნომინალური უკანახაზელი დარჩა.

*"დაცვაში სიტუაცია მართლაც არასახარბიელოა. მატერაცის კუნთის პრობლემა აქვს, მაგრამ შეიძლება, ეს პრობლემა მას დიდხანს დარჩეს, ან, არც ისაა გამორიცხული, მალე დაგვიბრუნდეს. მისი ტრავმის შემდეგ, ნიკოლას ბურდისოს გვერდით ანდრეა მეის დაყენებაც შეიძლებოდა, მაგრამ გადავწყვიტე, აქცენტი ესტებან კამბიასოზე გამეკეთებინა, გამოცდილებას ვენდე... არა უშავს, რთული დღეებია, მაგრამ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. მჯერა, ერთ თვეში სრულ მზადყოფნაში ვიქნებით. მუნტარი? ცოტა დაღლილი მეჩვენა. ვიდრე ჩვენთან ჩამოვიდოდა, ის უკვე ემზადებოდა "პორტსმუთთან" ერთად. მიუხედავად ამისა, მარცხენა ფლანგზე მაინც ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, შეტევისკენ აქვს მიდრეკილება და ეს ძალიან კარგია. მუნტარის სახით სწორი არჩევანი გავაკეთეთ. ის ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც "ინტერის" სათამაშო ფილოსოფიას შეესაბამება".*

გვერდი მოამზადა
გიორგი გელაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# სისეს შანსი

## სპალეტის ეშინია, რომ აკვილანი წავა. ფერარი ინტერისკენ?

"რომა" ფორვარდის ძიებაშია. მას მერე, რაც **ადრიან მუტუს** ტრანსფერი ჩაიშალა (თუმც რომაელებს მისი იმედი 31 აგვისტომდე ექნებათ), "ჯალოროსი" **ჟულიო ბაპტიშტაზე** გადაერთო, მაგრამ ამ ფრონტზეც არაფერი გამოსდის. "რეალი" ბაპტიშტას არენდით გაშვებას არ აპირებს, "რომას" კი მაინცდამაინც ტრანსფერის ეს ფორმა აწყობს. როგორც ამბობენ, ბრაზილიელი ფორვარდის გადაბირების შანსი მცირე პროცენტით, მაგრამ მაინც არსებობს.

გუშინდელი ინფორმაციით, გაჩნდა **ჯიბრილ სისეს** შანსიც. "მარსელის" თავდამსხმელი რომაულ ვარიანტს, თურმე, ორივე ხელით მიესალმება. საქმის კურსშია მისი აგენტი **რანკო სტოჯიჩიც**. აი, მისი კომენტარიც:

*"დიახ, არსებობს რეალური შანსი, რომ ჯიბრილი "რომაში" გადავიდეს, თუმც ეს მხოლოდ წინასწარი მონახაზია. კლუბებს შორის კონტაქტი ჯერ არ ყოფილა. ველოდები, როდის დამირეკავენ "რომას" ხელმძღვანელები, რათა საქმეს სერიოზულად მოვკიდოთ ხელი. ვიცი, რომ ჩემს კლიენტს ეს ვარიანტი ძალიან მოსწონს. "რომაში" ბევრი ჩემპიონი თამაშობს. ეს მართლაც დიდი გუნდია".*

აგენტმა არ იცის, რა დაუჯდება "რომას" სისეს ყიდვა. არსებობს მხოლოდ მედიის ვარაუდი, რომ ეს ოპერაცია 10 მილიონი ევრო ეღირება. ასეა თუ ისე, ფული საშოვნელია. არ არის გამორიცხული, დედაქალაქელებმა სისეს ტრანსფერს ნახევარმცველი შესწირონ. გუშინ, "ტუტოსპორტმა" დაწერა, რომ "ჯალოროსი" **ალბერტო აკვილანის** გაყიდვას აპირებს. ამ თემაზე ბოლო ნომერში ჩვენც გიამბეთ. უფრო სწორად, საუბარი იყო **ადრიანოსა** და აკვილანის შესაძლო გაცვლაზე. "ტუტოსპორტის" ვერსიით კი, "რომა" მზადაა, 24 წლის ნახევარმცველს "ინტერისკენ" დაულოცოს გზა და ამ ოპერაციაში 16 მილიონი ევრო გააკეთოს. აკვილანის რომაულ კონტრაქტს 2010 წლის 30 ივნისს გასდის ყავლი. "ინტერი" მას წლიურად 2.5 მილიონ ევროს შესთავაზებს, მაშინ, როცა "ტრიგორიაზე" მხოლოდ 1.6 მილიონს უხდიან.

საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის წინ **ლუჩანო სპალეტიმ** დაიჩივლა - შეიძლება, აკვილანი დავკარგოთო: *"ალბერტო ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. მან მითხრა, რომ დარჩენა სურს, მაგრამ არის იმის საშიშროებაც, რომ დაგვტოვოს. ასე გვეგონა ზოგიერთ ფეხბურთელზეც, რომ შევინარჩუნებდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ამიტომაც მეშინია, რომ აკვილანიც წავა".*

შესაძლოა, "ინტერის" გზაზე აღმოჩნდეს მცველი **მატეო ფერარიც**. "ნერაძურის" დაცვაში პრობლემები აქვს. **ვალტერ სამუელი, ივან კორდობა** და **კრისტიან კივუ** ჯერაც ტრავმირებულები არიან, Trofeo TIM-ის ტურნირის დროს კი, როგორც იცით, **მარკო მატერაციც** დაშავდა. შესაბამისად, **ჟოზე მოურინიოს** ახალი მცველი დასჭირდება. ამაზე მან უკვე დაიწუწუნა კიდეც. "რომაში" კი ფერარის ადგილი არ აქვს. კლუბი "სკუადრა აძურას" ყოფილ მცველთან კონტრაქტის განყვეტას აპირებს. ფერარი თავისუფალი აგენტი გახდება და "ინტერს", თუ სხვა რომელიმე გუნდს, ყოველგვარი საზღაურის გარეშე მიაშურებს. ფეხბურთელმა დაიქადნა, რომ "ნერაძურიში" თამაშის შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

**გიორგი გელაშვილი**



ჯიბრილ სისე

ვარსკვლავი

# რატომ ბერბატოვი?

## თაიმსმა დიმიტარსა და ერიკ კანტონას შორის პარალელები გაავლო. მარტო ფერგიმ იცის, რომ ბულგარელი თავდამსხმელი სუპერვარსკვლავი იქნება



დიმიტარ ბერბატოვი

**ამ ზაფხულს, დიმიტარ ბერბატოვი გრანდების საყოველთაო ინტერესის ობიექტი გახდა. მასზე ნადირობა გამოაცხადეს "ჩელსიმ", "მილანმა", "მანჩესტერ იუნაიტედმა" და "ბარსელონამ". ჩამოთვლილ კლუბთაგან პირველი ორი ბრძოლას ადრე გამოეთიშა. "ტოტენჰემის" მიერ მოთხოვნილმა თანხამ მათ ტრანსფერზე ხელი აალებინა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, "ჩელსისა" და "მილანს" "მანჩესტერ იუნაიტედიც" მიჰბაძავს. "ეშმაკები" ასევე მიზანშეუწონლად მიიჩნევენ თავდამსხმელში 38 მილიონი გირვანქის (80 მილიონი დოლარი) გადახდას. "მანჩესტერმა" ლონდონელებს 20 მილიონი შესთავაზა, მაგრამ "ტოტენჰემმა" ამ წინადადებისგან თავი შორს დაიჭირა. "მამლებმა" ყველაფერი ილონეს, რათა დაინტერესებული კლუბები გზიდან ჩამოეშორებინათ. გაზეთმა "თაიმსმა" ბერბატოვს მოზრდილი სტატია მიუძღვნა, ბულგარელი ლეგიონერი ერიკ კანტონას შეადარა და შეეცადა იმის დადგენას, თუ რამდენად გააძლიერებს ფეხბურთელი "მანჩესტერს", თუ ის მაინც "ოლდ ტრეფორდზე" ამოჩნდება.**

"ლიდსის" ყოფილი მწვრთნელი **ჰოვარდ უილკინსონი ერიკ კანტონასთან** პირველ შეხვედრას ღიმილით იხსენებს. 1992 წლის იანვარი იდგა. ფრანგული ფეხბურთიდან გაძევებულმა კანტონამ სამსახურის შოვნის იმედით, ინგლისს მიაშურა. ის "შეფილდ უენსდეიში" ისინჯებოდა. ორკვირიანი გასინჯვის შემდეგ, შეფილდელებმა ფეხბურთელს უთხრეს, კიდევ ორი კვირა დაგაკვირდებითო. კანტონამ მათი წინადადება შეურაცხყოფად მიიღო და გუნდიდან წამოვიდა. სწორედ ამ დროს ინახულა ის "ლიდსის" მთავარმა მწვრთნელმა ჰოვარდ უილკინსონმა.

ინგლისელი სპეციალისტი კანტონას ერთ იაფ სასტუმროში ეწვია. ერიკი ერთადგილიან ნომერში ცხოვრობდა. უილკინსონის მისვლისას ნომერში საშინელი არეულობა სუფევდა. ფეხბურთელის ნივთები აქეთ-იქით იყო მიყრილი, კანტონა კი საწოლზე გაუნძრევლად იწვა. უილკინსონმა თავდამსხმელს "ლიდსთან" ნახევარწლიანი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. როდესაც მწვრთნელი ლაპარაკობდა, კანტონა მას გაშტერებული მისჩერებოდა. ვერ გაიგებდი, ესმოდა თუ არა თანამოსაუბრის სიტყვები. უილკინსონი ამბობს, იმ საღამოს ერიკი კონცერტიდან ახალდაბრუნებულ როკ-ვარსკვლავს ჰგავდა, რომელმაც ის-ის იყო ნარკოტიკის ზედმეტი დოზა მიიღო და გონება დაკარგაო. კანტონა სულ არ ჰგავდა იმ ფეხბურთელს, რომელიც ცოტა ხანში პრემიერლიგის მეფე უნდა გამხდარიყო.

**დიმიტარ ბერბატოვის** კერპები **მარკო ვან ბასტენი და ალან შირერი** არიან, მაგრამ ის ჰოლანდიელ და ინგლისელ ვარსკვლავებს არ ჰგავს. ბულგარელი თავდამსხმელი კანტონას მემკვიდრეა. არც მისი თამაში იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ბერბატოვი შეიძლება პრემიერლიგის უპირველესი ვარსკვლავი გახდეს. დიმიტარსაც რთული ხასიათი აქვს. ასეთ პიროვნებებს საფეხბურთო სამყაროში სიხარულით არ ხვდებიან ხოლმე, მაგრამ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები. ბერბატოვი კანტონასავით ფეთქებადი არ არის, მაგრამ მასავით მელანქოლიურია. *"კარგი ბიჭია, მაგრამ გულჩათხრობილი, ყოველთვის მარტო ყოფნა ურჩევნია,"* - იხსენებს ბერბატოვის ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი. *"კარგი იქნება, თუ ყველა თავს დამანებებს,"* - ეს ბულგარელი თავდამსხმელის საყვარელი სიტყვებია.

ბერბატოვი და კანტონა თამაშის მანერით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ისინი ცხოვრებას განსხვავებული თვალით უყურებენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყველაფერს განსხვავებულად აკეთებენ. მარტოსული ადამიანის ფსიქოლოგია გადამწყვეტი მატჩებისას, შეიძლება, სასარგებლოც კი აღმოჩნდეს. იმ დროს, როდესაც მინდორზე მოვლენები სტიქიურად ვითარდება, მარტოსული ალტერნატიულ გზას ეძებს. ამ გზას მის გარდა ვერავინ ამჩნევს. გამომგონებლობის უნარი და შეუპოვრობა - აი, თვისებები, რომლითაც გამოირჩეოდა კანტონა და რომელიც ბერბატოვსაც მოჭარბებულად აქვს. "თაიმსის" აზრით, სწორედ ამ თვისებებს აფასებს სერ ალექსი და ამიტომაც ცდილობს ასე მონდომებით ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას.

და მაინც, რატომ ბერბატოვი? ბულგარელი შედეგიანობით არ გამოირჩევა. პრემიერლიგაში გატარებული ორი სეზონის განმავლობაში მან მხოლოდ 27 გოლი შეაგდო (69 მატჩში). ზუსტად ასეთი მაჩვენებლები აქვთ ევერტონელ **იაკუბუ აიეგბენისა** და ბლექბერნელ **ბენი მაკარტის**. მაგრამ მათ შესაძენად გრანდების რიგი არ დამდგარა. საქმეც ის გახლავთ, რომ ფეხბურთი მარტო სტატისტიკა არ არის (ამიტომ აღარაფერს ვამბობთ ბერბატოვის 22 საგოლე პასზე). თავდამსხმელის კლასი იმითაც იზომება, თუ რა როლს თამაშობს ის გუნდის შეტევებისას - როგორ პასებს აკეთებს, როგორ მოძრაობს და იხსნება. ფერგიუსონის აზრით, ამ კომპონენტებში ბერბატოვი ერთ-ერთი საუკეთესოა.

საუკეთესო იყო კანტონაც, რომელმაც "მანჩესტერში" ყოფნისას, 189 მატჩში 77 გოლი შეაგდო. სტატისტიკა მრავლისმეტყველია, მაგრამ არა ყველაფრის. თავდამსხმელები სოლისტები არიან, მაგრამ ზოგიერთი დირიჟორობასაც ითავსებს. ბერბატოვი, კანტონას მსგავსად, დირიჟორია. "მანჩესტერ იუნაიტედს" კი დირიჟორი სჭირდება. "ეშმაკები" მეტოქეს მთელი ანსამბლით უტევენ ხოლმე. ფერგიუსონი მიიჩნევს, რომ ბერბატოვი ანსამბლს საუცხოოდ გაუძლვება. ხოლო დიმიტარის რთული ხასიათი მას ოდნავადაც არ ანაღვლებს.

*"დიახ, რთული ხასიათი მაქვს,"* - აღიარებს ბერბატოვი. მაგრამ ფერგიუსონი განთქმული ფსიქოლოგია. მას დიმიტარზე უფრო კერკეტი კაკლებიც გაუტეხია. ცუდი ფსიქოლოგი იყო "ტოტენჰემის" ყოფილი დამრიგებელი **მარტინ იოლი**, რომელიც ბერბატოვისაგან უცერემონიოდ ითხოვდა სეზონში 15-20 გოლს, თანაც გადამწყვეტ გოლებს ყველა მნიშვნელოვან მატჩში. მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ იოლს კარისაკენ მიუთითეს.

ბერბატოვი უხვგოლიანობით არ გამოირჩევა, მაგრამ ორი წლის განმავლობაში მან სამჯერ გაუტანა "ჩელსის" (მათ შორის, ლიგის თასის ფინალში), ორჯერ "არსენალს" და ერთხელ "მანჩესტერ იუნაიტედს". ბულგარელ თავდამსხმელს ძლიერ მეტოქესთან თამაში კარგად გამოსდის. "იუნაიტედში" ან "ბარსელონაში" ტრანსფერის შემთხვევაში, დიმიტარს ამ დონის მეტოქეები ხშირად ეყოლება: *"მომწონს დიდ კლუბებთან პაექრობა. მახსოვს, "ჩელსისთან", ლიგის თასის ფინალში, მინდორზე გიჟებივით დავრბოდით. ლამის იყო, მეტოქე შუაზე გაგვეგლიჯა."*

ბერბატოვი სკოლაში კარგი მოსწავლე იყო. მას საუკეთესო ნიშნები ისტორიაში ჰქონდა. ის ინგლისში ისტორიის ახალი ფურცლის დასაწერად ჩავიდა და არა იმისათვის, რომ მეგობრები შეიძინოს. *"თანაგუნდელები კარგად მეპყრობიან, არადა, მე გულღია არა ვარ. ზოგჯერ, ისინიც გაურბიან ჩემთან ურთიერთობას. ვიცი, რომ ეს ჩემი მიზეზით ხდება. ხანდახან ჩემს თავს ვეკითხები: რატომ ვარ ასეთი? ალბათ, ძალიან მოსაწყენად გამოვიყურები, არადა, ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. ვვარჯიშობ, ჟურნალისტებს ვესაუბრები და შემდეგ მთელი დღე თავისუფალი მაქვს. მეუღლე არა მყავს. თავისუფალ დროს ვუყურებ ფილმებს, დავბოდიალობ ინტერნეტში, შემდეგ ისევ ვვარჯიშობ და ვთამაშობ. აი, ასეთია ჩემი ცხოვრება. გოლები? გოლის გატანისას, ენით აუწერელი ემოცია მეუფლება. განსაკუთრებით, თუ მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე. თვალები გახელილი მაქვს, მაგრამ ვერაფერს ვხედავ. სადღაც გავრბივარ და ვღრიალებ, როგორც შეშლილი. განცდა გრანდიოზულია. ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია."*

"თაიმსი" ასკვნის - დიმიტარ ბერბატოვი სხვებს არ ჰგავს, ის სხვანაირი ფეხბურთელია. კანტონაც სხვანაირი იყო. ერიკის ტრანსფერისას მარტო სერ ალექსმა იცოდა, რომ ვარსკვლავს ყიდულობდა.

მოამზადა

**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 48 საათი მოსაფიქრებლად

**ამ ასე, გუშინ გამთენიისას, მიუნხენი-თბილისის ავიარეისით, საქართველოს ნაკრების თავკაცობის ერთ-ერთი კანდიდატი ექტორ კუპერი, აგენტ ალეხანდრო კამანიოსთან ერთად გვეწვია. სტუმრებმა აეროპორტიდან სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასს“ მიაშურეს.**

## ასეთი გასახდელი ინტერსაც არ აქვს

ნაშუადღევს **კუპერი, კამანიო** და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები, **ნოდარ ახალკაცი, უჩა უგულავა, გოგი ქავთარაძე** და **რევაზ არველაძე** ეროვნულ სტადიონს ეწვივნენ. მათ არენის ხელმძღვანელმა **ირაკლი მეძმარიაშვილმა** უმასპინძლა. სტუმრებს მასპინძლებმა სტადიონი ყველა თავისი ინფრასტრუქტურით დეტალურად დაათვალიერებინეს. კუპერმა ტრიბუნებს თვალი შეავლო და დაინტერესდა, საშუალოდ, რამდენი მაყურებელი ესწრება ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩებს. არგენტინელ მწვრთნელს აცნობეს, რომ ეროვნულ სტადიონზე ვიდეოანალიზის თანამედროვე სისტემაა დამონტაჟებული, რომელიც თითოეული ფეხბურთელის გარჯას აღრიცხავს. სამხრეთამერიკელმა მწვრთნელმა საპრესკონფერენციო დარბაზიც დაათვალიერა და ქართული ფეხბურთის უახლესი თუ შორეული ისტორიის ამსახველ ფოტოებსაც ინტერესით შეავლო თვალი. ნახა გასახდელი და აღნიშნა, ასეთი გასახდელი „ინტერსაც“ კი არ ჰქონდა, მილანურ კლუბში რომ ვმუშაობდიო.

## ლელოს გარდა კიდევ რომელი სპორტული გაზეთები გამოდის საქართველოში?

ეროვნული სტადიონიდან სტუმარმასპინძლის საფეხბურთო ესკორტმა საგურამოს მიაშურა. ბაზა, რომელიც შემოდგომაზე დამთავრდება, კუპერს მოეწონა. მოედნის საფარი გამოარჩია. საგურამოს შემდეგ კი არგენტინელებმა ტექნიკური ცენტრი „ბასა“ მოინახულეს. ექტორ კუპერსა და ალეხანდრო კამანიოს „ბასაც“ მოეწონათ. ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა კუპერს მოუთხრო საგურამოს ბაზასა და „ბასაში“ გაწეული სამუშაოების შესახებ და ისიც განუმარტა, თუ კიდევ რისი გაკეთებაა ჩაფიქრებული.

ბაზაზე სტუმრობისას ექტორ კუპერს „ლელოს“ ახალი ნომერი მივაწოდე და ავუხსენი, რომ ეს ყველაზე ძველი სპორტული გაზეთია საქართველოში. მას უთხრეს, რომ ამ უძველეს სპორტულ გაზეთს „ლელო“ ჰქვია და 1934 წლიდან გამოიცემა... კუპერმა „ლელო“ გადაათვალიერა, ერთ-ერთ გვერდზე თავისი ფოტოც ნახა და დაინტერესდა, ჩემზე რა წერიაო... თუმცა კუპერი მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა. არგენტინელმა მწვრთნელმა ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს ჰკითხა, „ლელოს“ გარდა კიდევ რამდენი სპორტული გაზეთი გამოიცემა საქართველოში, რა პერიოდულობითო... კუპერმა პასუხი მიიღო და მერე საუბარი ისევ ბაზაზე გადაიტანა.

## კუპერმა მოსაფიქრებლად 48 საათი ითხოვა

*ტექნიკურ ცენტრში სტუმრობისას კუპერმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. თუმცა მხოლოდ ორიოდ კითხვაზე გაგვცა პასუხი.*

**- ეროვნული სტადიონი და ბაზები მოინახულეთ. საინტერესოა, როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება?**

- საქართველოში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გასაცნობად ჩამოვედი. პარალელურად, თქვენს დედაქალაქსაც შევავლე თვალი და მომეწონა. ვნახე ეროვნული სტადიონი, მშენებარე ბაზა და კიდევ ერთი ბაზა, რომელიც უფრო ახლოსაა თბილისთან. უკვე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა აქაურ ინფრასტრუქტურაზე. კონტრაქტზე ახლა ვერაფერს გეტყვით, მაგრამ რაც საქართველოში ვნახე, ძალიან დამაკმაყოფილებელია.

**- საბოლოო პასუხს როდის იტყვით?**

- ქართულ ფეხბურთზე დიდი ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა აქედან მნიშვნელოვან მასალას წავიღებ, შევისწავლი და სათანადო წარმოდგენას შევიქმნი. გულწრფელი ადამიანი ვარ და პირდაპირ მიყვარს ლაპარაკი - ესპანეთში ჩავალ, გავეცნობი ამ მასალას და 48 საათი დამჭირდება საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

## ახალკაცისთვის პრიორიტეტი კონცეფციაა

*რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ექტორ კუპერზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი.*

- კუპერს სურს შეძლებისდაგვარად ახლოს გაეცნოს ჩვენს ეროვნულ ნაკრებს, შეაფასოს გუნდის პოტენციალი... მან ეროვნული გუნდის ბოლო მატჩების ჩანაწერები მოითხოვა.





> „გულწრფელი ადამიანი ვარ და პირდაპირ მიყვარს ლაპარაკი: საქართველოში ნანახით კმაყოფილი დავრჩი“



კუპერის საქართველოში ვიზიტის უპირველესი მიზანი და ამოცანა არგენტინელ მწვრთნელთან საუბარი გახლდათ. ყველამ კარგად იცის, რომ ძალზე ცოტა დროა დარჩენილი. სამ კვირაში, უელსში ამხანაგური მატჩი გველის. 6 სექტემბერს კი შესარჩევი ციკლის პირველი მატჩი გვიწევს. საინტერესოა მისი ხედვა და კონცეფცია. თუ როგორი წარმოდგენა აქვს მას მთლიანად ქართულ ფეხბურთზე, ეროვნული ნაკრების მოთამაშეებზე, ვის იცნობს და ვის არა. მისი კონცეფცია კი უმნიშვნელოვანესი საკითხია. იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც ქართულ ფეხბურთში დაგვხვდა, უკვე 3 წელიწადია ახალგაზრდა ფეხბურთელების ფორსირებული, მაგრამ გეგმაზომიერი განვითარებით ვართ დაკავებულები. შესაბამისად, ჩვენთვის ამ გზის გაგრძელება ძალზე მნიშვნელოვანია. საყურადღებოა, თუ რას ფიქრობს ამ გეზზე, კურსზე, კონცეფციაზე თავად კუპერი. ჩვენი აზრით, ეროვნულმა გუნდმა შევსება ახალგაზრდა ფეხბურთელებით, ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული მოთამაშეებით უნდა მიიღოს. ფინანსურ დეტალებზე უკვე იყო ლაპარაკი. თუმცა ჩემთვის უფრო მთავარია, უშუალოდ კუპერისგან მოვისმინო, თუ რას და როგორ აპირებს, როგორია მისი ხედვა.

**- ექტორ კუპერი ხვალ „ვიტ ჯორჯია“-“ტრნავას“ მატჩს დაესწრება?**

- ჩვენი დიდი სურვილია, კუპერი ამ მატჩს დაესწროს.

## კუპერს სამი არგენტინელი და ერთი ქართველი დაეხმარება

*არგენტინელი მწვრთნელი ორი დღით კი ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ შესაძლოა, კუპერის თბილისური ორი დღე ერთით შემცირდეს. როგორც ირკვევა, ეს საქმეს სჭირდება... ამ თემაზე ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე გვესაუბრება.*

- კუპერს მოეწონა აქაური ინფრასტრუქტურა და სხვათა შორის, თბილისიც. რაც შეეხება კონტრაქტს, ჩვენი იურისტები მუშაობენ და ერთ-ორ დღეში საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**- კუპერთან სავარაუდო კონტრაქტისთვის რა დეტალები დარჩა შესათანხმებელი?**

- ტექნიკური და ფინანსური მხარე თითქმის შეთანხმებულია. კონცეფციაზე დღეს საღამოს კიდევ ვისაუბრებთ. იმედია, კუპერი ისეთს არაფერს გვეტყვის, რომ შეგვაშინოს...

**- თუ კუპერმა ჩვენი ნაკრები ჩაიბარა, რამდენი თანაშემწე ეყოლება მას არგენტინელი და რამდენი ქართველი?**

- შეთანხმების მიხედვით, თუ კუპერი ეროვნული ნაკრების თავკაცი გახდება, მას სამი არგენტინელი ასისტენტი ეყოლება - ერთი თანაშემწე, ფიზმომზადებისა და მეკარეების მწვრთნელები.

**- ქართველი ასისტენტი თუ ეყოლება და რამდენი?**

- ამაზე დღეს უნდა ვისაუბროთ. პირველადი შეთანხმებით, კუპერს არანაირი პრობლემა არ აქვს, მის შტაბში ქართველი ასისტენტი იყოს. ჩვენი აზრით, კუპერს ერთი ქართველი, სრულფასოვანი თანაშემწე უნდა ჰყავდეს.

**- ალბათ შერჩეულიც გყავთ და შეგიძლიათ დაგვისახელოთ?**

- რამდენიმე კანდიდატურა გვყავს და მათგან საუკეთესოს ავარჩევთ.

**- „ვიტ ჯორჯიის“ მატჩს კუპერი შესაძლოა, არ დაესწროს?**

- ვნახოთ, თუ რა ეტაპამდე წარიმართება მოლაპარაკებები. თუ საღამომდე ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, შესაძლოა, დროის მოგების მიზნით, კუპერი ამ საღამოსვე გაბრუნდეს უკან.

**- კუპერმა მოსაფიქრებლად 48 საათი ითხოვა...**

- დავილაპარაკებთ, ყველაფერს აწონდაწონის და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ერთობლივად მივიღებთ.

**დავით ცაბაძე**
**ავტორის ფოტოები**

*P.S. კუპერსა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებები წუხელ დასრულდა. არგენტინელი თბილისში ორი დღე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გადაწყვიტა, შინ წუხელ დაბრუნებულიყო. უჩა უგულავამ გვითხრა, რომ შეთანხმება მიღწეულია. თუ 1-ელ აგვისტოს ალმასკომი მასზე გააკეთებს არჩევანს, მაშინ არგენტინელი მწვრთნელი ერთ კვირაში თბილისში დაბრუნდება.*



დაპირისპირება

# კანტონა: კრისტიანო, იდიოტივით არ მოიქცე!

**კრისტიანო რონალდოს** მადრიდის "რეალში" თამაშის სურვილი ძალიან ძვირად უჯდება. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა უამრავი ადამიანი გადაიმტერა. მათ შორის, უახლოესი მეგობრებიც. დღე ისე არ ჩაივლის რონალდო რომელიმე ცნობილმა ფეხბურთელმა, მწვრთნელმა ან ჟურნალისტმა არ გააკრიტიკოს. ასე მოხდა ამჯერადაც. "წითელი ეშმაკების" ვარსკვლავის წინააღმდეგ **ერიკ კანტონამ** და **რაინ გიგზმა** გაილაშქრეს. თავდაპირველად ფრანგი ვეტერანის მოსაზრებას გაგაცნობთ:

*"ვიცი რონალდო რამხელა ცდუნებას განიცდის. "რეალი" დიდ ფულს და ბრწყინვალე კარიერას ჰპირდება, მაგრამ ამ კომერციულ ფანდს რომ წამოეგოს, კრისტიანო იდიოტი და უვიცი იქნება. მას ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა დროის ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელად იქცეს. "ოლდ ტრეფორდზე" არასდროს არაფერს დაგიკარგავენ. მანჩესტერელი გულშემატკივრები უმადურები არ არიან. შეიძლება პრობლემები გქონდეს, მაგრამ ამის გამო გინებას არ დაგიწყებენ. პირიქით, მხარში დაგიდგებიან და კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებიან. ჩემი აზრით, რონალდო მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი რომ არის, ეს დიდწილად "იუნაიტედის" დამსახურებაა. მე პირდაპირ საუბარი მიყვარს. ასე რომ, კრისტიანო რონალდოსაც პირდაპირ მივმართავ: ჩემო პატარა მეგობარო, იდიოტივით არ მოიქცე. როგორც გამოცდილი ფეხბურთელი, გირჩევ, რომ მანჩესტერში დარჩე და გულით ითამაშო. "რეალი" შენს კარიერას დაასამარებს. თუ დამიჯერებ, მოგებული დარჩები, თუ არა და წლების შემდეგ ჩემს სიტყვებს მწარედ გაიხსენებ".*

გიგზი კანტონასავით პირდაპირი არ ყოფილა, მაგრამ უელსელმა ვეტერანმა საკუთარი სათქმელი მაინც თქვა:

*"პირადად ჩემთვის გაუგებარია, კრისტიანო ასე რატომ იქცევა. მას შეეძლო, "რეალი" თავიდანვე უარით გაესტუმრებინა, მაგრამ ის კეკლუცობას აგრძელებს და ამით დაძაბულობა იზრდება. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს დაძაბულობა, პირველ რიგში, "მანჩესტერ იუნაიტედს" უქმნის პრობლემას. მე რომ რონალდოს ადგილზე ვიყო, სამეფო კლუბს არც კი დაველაპარაკებოდი. რა თქმა უნდა, ეს მისი გადასაწყვეტია, მაგრამ არ უნდა დაავიწყდეს, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავად სწორედ "ოლდ ტრეფორდზე" ჩამოყალიბდა".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ლივერპული

# ბერი მაინც ბენიტესთან

## ბირმინგემელები 17.5 მილიონსა და ფინენს დათანხმდნენ

"ლივერპულმა" მაინც მიაღწია მიზანს. "ასტონ ვილისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი **გარეთ ბერი** "ენფილდ როუდზე" ითამაშებს. კლუბები 19 მილიონ გირვანქაზე შეთანხმდნენ. ფეხბურთელს სამედიცინო შემოწმებას დღეს ან ხვალ ჩაუტარებენ.

"ლივერპული" აღარ ხუმრობს. ორიოდე დღის წინ მან "ტოტენჰემს" 20 მილიონი გირვანქა გადაუხადა და **რობი კინი** შეიძინა. "დეილი მეილის" ცნობით, მერსისაიდელები "ვილას" 17.5 მილიონ გირვანქას მიუთვლიან. დარჩენილი 1.5 მილიონის სანაცვლოდ კი გამოცდილ მცველს, **სტივ ფინენს** გადაულოცავენ. ფინენი თანახმაა, კარიერა "ვილა პარკზე" გააგრძელოს.

მერსისაიდელები, ამასობაში, ზედმეტი ფეხბურთელების გაყიდვას ცდილობენ. მრავალმილიონიანი ტრანსფერები მათ ნაწილობრივ ამ გარიგებებით უნდა დააფინანსონ. წამსვლელთა სია საკმაოდ შთამბეჭდავია. "ლივერპულს" კონკრეტული შეთავაზებები აქვს **ჯერმეინ პენანტსა** და **იოსი ბენაიუნთან** დაკავშირებით (ამ უკანასკნელის საქმე უკვე გადაწყვეტილია). ინტერესის ნაკლებობას არც **ანდრეი ვორონინი**, **ალვარო არბელოა** და **ჩაბი ალონსო** უჩივიან.

რაც შეეხება ბერის, ბენიტესმა "ვილას" მოლაპარაკებების დაწყება მაისის მიწურულს შესთავაზა. ბირმინგემელებმა ცივი უარი განაცხადეს. შემდეგ ფეხბურთელმა თავად ითხოვა "ლივერპულში" გაყიდვა. მან "სანისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა - მოუთმენლად ველოდები "ენფილდზე" გადასვლასო. "ვილას" რეაქციამ არ დააყოვნა: კაპიტანს ერთი კვირის ხელფასი დაუქვითეს. ცხადი გახდა, რომ ამგვარი სანქციებით ფეხბურთელის შენარჩუნებას შეუძლებელი იყო.

ერთი ხანობა, ბერის შეძენა "არსენალმაც" მოისურვა, მაგრამ "ლივერპულმა" ფეხბურთელი არავის დაუთმო. 27 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა "ასტონ ვილაში" 327 მატჩი ჩაატარა და 36 გოლი შეაგდო. გასულ შაბათს, მან დანიური "ოდენსეს" წინააღმდეგ, ინტერტოტოს თასზე ითამაშა. მოსალოდნელი ტრანსფერის მიუხედავად, გულშემატკივრები კაპიტანს თბილად შეხვდნენ.



გარეთ ბერიმ სურვილი აიხდინა, ის ლივერპულში ითამაშებს



დევიდ ბენტლი ტოტენჰემელია

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბენტლიმ ტოტენჰემს მიაშურა

## ინგლისელი 15 მილიონად, რუსი 19 მილიონად: არშავინსაც ლონდონში ელოდებიან

გადაწყდა: **დევიდ ბენტლი** "ტოტენჰემში" გადადის. "ბლექბერნი" ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას მიიღებს. გუშინ ახალგაზრდა ვარსკვლავი ლონდონში ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა. დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია. დევიდი აბსოლუტურად ჯანმრთელია. ტრანსფერის განხორციელებას ალარაფერი უდგას წინ.

"ტოტენჰემი" ბენტლის იმ ფულით შეიძენს, რომელიც "ლივერპულმა" **რობი კინის** სანაცვლოდ უნდა გადაიხადოს. მოგეხსენებათ, ორი დღით წინ "მამლებმა" ირლანდიელი თავდამსხმელი 20 მილიონ გირვანქად გაყიდეს. რობი კინის შემცვლელის ვინაობა ცნობილია - ლონდონელები **ანდრეი არშავინს** 19 მილიონ გირვანქად ყიდულობენ. ამ ინფორმაციას პოპულარული ტაბლოიდი "დეილი მეილი" ავრცელებს.

"ტოტენჰემის" გულშემატკივრებს უკმაყოფილების საფუძველი არ აქვთ. ორი ახალგაზრდა ვარსკვლავი ჩინებული შენაძენია. განიხილება რუსეთის ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელის, **რომან პავლიუჩენკოს** საკითხი. მას იმ შემთხვევაში შეიძენენ, თუ **დიმიტარ ბერბატოვი** სათანადო ფასში გაიყიდება. შეგახსენებთ, "ტოტენჰემის" თავმჯდომარე **დანიელ ლევის** "მანჩესტერ იუნაიტედის" მიერ შეთავაზებული 20 მილიონი გირვანქა ეცოტავება და 35 მილიონს ითხოვს. შედარებისათვის, პავლიუჩენკოს ტრანსფერი მას სულ რაღაც 12 მილიონი დაუჯდება.

მანჩესტერ სიტი

# ბენაიუნიც და ნიემიც

"მანჩესტერ სიტი" მზადაა, **იოსი ბენაიუნის** სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. "ლივერპულისა" და ისრაელის ნაკრების ნახევარმცველს "ვესტ ჰემიც" ეპატიჟება, მაგრამ მათი შეთავაზება მოკრძალებულია - 5 მილიონი გირვანქა. მერსისაიდელების თავკაც **რაფა ბენიტესს** ბენაიუნის გაყიდვა ძალიან ეჩქარებოდა. მას ეს ფული **გარეთ ბერის** ტრანსფერში სჭირდებოდა. ამიტომ ერთ მილიონსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

"მანჩესტერ სიტის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. **მარკ ჰიუზი** "ფულჰემის" მეკარე **ანტი ნიემის** ეპატიჟება. ფინელი გოლკიპერი 36 წლისაა. "სიტის" ორი ახალგაზრდა კარის დარაჯი ჰყავს - **ჯო ჰარტი** და **კასპერ შმაიხელი**. ჰიუზის აზრით, გამოცდილი ნიემის გვერდით თამაში მათ ძალიან წაადგებათ. დღეს წერტილი დაესმება ისრაელის ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელის, **ტალ ბენ ჰაიმის** ტრანსფერს. მანჩესტერელები მას "ჩელსიდან" 5 მილიონ გირვანქად ყიდულობენ. ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ "სიტიმ" **ბერნარდო კორადი** "რეჯინაში" გაყიდა.




გუშინ სიტიმ ბენ ჰაიმის ტრანსფერი სრულყო



კიოლნი

# პეტიტი დაუმთან

## პატარა კიოლნის დიდი გარიგება

სამშაბათს, პორტუგალიელი ნახევარმცველი **არმანდო გონსალვეშ ტეიშეირა**, იგივე **პეტიტი** კიოლნში ჩავიდა. გერმანული კლუბის ფანები მას აეროპორტში უდიდესი ზარ-ზეიმით დახვდნენ. გუშინ პეტიტმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და ოდნავ მოგვიანებით, "თხების" ხელმძღვანელებმა გაჩარხული ტრანსფერი ოფიციალურად გამოაცხადეს: ფეხბურთელი, რომელსაც პორტუგალიის ნაკრებში 57 მატჩი აქვს ჩატარებული, ბუნდესლიგაში აღზევებული "კიოლნის" მოთამაშე გახდა.

კიოლნელთა განცხადებით, პეტიტმა "თხებს" ყოველგვარი საზღაურის გარეშე მიაშურა - ფეხბურთელს "ბენფიკის" ბოსებისთვის გათავისუფლება უთხოვია და თანხმობაც მიუღია. "კიოლნთან" მან 2+1 სისტემის კონტრაქტს მოაწერა ხელი.

*"ყოველთვის მინდოდა, რომ სადმე სხვაგან მეთამაშა. სწორედ ამიტომ, ძალიან მიხარია, რომ "კიოლნში" გადმოსვლის შესაძლებლობა მომეცა. ამ გუნდის ხელმძღვანელებმა დამარწმუნეს იმაში, რომ ძალიან ვჭირდები და რომ ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურად მომიაზრებენ. ჩემთვის ეს უდიდესი პატივია. ჩემი მხრიდან, გუნდისთვის თავს არ დავზოგავ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ "კიოლნმა" წარმატებებს მიაღწიოს და დაამტკიცოს, რომ მუდმივად გერმანიის ელიტაში თამაშს იმსახურებს,"* - განაცხადა პორტუგალიელმა პრესკონფერენციაზე.

კიოლნელთა მთავარი მწვრთნელი **კრისტოფ დაუმი** შენაძენით ძალიან კმაყოფილია. მას ხომ სწორედ ტიპური ექვსიანი, მაღალი დონის ჩამშლელი ნახევარმცველი სჭირდებოდა. ის ევროპის ჩემპიონატზეც გახლდათ და როგორც იცით, პორტუგალია მეოთხედფინალში გერმანიასთან დამარცხდა. პეტიტმა ევრო 2008-ზე სამივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

2001 წელს პეტიტი "ბოავიშტაში" გახდა პორტუგალიის ჩემპიონი, 2005 წელს კი "ბენფიკასთან" ერთად. ჩემპიონთა ლიგაში ნაჩვენები კარგი თამაშის გამო, 2006 წელს მას "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლიონი" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ახლა კი "კიოლნშია".

**გოტფრიდ ლენცი**

### პლასენტე ბორდოში ჩაირიცხა

**არგენტინის** ნაკრების მცველმა **დიეგო პლასენტემ** "ბორდოს" მიაშურა. 31 წლის ფეხბურთელმა საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონებთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. პლასენტეს სარფიანი შეთავაზებები ჰქონდა საბერძნეთიდან და ესპანეთიდან, მაგრამ მან "ბორდო" აირჩია. გასკონელებმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს. დიეგო ყველაზე მეტად ამ პერსპექტივამ მოხიბლა. თანაც, "ბორდოში" მისი თანამემამულე თავდამსხმელი, **ფერნანდო კავენაგი** თამაშობს. პლასენტემ შარშანდელი სეზონი არგენტინულ "სან ლორენსოში" გაატარა. ის ხუთი წლის განმავლობაში ლევერკუზენის "ბაიერის" ღირსებას იცავდა და 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც კი ითამაშა. გერმანიის შემდეგ პლასენტემ ორი წელი ვიგოს "სელტაში" გაატარა. მის ანგარიშზეა არგენტინის ნაკრებში ჩატარებული 22 მატჩი.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. მწვრთნელების გამოკითხვა

# ყველა ერთ აზრზეა: ჩემპიონი ისევ ბაიერნი გახდება!

## თვრამეტი მწვრთნელიდან, თვრამეტივემ გაჩემპიონება რეკორდმაისტერს უწინასწარმეტყველა

**გერმანიის** ჩემპიონატის დაწყების წინ ჩვენი გერმანელი კოლეგები მწვრთნელებს შორის ტრადიციულ გამოკითხვას ატარებენ ხოლმე. კითხვა ყოველთვის ასე ჟღერს: თქვენი აზრით, ვინ გახდება გერმანიის ჩემპიონი? მიუნხენის "ბაიერნი" ყოველთვის ბუნდესლიგის უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა - ეს ყველამ იცის. მაგრამ წელს პირველად მოხდა ისე, რომ სეზონის დაწყების წინ 18 გუნდის მწვრთნელიდან თვრამეტივე რეკორდმაისტერს უწინასწარმეტყველებს გაჩემპიონებას. თავად განსაჯეთ, "ვერდერის" და "შალკეს" მწვრთნელებმაც კი "ბაიერნი" მიიჩნიეს უმთავრეს და ერთადერთ ფავორიტად. გთავაზობთ თვრამეტივე სპეციალისტის მოსაზრებებს:



ბაიერნის ჩემპიონობა კვლავ გარდაუვალია?

**იურგენ კლინსმანი** (ბაიერნი): *"ცხადია, ჩვენ მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. "ბაიერნს" სხვა შედეგი არასდროს აკმაყოფილებს და ახლაც დარწმუნებული ვართ, რომ პირველობა ჩვენ დაგვრჩება. ამას ძალიან მარტივი მიზეზი აქვს: ჩვენ ყველაზე ძლიერი გუნდი გვყავს."*

**თომას შააფი** (ვერდერი): *"ბაიერნი" ისევ ნომერ პირველი და ერთადერთი ფავორიტია. ცხადია, ჩემპიონობის შანსი ჩვენც გვაქვს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "ვერცხლის სინი" მიუნხენში დარჩება. ნებისმიერი სხვა გუნდის ჩემპიონობა სენსაცია იქნება. მათ შორის, "ვერდერისაც". მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველობისთვის არ ვიბრძოლებთ."*

**ფრედ რუტენი** (შალკე): *"ბაიერნი" გერმანიაში ყოველთვის ფავორიტია. მაგრამ ვფიქრობ, რომ რეკორდმაისტერს "შალკე" ძალიან სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. ჩემმა გუნდმა ბოლო წლებში სერიოზული პროგრესი განიცადა და ახლაც უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე შარშან. პროგრესი უნდა გავაგრძელოთ, მაგრამ არა მგონია, ჩემპიონები გავხდეთ."*

**მარტინ იოლი** (ჰამბურგი): *"ბაიერნი" ყოველთვის ფავორიტია. არც ეს სეზონი იქნება გამონაკლისი. ძალიან მინდა, ჩვენ გავხდეთ ჩემპიონები, მაგრამ მგონია, რომ სინი მიუნხენში დარჩება."*

**ფელიქს მაგათი** (ვოლფსბურგი): *"გერმანიის ჩემპიონი ისევ მიუნხენის "ბაიერნი" გახდება. ჩვენი მიზანი კი შარშანდელი სეზონის შედეგის (მეხუთე ადგილი) მინიმუმ გამეორება და მაქსიმუმ გაუმჯობესება იქნება. ცხადია, მინდა, რომ გერმანიის ჩემპიონები გავხდეთ და ვფიქრობ, რომ ამის შანსი გვაქვს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ფავორიტები ვართ."*

**არმინ ფეე** (შტუტგარტი): *"ტოპ-ფავორიტი, რა თქმა უნდა, "ბაიერნია". ვისაც ყველაზე მეტი ფული აქვს და საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს, ჩემპიონიც ის გახდება. ამ შემთხვევაში ეს "ბაიერნზე" ითქმის."*

**ბრუნო ლაბადია** (ლევერკუზენი): *"მიუნხენელები ყველანაირი თვალსაზრისით ნომერ პირველი ფავორიტები არიან. იურგენ კლინსმანს ძალიან კარგად დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს. "ბაიერნის" სათადარიგო სკამიც იმდენად დიდი და ძლევამოსილია, რომ ეს გუნდი ნებისმიერ პრობლემას გაუმკლავდება."*

**დიტერ ჰეკინგი** (ჰანოვერი): *"შარშან ვიწინასწარმეტყველე, რომ ჩემპიონი "შალკე" გახდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. წელს კი შეცდომას აღარ დავუშვებ. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. სინამდვილეში კი მართლაც დარწმუნებული ვარ, რომ "ვერცხლის სინი" კვლავ მიუნხენში დარჩება. უბრალოდ ვიმედოვნებ, რომ ბავარიელები დიდი უპირატესობით არ გაიმარჯვებენ."*

**ფრიდჰელმ ფუნკელი** (აინტრახტი): *"გერმანიის ჩემპიონი აუცილებლად "ბაიერნი" გახდება, რადგან მიუნხენურ კლუბს საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს და აბსოლუტურად პროფესიული მენეჯმენტი აქვს. "ბაიერნში" ყოველთვის საუკეთესო პირობებია. არა მგონია, რომ კლინსმანის გუნდს ვინმემ სერიოზული კონკურენცია გაუწიოს."*

**ლუსიენ ფავრი** (ჰერტა): *"რომელი გუნდია ყველაზე ძლიერი? რა თქმა უნდა, "ბაიერნი"! შესაბამისად, ამ გუნდის ჩემპიონობა ისევ გარდაუვალია. ვფიქრობ, "შალკე" და "ვერდერი" რეკორდმაისტერისთვის წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კლინსმანის გუნდს სიცოცხლე გაუმწარონ, მაგრამ არა მგონია, რომელიმე მათგანმა ეს მოახერხოს."*

**ედმუნდ ბეკერი** (კარლსრუე): *"უმთავრესი ფავორიტი, რა თქმა უნდა, "ბაიერნია". რეკორდმაისტერისთვის კონკურენციის გაწევის შანსი კი მხოლოდ "შალკეს" და "ვერდერს" აქვთ. მეტს არავის!"*

**მარსელ კოლერი** (ბოხუმი): *"ჩემპიონობისთვის, ცხადია, ისევ "ბაიერნი", "შალკე" და "ვერდერი" იბრძოლებენ. არ გამოვრიცხავ, რომ სხვა რომელიმე გუნდმა სიურპრიზები შემოგვთავაზოს. ამის შანსი "ვოლფსბურგს" აქვს, მაგრამ არა მგონია, ეს სიურპრიზი იმდენად დიდი იყოს, რომ 34-ე ტურის შემდეგ, პირველ ადგილზე "ვოლფსბურგი" ვიხილოთ."*

**იურგენ კლოპი** (დორტმუნდი): *"ფავორიტი ისევ "ბაიერნია". ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. რეკორდმაისტერს უბრალოდ საუკეთესო გუნდი ჰყავს. სხვათა შორის, იურგენ კლინსმანს დიდად ვემადლიერები იმის გამო, რომ მიუნხენში ბევრი რამ შეცვალა და ახალი მეთოდები დაამკვიდრა. ეს მთელ ბუნდესლიგას ეხმარება იმაში, რომ ძველი და უკვე უსარგებლო სტერეოტიპები დაიმსხვრეს."*

**ბოიან პრასნიკარი** (კოტბუსი): *"ჩემპიონობას, რა თქმა უნდა, "ბაიერნს" ვუწინასწარმეტყველებ. ბავარიულ გრანდს არც ერთი წამყვანი ფეხბურთელი არ გაუყიდია. მეტიც, "ბაიერნი" კიდევ უფრო გაძლიერდა. სამწუხაროდ, გერმანიაში ამ დონისა და რანგის მეორე გუნდი არ არსებობს. "ბაიერნი" ბუნდესლიგაში მწვერვალზეა და იქვე დარჩება."*

**მიხაელ ფრონტცეკი** (არმინია): *"ბაიერნს" საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს და იდეალური პირობები აქვს იმისათვის, რომ "ვერცხლის სინი" არავის დაუთმოს. თავად განსაჯეთ, რეკორდმაისტერში გერმანიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელებიც კი ხშირად სათადარიგოთა სკამზე სხედან. "ბაიერნის" შემდეგ ადგილებს "ვერდერი", "ჰამბურგი", "ვოლფსბურგი" და "შალკე" გაინაწილებენ."*

**იოს ლუჰუკაი** (მიონხენგლადბახი): *"გერმანიის ჩემპიონი "ბაიერნი" გახდება. მეტი რაღა უნდა ვთქვა?"*

**რალფ რანგნიკი** (ჰოფენჰაიმი): *"ისევ "ბაიერნი" იზეიმებს. მე კი იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ჩვენც ვიბრძოლებთ "ვერცხლის სინისთვის".*

**კრისტოფ დაუმი** (კიოლნი): *"ტიტული ისევ "ბაიერნს" დარჩება, ამაში ეჭვი არ მეპარება. მეორე-მესამე ადგილებს კი ალბათ "შალკე" და "ვერდერი" გაიყოფენ. სიურპრიზებს ველი "ვოლფსბურგისგანაც".*

ინტერვიუ ბასტიან შვაინშტაიგერთან

# უსამართლოდ ნუ გამაკრიტიკებთ!

## შვაინის, უცხოეთში წასვლას, გერმანიაში დარჩენა ურჩევნია, მაგრამ ბაიერნთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქაროზს

**ბასტიან შვაინშტაიგერმა** ევროპის ჩემპიონატზე ტრადიციულად კარგად ითამაშა. ტრადიციულად-თქო, იმიტომ ვამბობთ, რომ მართლაც ასე დასჩემდა: "ბაიერნში" ბოლო დროს ძალიან ცუდად გამოიყურება, გერმანიის ნაკრებში კი ბრწყინავს. ამის გამო მას "ბაიერნის" ხელმძღვანელები გასულ სეზონში ძალიან ხშირად აკრიტიკებდნენ. 23 წლის ნახევარმცველს "კიკერის" კორესპონდენტი ამ და კიდევ არაერთ საინტერესო თემაზე ესაუბრა.

**- ჰერ შვაინშტაიგერ, დორტმუნდის "ბორუსიასთან" წაგების შემდეგ, "ბაიერნმა" კიდევ ერთი ტესტ-მატჩი ვერ მოიგო - 0:0 "კიოლნთან". თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია შედეგი ამხანაგურ შეხვედრაში?**

- შედეგი ყოველთვის მნიშვნელოვანია. თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს მოსამზადებელი პერიოდია და ასეთ დროს ტესტ-მატჩებში წარუმატებლობა საპატიო გახლავთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ "კიოლნის" დამარცხება არ გვსურდა.

**- მომავალი სეზონი თქვენთვის "ბაიერნის" ფეხბურთელის რანგში რიგით მეშვიდე იქნება. რა მიზნებს ისახავს ბასტიან შვაინშტაიგერი ამჯერად?**

- იმავე მიზნებს, რაც შარშან ამ დროს მქონდა. მინდა, გუნდისთვის მაქსიმალურად დავიხარჯო და ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ. ჩვენ გერმანიის ჩემპიონატისა და თასის მოგება გვინდა. ჩემპიონთა ლიგაშიც მაქსიმალურად შორს წასვლა და დიდი გუნდებისთვის კონკურენციის გაწევა გვსურს.

**- აქვს კი "ბაიერნს" იმის პოტენციალი, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდეს?**

- რა თქმა უნდა. ფინალში თუ არა, მინიმუმ ნახევარფინალში გასვლის პოტენციალი ნამდვილად გვაქვს. ცხადია, სხვა გრანდები შედარებით ძლიერები არიან და შესაძლოა, ჩვენზე ძლიერებიც იყვნენ, მაგრამ "ბაიერნს" ჰყავს გუნდი, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია.

**- პირადი მიზნების შესახებ გვითხარით.**

- მინდა, რომ პროგრესი გავაგრძელო და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო.

**- ევროპის ჩემპიონატზე თითქმის ყველაფერი გამოცადეთ, რისი გამოცდაც შეიძლებოდა: სკამზეც იჯექით, წითელი ბარათიც მიიღეთ, ორი გოლიც გაიტანეთ...**

- ვფიქრობ, ევრო 2008 ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე გიჟურ მოგონებად დარჩება. საერთოდ, გერმანიის ნაკრებიც არ იყო სტაბილური: ჯერ კარგად ვითამაშეთ, მერე ცუდად, მერე საშუალოდ და ბოლოს ფინალში წავაგეთ. ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემი თამაშით საბოლოო ჯამში კმაყოფილი დავრჩი. საკმაოდ კარგი მატჩები ჩავატარე. ცხადია, თუ არ ჩავთვლით გაძევებას.

**- ძალიან გაბრაზდით, როცა პოლონეთთან მატჩში იოახიმ ლიოვმა სათადარიგოთა სკამზე დაგსვათ?**

- შეიძლება ითქვას, რომ იმედგაცრუებული ვიყავი. მაგრამ როცა მოედანზე შევედი, დავამტკიცე, რომ ძირითადში მოხვედრის ღირსი ვიყავი, გავაკეთე რა საგოლე პასი.

**- ბოლო დროს გერმანიის ნაკრებში საქმეები გაცილებით უკეთ მიგდით, ვიდრე "ბაიერნში". რას უნდა მივაწეროთ ეს ფაქტი?**

- გნებავთ ნაკრებში და გნებავთ კლუბში მე ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებ. ცხადია, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატს სულ სხვა დატვირთვა აქვს და ასეთი რანგის ტურნირზე ნებისმიერი ფეხბურთელი განსაკუთრებულად მოტივირებულია. ნაკრებში უფრო შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობ და შესაძლოა, თქვენ მიერ წამოჭრილი საკითხი ამის ბრალიც კი იყოს, მაგრამ "ბაიერნშიც" ყოველთვის იმას ვაკეთებ, რასაც მწვრთნელები ჩემგან ითხოვენ.

**- "ბაიერნში" თავისუფლებას ნაკლებად განიჭებენ?**

- ასე არ ვიტყოდი. ტაქტიკურ დისციპლინას ხომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაქსიმალურად უნდა ვეცადო, რომ ტაქტიკას მოვერგო და არა პირიქით. საბოლოო ჯამში, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გუნდის წარმატებაა და არა რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელის კარგად თამაში და შედეგიანობა.



ბასტიან შვაინშტაიგერი კიოლნთან ამხანაგური მატჩის (0:0) დროს

**- "ბაიერნში" ძალიან ხშირად გაკრიტიკებენ. ეს განსაკუთრებით უკანასკნელ სეზონზე ითქმის, როცა მენეჯერმა ული ჰიონესმა თქვენი შესაძლებლობები კითხვის ნიშნის ქვეშ არაერთხელ დააყენა...**

- ძალიან კარგად ვიცი, რის მიღწევასაც ცდილობს ხოლმე ჰიონესი. ისიც ვიცი, რომ გასულ სეზონში კარგად არ გამოვიყურებოდი. ცხადია, მეც მინდოდა, მეტი გოლი გამეტანა და მეტი საგოლე პასი გამეკეთებინა. თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასულ სეზონში "ბაიერნიდან" ჩემზე მეტი პასი არავის გაუკეთებია. იმედი მქონდა, რომ 5-6 გოლით მეტს გავიტანდი. ასე რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, არავინ გამაკრიტიკებდა. მჯერა, ფანები გამიგებენ, რადგან ფაქტია, რომ თავი არც ერთ შეხვედრაში არ დამიზოგავს. ფეხბურთი ისეთი რამ არის, რომ ყოველთვის კარგად ვერ ითამაშებ.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ სხვებზე სწრაფად და მძაფრად, ანაც ხშირად უსამართლოდ გაკრიტიკებენ?**

- იყო მომენტები, როცა ასეთი აზრი მართლაც დამებადა. საერთოდ, გერმანიაში კრიტიკა უფრო გაბუქებულია ხოლმე, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. აგერ, გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, მაგრამ პრესამ ეს მაინც არ დააფასა. თუმცა ეს ჩვენთვის, ფეხბურთელების დამატებითი მოტივაციაა.

**- ჰო, კრიტიკოსები და ჟურნალისტები თქვენი მეგობრები ნამდვილად არ არიან...**

- იცით, რაშია საქმე?! - რაც იწერება, ყოველთვის მართალი არ არის. სწორედ ეს ფაქტი მიშლის ხოლმე ნერვებს. ამ თემაზე მეტს აღარაფერს ვიტყვი.

**- დღესდღეობით, "ბაიერნში" ყველაზე დიდი კონკურენცია ნახევარდაცვაშია. სად ხედავთ თქვენს ადგილს, მარცხნივ, მარჯვნივ თუ ცენტრში?**

- მე ცენტრალური ნახევარმცველი ვარ და, რა თქმა უნდა, მირჩევნია, რომ ამ პოზიციაზე ვითამაშო. მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდა, რომ ფლანგებზეც შემიძლია კარგად თამაში. თუ გაიხსენებთ, ზოგჯერ მესამე თავდამსხმელის როლს ვასრულებდი და განა ტურნირამდე ამას ვინმე წარმოიდგენდა? გაიხსენეთ: ფელიქს მაგათის დროს მარცხენა მცველის პოზიციაზეც მითამაშია და სხვათა შორის, არცთუ ურიგოდ. პირადად მე, ყველაფერს ცენტრალური ნახევარმცველობა მირჩევნია.

**- ხედავთ თუ არა იურგენ კლინსმანში რაიმე განსაკუთრებულ თვისებას?**

- 2004-დან 2006 წლამდე, გერმანიის ნაკრებში მის ხელში ვთამაშობდი და მიმაჩნია, რომ ეს ჩემი კარიერის საუკეთესო წლები იყო. ის არის მწვრთნელი, რომელიც თავის მოსაზრებებს და იდეებს უპრობლემოდ და ძალიან მარტივად გადმოსცემს. თანაც, ყველასგან განსხვავებული ტიპაჟია - 100-დან 99-მა კაცმა რომ "ჰო" თქვას, დიდი შანსია, რომ კლინსმანისგან "არა" მოვისმინოთ. ეს დიდად დასაფასებელი თვისებაა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ასეთ შემთხვევებში ძალიან მალე გამოჩნდება ხოლმე, რომ თურმე კლინსი აბსოლუტურად მართალი ყოფილა, ის 99 კაცი კი ცდებოდა.

**- ვინ არის თქვენთვის კლინსმანი - შეფი, მეგობარი თუ უბრალოდ ტიპი, რომელსაც ენდობით?**

- ის, რა თქმა უნდა, შეფია. კლინსმანი ჩემთვის იოახიმ ლიოვთან, ოლივერ ბირჰოფთან, ული ჰიონესთან და კარლ-ჰაინც რუმენიგესთან ერთად იმ სიას განეკუთვნება, ძალიან რომ ვაფასებ.

**- ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რუმენიგეს თქვენი კონტრაქტის გაგრძელება უნდოდა - კონტრაქტისა, რომელსაც ვადა 2009 წელს გასდის. ახალი ხელშეკრულება დღემდე არ გაგიფორმებიათ. რატომ?**

- ამ ეტაპზე, ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერს ვიტყვი.

**- თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ რაც არ უნდა მოხდეს, პირველ რიგში, "ბაიერნის" ხელმძღვანელებს დაელაპარაკებით და მხოლოდ ამის შემდეგ სხვა კლუბებს. უცხოეთში წასვლის პერსპექტივა არ გხიბლავთ?**

- სხვათა შორის, ამაზე ბევრი გერმანელი ფეხბურთელი ოცნებობს. პირადად მე, გერმანულ გრანდში თამაშის და ამ გრანდთან ერთად უდიდესი წარმატებების მიღწევის პერსპექტივა უფრო მხიბლავს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ბიჭები ტატამისკენ იწევენ

კიდევ 8 დღე და ჩინეთის დედაქალაქ პეკინში საზეიმოდ გაიხსნება 21-ე საუკუნის რიგით მეორე უდიდესი სპორტული ფორუმი - ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები, რომელშიც საქართველოს 35 წარმომადგენელი მოსინჯავს ძალებს.

რაც უფრო ახლოვდება ოლიმპიადა, ქართველ გულშემატკივრებს მით მეტად აინტერესებთ ჩვენი ათლეტების ფიზიკური და ნებელობითი მომზადება, რამდენად შესწევთ უნარი, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ მსოფლიოს რჩეულ ოლიმპიელებს.

წინა თამაშებზე, ათენში ყველაზე მეტად, ძიუდოისტებმა გაგვახარეს, რომლებმაც თითო ოქროს (**ზურაბ ზვიადაური**) და ვერცხლის (**ნესტორ ხერგიანი**) მედალი დაიმსახურეს. ჯილდოებისთვის ბრძოლაში ახლაც ერთ-ერთი პირველები სწორედ კიმონოიანი ბიჭები ჩაერთვებიან და, იმედია, ამჯერადაც გვასახელებენ. ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ხაბარელის** შეგირდები სრული გუნდით წარდგებიან შეჯიბრებაზე. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მათ ვინაობას, ვინც პეკინში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ. ესენი არიან: **ნესტორ ხერგიანი** (60 კგ.), **ზაზა კეძელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **საბა გავაშელიშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე წონა). აკლიმატიზაციის გავლის მიზნით, ისინი ერთი კვირაა, ყაზახეთში იმყოფებიან.

გუშინ შოთა ხაბარელს ტელეფონით შევეხმიანეთ.

- ჩინეთის საზღვრიდან 200 კილომეტრზე ერთ პატარა ქალაქში დავბანაკდით, - გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა. - საწვრთნელ შეკრებაზე ჩვენთან ერთან არიან ყაზახები, ბერძნები, აზერბაიჯანელები და ლიტველები. იდეალური სიტუაციაა. მასპინძლებმა ვარჯიშისა და აქტიური დასვენების შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს. ბიჭები მხნედ და ჯანმრთელად გრძნობენ თავს. ერთი სული აქვთ, როდის გავლენ ოლიმპიურ ტატამზე. უკვე შევეჩვიეთ აქაურ კლიმატსა და დროში სხვაობას. ვფიქრობ, ამ მხრივ, პეკინში პრობლემები არ შეგვექმნება. ოლიმპიადის დედაქალაქში 7 აგვისტოს გავემგზავრებით, ცხრაში კი ყველაზე ტიტულოვანი ნესტორ ხერგიანი, რომელმაც ათენში „ვერცხლი" მოგვიტანა, მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებმება.


შოთა ხაბარელი

**- ბატონო შოთა, გულშემატკივრებს თქვენი სჯერათ...**

- ჩვენც გვესმის მათი და გულითად მადლობას ვუხდით ყველას აქტიური მხარდაჭერისთვის. მინდა ვირწმუნო, რომ დღევანდელი თანადგომაც მომავალ გამარჯვებათა საწინდარი იქნება. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ქომაგების იმედები გავამართლოთ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# მჭედლიშვილი დანიაში

მაშინ, როცა ქართველი მოჭადრაკეები თურქეთსა და საბერძნეთში ცდილობენ ტურნირებში თავის გამოჩენას, ზოგიერთი ევროპისა თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას არჩევს. საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო დიდოსტატ **მიხეილ მჭედლიშვილს** გულმა დანიის დედაქალაქისკენ გაუწია, სადაც დიდი საჭადრაკო ფესტივალი გაიმართა. მონაწილეთა რაოდენობა ძალზედ შთამბეჭდავი იყო - 280; კიდევ მეტ შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველზე შემადგენლობა, უფრო სწორად მონაწილე დიდოსტატთა სახელები: პირველ ნომრად 2716 რეიტინგის მფლობელი უკრაინელი **პაველ ელიანოვი** იყო. 2600 და მეტის მქონე კი რვა მოიძევებოდა, მათ შორის არის ქართველიც - მჭედლიშვილს 2604 სარეიტინგო ქულა აქვს და განთესვით მეცხრე გახლდათ ტურნირზე.

ევროპაში ასეთ ტურნირებს რატომღაც განსხვავებული სისტემით მართავენ. ცხადია, ორგანიზატორებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეუძლიათ გათამაშების ფორმულის დადგენა, მაგრამ როცა ათ ტურად ატარებ ტურნირს და დღეში ორჯერ თამაშს ავალდებულებ მონაწილეებს, ცოტა გაუგებარია. თანაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორგანიზატორებმა დროის კონტროლიც შეცვალეს: პირველ ორმოც სვლაზე 100 წუთი გამოყვეს, ნაცვლად კლასიკური 90 წუთისა; 40 სვლის შემდეგ 30 წუთი ეძლეოდათ, ყოველ სვლაზე 30-წამიანი მატებით.

მიხეილ მჭედლიშვილმა შესანიშნავად ითამაშა, მთელი ტურნირი წაუგებლად გაიარა, მაგრამ როგორც მას სჩვევია, ყაიმებიც საკმაოდ გამოურია, რაც ტურნირის მოსაგებად ხელის შემშლელი ფაქტორი გამოდგა. ამის მიუხედავად, მაღალი საფეხური დაიჭირა ცხრილში - მეშვიდე-მეთხუთმეტე ადგილები გაიყო და კარგი კოეფიციენტის წყალობით მერვე ადგილზე გავიდა.

ტურნირის გამარჯვებული კი ჰოლანდიელი **სერგეი ტივიაკოვი** (2645) გახდა, რომელმაც 8 ქულა დააგროვა. ამდენივეს მოუყარეს თავი რუსმა **ვლადიმირ მალახოვმა** (2689), უკრაინელმა **იური კუზუბოვმა** (2578), დანიელმა **პეტერ ჰაინე ნილსენმა** (2652), რუსმა **ბორის სავჩენკომ** (2578) და შვედმა **ჯონი ჰექტორმა** (2537). საბოლოო ადგილები მათ აღნიშნული თანმიმდევრობით გაუნაწილდათ...

ზვიად შათირიშვილი

ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი
29 ივლისი-3 აგვისტო. სტამბოლი (თურქეთი)

# კვლავ უმედლოდ დავრჩით


უჩა შავაძის (ქვემოთ) მორიგი ილეთი სტამბოლში

მოჭიდავეთა მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე, რომელიც სტამბოლში იმართება, ჩვენს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე სპორტსმენებს პირველზე უიღბლო დღე ჰქონდათ – გუშინ მედალთან ახლოსაც ვერავინ მივიდა. ასე რომ, შეჯიბრების პირველ დღეს 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში **უჩა შავაძის** მიერ მოპოვებული მეხუთე ადგილი ჩვენთვის საუკეთესოდ დარჩა. ახალგაზრდა „კლასიკოსთა" რვაკაციანი ნაკრები უმედლოდ დარჩა, საოცარი და დასანანი ჩავარდნაა.

55 კგ. წონით კატეგორიაში **ქემალ ხარაბაძემ** კარგად დაიწყო ტურნირი. პირველ წრეში მან კორეელი **სანგ-ვუ ნამი** დაამარცხა – 1:1, 3:1. მეორე წრეში ქემალი მოულოდნელად აზერბაიჯანელ **ელჩინ ალიევთან** დამარცხდა – 0:6, 0:5. შემდეგ წრეში აზერბაიჯანელიც დამარცხდა. ასე რომ, ხარაბაძე ასპარეზობას გამოეთიშა.

66 კგ. წონით კატეგორიაში **რამაზ ვაშაყმაძემ** პირველივე რაუნდში წააგო სერბ **ალექსანდრ მაქსიმოვიჩთან** – 0:3, 0:6. ბედად, სერბმა ფინალში გააღწია, რის წყალობითაც რამაზს კიდევ მიეცა შანსი. სამწუხაროდ, ქართველმა რეპეშაჟის პირველ წრეშიც წააგო, ამჯერად – ბელარუს **ილია კარპევთან** ორ პერიოდში – 1:1, 1:1. ორივეჯერ პერიოდის ბოლოს ქულა ბელარუსმა მოიგო, რაც გადამწყვეტია.

84 კგ-ში **გიორგი ჭუმბაშვილმა** პირველი წრე მოუგო ეგვიპტელ **აჰმედ ელაზიზის** – 4:0, 3:0, შემდეგ კი მან ორთაბრძოლა იაპონელ ფალავან **მასაიუკი ამანოსთან** დათმო – 0:3, 3:2, 1:1. შემდეგ წრეში იაპონელიც დამარცხდა, რითაც ქართველისთვის ტურნირი დასრულდა.

მძიმე წონაში ევროპის ვიცე-ჩემპიონის, **რამინ შაქარიშვილის** იმედი გვქონდა. რამინმა ერთ თვეში მეორედ აჯობა ესტონელ **მადის სიჰიმეცს** – 3:0, 3:0. მეორე წრეში ქართველის მეტოქე მასპინძელი **რიზა კაიალპი** იყო. შაქარიშვილი დამარცხდა – 0:4, 1:2 და რეპეშაჟში გადაერთო.

რეპეშაჟის პირველ წრეში ჩვენმა მძიმეწონოსანმა ამერიკელ **პიტერ კოვალჩუკს** აჯობა – 1:1, 4:0, 1:1. მეორე წრეში კი რამინი ყირგიზმა **მურატ რამონოვმა** დაამარცხა – 3:0, 1:3, 0:3.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები 13 ქულით მე-11 ადგილზე გავიდა. პირველი სამეული ასეთია: თურქეთი – 59 ქულა; ირანი – 50 და აზერბაიჯანი 33.

ნიკოლოზ ნეფარიძე

55 კგ: 1. ალექსანდრ კოსტადინოვი (ბულგარეთი); 2. არსენ ერალიევი (ყირგიზეთი); 3. მაიკელ ანაჩე (კუბა); 3. ჰარუნ ბოზოღლუ (თურქეთი).. 16. ქემალ ხარაბაძე (საქართველო)

66 კგ: 1. საედ აბდევალი (ირანი); 2. ალექსანდრ მაქსიმოვიჩი (სერბეთი); 3. მიგრან არუთუნიანი (რუსეთი); 3. რაფიქ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი).. 24. რამაზ ვაშაყმაძე (საქართველო)

84 კგ: 1. ზაურ კარეჟევი (რუსეთი); 2. ალდას ლუკოსაიტისი (ლიტვა); 3. ოლექსანდრ შიშმანი (უკრაინა); 3. რობერტ პაპი (რუმინეთი).. 11. გიორგი ჭუმბაშვილი

120 კგ: 1. რიზა კაიალპი (თურქეთი); 2. ბაშირ ბაბაჯანზადე (ირანი); 3. სეზარ ფაგიანი (რუმინეთი); 3. შინიჩი პირაკავა (იაპონია).. 8. რამინ შაქარიშვილი (საქართველო)

ფრენბურთი. მსოფლიო ტური

# საოლიმპიადო განრიგი დადგენილია

პეკინის ოლიმპიადის წინ ბოლო რეპეტიციას, პლაჟბურთის ქართული წყვილები **გეორ-გია** და **საქა-რთველო**, ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე გადიან, რომელიც დიდი სლემის ეგიდით იმართება.

ქალთა შორის საქა-რთველო A ჯგუფში მოხვდა, სადაც წილისყრამ, ისევე როგორც ოლიმპიადაზე, ბრაზილიელებს **ჟულიანასა** და **ლარისას** შეახვედრა. მათ გარდა ჯგუფში მეტოქეებად იტალიელები **ჯიორია-მომოლი** და ჩეხები **ნოვაკოვა-ტობიასოვა** გვერგო.

პირველი შეხვედრა საქა-რთველომ იტალიურ წყვილთან გამართა და სამ სეტში დაამარცხა 21:19, 19:21, 15:12. სამაგიეროდ, ჩვენი ფრენბურთელები ვერას გახდნენ აქამდე უცნობ ჩეხურ დუეტთან და შეხვედრა ორ სეტში დათმეს 23:25, 18:21.

გაალწევს თუ არა ჯგუფიდან საქართველო, დღეს გაირკვევა. საამისოდ, როგორც მინიმუმ, ჩეხურმა წყვილმა იტალიურს უნდა სძლიოს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ჩვენს ფრენბურთელებს ჟულიანასა და ლარისას დამარცხება მართებთ. გეორ-გია ასპარეზობაში დღეს ჩაერთვება.


საქა

ამასობაში, ფრენბურთის მსოფლიო საერთაშორისო ფედერაციამ (FIVB) ოლიმპიური თამაშების განრიგი გამოაქვეყნა. პლაჟბურთის ქართული წყვილები გეორ-გია და საქა-რთველო, რომლებიც წილისყრამ C ჯგუფში მოახვედრა, თავიანთ შეხვედრებს 9, 11 და 13 აგვისტოს გამართავენ.

**9 აგვისტო**

10.00 გეორ-გია(საქართველო)-შახტისლეკი(ასტრალია)

16.00 საქა-რთველო(საქართველო)-ჟულიანა-ლარისა(ბრაზილია)

**11 აგვისტო**

09.00 გეორ-გია(საქართველო)-რიკარდო-ემანუელი(ბრაზილია)

15.00 საქა-რთველო(საქართველო)-ბარნეტი-კუკი(ავსტრალია)

**13 აგვისტო**

06.00 საქა-რთველო (საქართველო)-შირიაევა-ურიადოვა(რუსეთი)

10.00 გეორ-გია(საქართველო)-ფერნანდესი-მორაიში(ანგოლა)

ბესიკ ჯანგავაძე

ქვიშის რაგბი. პრესკონფერენცია

# რაგბი ნარკომანიის წინააღმდეგ

23-24 აგვისტოს ქობულეთში საქართველოს ქვიშის რაგბის კავშირი რიგით მეორე ტურნირს ჩაატარებს მოყვარულთა შორის. კავშირის ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია კაფე „მსოფლიო სპორტში" გამართეს, სადაც მომავალი ტურნირის თაობაზე ისაუბრეს.

**ზურაბ დუგლაძე**, ქვიშის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:

- წლევანდელი ტურნირი შარშანდელთან შედარებით, ვფიქრობთ, უფრო მასშტაბური იქნება. შეჯიბრებაში რვა სამოყვარულო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ მედიის წარმომადგენლებს წლეულს ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებიც შეუერთდებიან.

ტურნირში I არხის, „რუსთავი 2"-ის, ტელეკომპანია „საქართველოს", აჭარის ტელევიზიისა და სპორტული პრესის ნაკრებთან ერთად, ვი-თი-ბი ბანკის, „ბრიტიშ პეტროლიუმისა" და „ჩიფსების თაობის" გუნდები იასპარეზებენ. რვა გუნდი ორ ჯგუფად გაიყოფა. კენჭისყრა ადგილზე, ქობულეთში ჩატარდება.

ჩვენი მიზანია ამ ტურნირის გეოგრაფია გავზარდოთ და საერთაშორისო სტატუსი მივცეთ. ამ მიზნის განხორციელებას ალბათ მომავალ წელს შევძლებთ. თუმცა ლატვიისა და ხორვატიის ქალთა გუნდებს ტურნირზე ჩამოსვლა წლეულსაც სურდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ფინანსურად ვერ გავწვდით მათი სტუმრობისთვის საჭირო ხარჯებს.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს რაგბის კავშირსა და აჭარის ხელისუფლებას მხარდაჭერისთვის. მათთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით ტურნირის ორგანიზებაში „ტოიოტას", „ლიბოს", „ავსტრიის ავიახაზებს", „იოლს", შამპანურ „ბაგრატიონს", „გაერთიანებულ ტელეკომსა" და „ორიფლეიმს". მათი ხელშეწყობით, ვფიქრობთ, ქობულეთში საკმაოდ ხალისიანი დღეები მოგველის.

**ვახტანგ ლებანიძე**, აჭარის სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენელი:

- შარშან ჩატარებულმა ტურნირმა უაღრესად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ყველა მონაწილეც და მაყურებელიც - დადებითი ემოციით იყო დამუხტული. ამიტომ წლეულს აჭარის სპორტის დეპარტამენტმა და ქობულეთის გამგეობამ ტურნირის ორგანიზებისთვის უდიდესი შრომა გასწიეს.

იმედი გვაქვს, რომ შეჯიბრება ტრადიციული გახდება. მიზანი, რაგბის პოპულარიზაცია, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა და რეგიონში ტურისტების მოზიდვაა. მალე, ალბათ, ჩვენს ტურნირში არა მარტო მოყვარულები, არამედ პროფესიონალებიც იასპარეზებენ, მათ შორის უცხოელებიც."

ბესიკ ჯანგავაძე

# გზა სეოკ-ისკენ!

**პიროვნება, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, დაბრძენებული საშუალო ასაკის ადამიანის სანიმუშო განსახიერებაა. თანამედროვეობის ცნობილი მეცნიერი, დოქტორი, ყოფილი პარლამენტარი, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში, აფხაზეთის ომის ვეტერანი, სპორტის თავგამოდებული, კარგი გაგებით შეიძლება ითქვას, ზღვარგადასული ქომაგიც კი... გია ნაცვლიშვილზე მოგახსენებთ.**



სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ლამბის ნიკოლაუ და გია ნაცვლიშვილი

**- ბატონო გია, თქვენ და სპორტი - როდის და როგორ შედგა ნაცნობობა?**

- კომაროვის ცნობილ სკოლაში ვსწავლობდი, სადაც სპორტს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ეს უპირველესად მასწავლებლის დამსახურება იყო. სათამაშო სახეობები გამორჩეულად მიზიდავდა. ახალგაზრდობაში მითამაშია ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის გუნდებში, ხელბურთში მეკარე ვიყავი. ისე, სპორტისადმი ინტერესი სულ პატარაობიდან ლევან თედიაშვილის წარმატებებმა გამიღვივა. საგარეჯოელი ვარ და განსაკუთრებით მეამაყებოდა, რომ ჩვენიანმა ლეგენდარული ფალავნის სახელი დაიგდო. ფეხბურთი თბილისის „დინამოს" შემაყვარა. „ტოტენჰემთან" თამაშს დავესწარი. ბავშვი ვიყავი. გაოცებული დავრჩი აყიოტაჟით, იმ მომენტს რა დამავიწყებს, ქომაგებმა მამალი რომ გაუშვეს სტადიონზე.

**- თქვენ სპორტულმა სამყარომ ახლოს გაგიცნოთ, ძიუდოს ფედერაციაში მისვლის შემდეგ. რატომ ძიუდო, რამ განაპირობა არჩევანი?**

- ქართული ჭიდაობაც და ძიუდოც ჩოხიანთა ჭიდაობაა. საგარეჯოელებს განსაკუთრებით გვაქვს გენში გამჯდარი ჭიდაობა. ძიუდო ჩემი ჰობია. თბილისში ტურნირი არ გამიცდენია. ამორჩეული ადგილიც მქონდა, სპორტის სასახლეში. მერეც არ შევსულვარ სამთავრობო ლოჟაში.

**- საქართველოში პირველმა თქვენ გახსენით ძიუდოს კლუბი. რა მოტივაცია გქონდათ?**

- ხომ გახსოვთ სპორტსაზოგადოება „შევარდენი". შევარდნელმა ძიუდოისტებმა თბილისში ფრანგებს უმასპინძლეს და დამარცხდნენ. მაშინ გადავწყვიტე, შემექმნა ძლიერი კლუბი მშობლიურ საგარეჯოში.

**- უნდა ვაღიაროთ, რომ გაგიმართლათ - კლუბმაც გაითქვა სახელი ძიუდოს სამყაროში და, ზოგადად, ქართულმა ძიუდომაც. რას მივაწეროთ ასეთი წარმატება?**

- მიზანმიმართულ მუშაობას. საქართველოს ყველა დონის ნაკრებში, მათ შორის ოლიმპიურშიც, ძირითადად ჩვენი კლუბის წარმომადგენლები დომინირებდნენ. ასეა დღესაც.

**- დამსახურება დაგიფასდათ, იმთავითვე ძიუდოს ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აგირჩიეს...**

- ჩემი მიზანი ეს არ ყოფილა, მაგრამ, როცა ათენში, წინა ოლიმპიადაზე, ბატონმა დილარ ხაბულიანმა ვიცე-პრეზიდენტობა შემომთავაზა, უარი არ მითქვამს.

**- ათენიდან პეკინამდე განვლილ პერიოდში საქართველოში ძიუდომ არნახულად წაიწია წინ. თქვენც უკვე ოთხი წელიწადია ფედერაციაში მოღვაწეობთ. რამ განაპირობა ასეთი წინსვლა?**

- უპირველესად, ზურაბ ზვიადაურის გაჩემპიონებამ ათენში. ხომ გახსოვთ, უკვე ჩემპიონმა საჩვენებელი თითი რომ შემართა. ეს სიმბოლურიც იყო. ამ გამარჯვებამ უდიდესი სტიმული მისცა ძიუდოს ჩვენში. ათენშივე ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა აღგვითქვა ხელშეწყობა.

**- და, სიტყვა შეასრულა.**

- ამდენ დახმარებას ნამდვილად არ ველოდით. იმ დროს საქართველოში გვქონდა სულ 3-4 მოძველებული ტატამი. 10-15 ვთხოვეთ. 100 გექნებათო, გვითხრა და გვაქვს კიდეც. ამას მოჰყვა ათასობით კიმონო მოზარდებისთვისაც. მარტო საგარეჯოში 8 დარბაზი აიგო. ზურაბის მშობლიურ ახმეტაში მისი სახელობის ახალი შესანიშნავი დარბაზი ჩადგა მწყობრში. სახელმწიფო პროგრამის ნაწილია ისიც, რომ რეგიონებს შორის ტარდება პრეზიდენტის თასის გათამაშება ფულადი პრემიით. პირველად ნომინაციებით შევაჯამეთ გასული წლის შედეგები. ეს ტრადიციად დამკვიდრდება. წარმატებით ვმუშაობთ სპონსორებთან. დიდი მადლობა მათ ყველას. მიუხედავად იმისა, რომ შექების თავად წინააღმდეგია, განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ბატონ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებას და არა მხოლოდ ძიუდოს წინაშე. სპონსორების დაინტერესებაც ზვიად ზვიადაურის დამსახურებაა. სხვებმა იმის ნახევარი რომ შეძლონ, რაც ამ ბიჭმა გააკეთა, ჩვენში სპორტის ყველა სახეობა აყვავდებოდა. ზურაბი ჭეშმარიტი გმირია. მისმა წარმატებამ არა მარტო ძიუდო, საერთოდ ქართული სპორტი გაიყვანა ქვეყანაში საყოველთაო ზრუნვაყურადღების ორბიტაზე. ნახეთ, რამდენი რამ გაკეთდა, რამდენი სახსრები იხარჯება.

**- ფედერაციაში ნამდვილი მეგობრული გუნდი შეიკრიბა. ალბათ, ესეცაა წარმატების გარანტი.**

- მოკლედ გეტყვით, ჩვენ ვართ აქტიური, მოქმედი ფედერაცია, ყველამ თავის საქმე იცის.

**- როგორ ფიქრობთ, არ გარისკეთ, ასაკის გადაკეთების წინააღმდეგ ბრძოლა რომ დაიწყეთ?**

- ბევრს ეგონა, რომ ეს კარგს არაფერს მოიტანდა, მით უფრო, სხვა ქვეყნებშიც სცოდავენ. მაგრამ მოხდა პირიქით, სიმკაცრემ გაამართლა, შესანიშნავი თაობა წამოვიდა.

**- მოკლედ, თქვენი ღვაწლი და დამსახურება, საქმიანი თვისებები ყველამ დაინახა და აი, საქართველოს სპორტულ სამყაროში აქტიურად განიხილება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის უპირველეს კანდიდატად თქვენი წამოყენების საკითხი.**

- დიახ, ეს მეც ვიცი. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ, თავად განვაცხადე, რომ კენჭს ვიყრიდი სეოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე. დასამალი არაფერი იყო. იქიდან მოყოლებული ვხვდები ფედერაციების ხელმძღვანელებს, სპორტის სხვა მუშაკებს, ვაცნობ ჩემ გეგმებს და ვუსმენ მათ. უარი ვთქვი პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობაზე, ყოველგვარ სამთავრობო სამსახურზე და ეს გასაგებია, მოიხსნა ზედმეტი ეჭვები. თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე არაფერი გამოვა. ისიც შესანიშნავად ვიცი, რომ პოლიტიკა ყველგან არ უნდა დომინირებდეს. სახელმწიფოსთან სეოკ-ის ურთიერთობა გაღრმავდება, მით უფრო, რომ, როგორც ზემოთ ვთქვი, სპორტი საყოველთაო ზრუნვის საგანია.

**- კანდიდატურა ოფიციალურად არ წამოგიყენებიათ, მხარდამჭერი ოქმები კი უკვე მიდის სეოკ-ში.**

- ესეც ვიცი. აი, ახლა, ამ წუთისთვის (30 ივლისი, 15 სთ; ავტ) უკვე 51 ოლიმპიური სპორტის სახეობის ფედერაციიდან 18 ფედერაციის მხარდამჭერი წერილია მისული სეოკ-ში. კანდიდატურის წარსადგენად კი ერთიც საკმარისია.

**- რა იქნება უპირატესი თქვენთვის სეოკ-ში?**

- ოლიმპიური იდეების გაღრმავება და შემდეგი სრულყოფა საქართველოში; სპორტის განვითარების ხელშეწყობა; სრულყოფილი ინტეგრაციის გზით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან და საერთაშორისო ფედერაციებთან კონტაქტების გაღრმავება და განმტკიცება. ახლა პეკინში თუ 35 ათლეტით მივდივართ, შემდეგ ოლიმპიადაზე ეს რიცხვი 55-60-მდე უნდა გაიზარდოს. ცხადია, უნდა ამაღლდეს ხარისხიც. და კიდევ იცით, რაზე ვოცნებობ? სპორტის სათამაშო სახეობაში ვიხილოთ ქართული გუნდი ოლიმპიადაზე. მოსაგვარებელია სამედიცინო ცენტრის შექმნის საკითხი. მოკლედ, მომავალი ოლიმპიური 4-წლიანი ციკლი გვიჩვენებს, რას შევძლებთ და რას გავაკეთებთ.

**- თქვენს პროგრამას თუ აცნობთ ფედერაციებს, ყრილობის დელეგატებს?**

- ჯერ, როგორც ვთქვი, შეხვედრებით და აზრთა გაზიარებით ვკმაყოფილდებით. დაბლიდან წამოსული ინიციატივებიც აისახება პროგრამაში, რომელსაც ადრესატებს დროულად მივართმევ.

**- საკადრო ცვლილებებზე ალბათ, ნაადრევია ლაპარაკი...**

- ჩემი სურვილია, სეოკ-ი იყოს ქმედუნარიანი ორგანიზაცია. ყველამ უნდა იცოდეს თავის საქმე პროფესიულ დონეზე. საერთოდ, ოლიმპიური კომიტეტი ბანკის ფუნქციას არ უნდა ასრულებდეს...

**- როგორ ფიქრობთ, შეიძლება გამართლდეს ოლიმპიადის შემდეგ სეოკ-ისა და სპორტის დეპარტამენტის გაერთიანების ვარაუდი?**

- ამის შესახებ არ მსმენია. მაგრამ, ვფიქრობ, ეს იქნება ძალიან ნაადრევი ნაბიჯი. ჩვენთან აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურის შენარჩუნება. მერე თუ საქმე ისე აეწყობა, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაშია, ყველაფერზე შეიძლება ფიქრი. ქაოსი არ გვჭირდება. პირადად მე არანაირი პრობლემა არ მექნება სპორტის სახელმწიფო სტრუქტურასთან. ჩვენ გაგებით და ერთად დგომით უნდა ვემსახუროთ ქართულ სპორტს. ესაა მთავარი. აბა, დაფიქრდით, სახელმწიფოს თანადგომით კიდევ რამდენია გასაკეთებელი. ჯერ ხომ საკლუბო სისტემაზეც არ გადავსულვართ. მოკლედ, არ არის ახლა აჩქარების დრო.

**- ამით დავასრულოთ, კიდევ ხომ არაფრის თქმა გსურდათ?**

- აგერ, რამდენიმე დღეში, პეკინში ოლიმპიადა იწყება. ყველამ ვისურვოთ პეკინიდან დიდებით დაბრუნება.

**- ულრმესი მადლობა საუბრისთვის.**

- მადლობა თქვენც.

ესაუბრა
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

---

ქართული ჩოგბურთი

## ლაბაძე გრაცში გააჩერეს

27 წლის **ირაკლი ლაბაძე** ავსტრიაში, „ჩელენჯერის" სერიის ტურნირში თამაშობდა, რომლის საპრიზო ფონდი 35 ათასი დოლარია. ირაკლი ამ შეჯიბრებაში „უაილდ ქარდით" მიიწვიეს. პირველ წრეში მან პოლონელი **მიხალ პრჟისიეჟნი** დაამარცხა, მაგრამ მერვედფინალში მე-7 ნომრად განთესილ **ირჟი ვანეკთან** (ჩეხეთი) ირაკლი ვერას გახდა და ორ სეტში დამარცხდა – 2:6, 3:6. ლაბაძე წყვილთა ბადეში არ თამაშობს, ასე რომ, გრაცის „ჩელენჯერი" მისთვის დასრულებულია. ამ ტურნირში თამაშისთვის ირაკლი ლაბაძემ 5 სარეიტინგო ქულა მიიღო.

## შაფათავა აგრძელებს, კალაშნიკოვა გააჩერეს

დნეპროპეტროვსკში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე (50 ათასი) მერვედფინალების დრო დადგა. ძირითად ბადეში მონაწილე ორი ჩვენებურიდან მერვედფინალში ერთი გავიდა – **სოფიო შაფათავა** (291). 19 წლის შაფათავას კარიერის საუკეთესო სეზონი აქვს. ის რეიტინგში გვარიანად წაიწევს წინ, თუკი მე-3 ნომრად განთესილ ბელარუსს, **ეკატერინა ძეჰალევიჩს** (161) დაამარცხებს. მანამდე სოფიომ სლოვაკ **ლენკა ვიენეროვას** (290) მოუგო სამ სეტში – 6:4, 5:7, 6:4.

**ოქსანა კალაშნიკოვა** (556) ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, ესტონელ **მარგიტ რუუტელს** (169) ხვდებოდა. სამწუხაროდ, მე-5 ნომრად განთესილმა ბალტიელმა იმარჯვა, თუმცა ოქსანამ პირველ სეტში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს – 6:7 (2), 3:6. ოქსანა დნეპროპეტროვსკს გამოემშვიდობა, მან და ყირგიზმა **ქსენია პალკინამ** წყვილთა თანრიგის მერვედფინალში წააგეს ლატვიელი **კუზმინასა** და რუსი **პაშკოვას** დუეტთან – 2:6, 1:6.

18 წლის **მანანა შაფაქიძე** (589), როგორც ჩანს, ცუდ ფორმაშია, რაც სათამაშო პრაქტიკის უქონლობის ბრალია. მანანა რუმინეთის ქალაქ არადის ტურნირში (10 ათასი) მე-6 ნომრად იყო განთესილი და თითქოს ურეიტინგო სლოვაკის, **კატარინა პოლიაკოვას** სახით სუსტ მეტოქეს ხვდებოდა, მაგრამ შედეგი საპირისპირო მივიღეთ – ქართველი ჩოგბურთელი ორ სეტში დამარცხდა – 0:6, 4:6. შაფაქიძე წყვილთა თანრიგსაც პირველ წრეში დაემშვიდობა, არადა, ის და რუმინელი **ალექსანდრა კადანტუ** (491) მე-2 ნომრად იყვნენ განთესილები. უნგრულ წყვილთან (**კირაი, ნემეტი**) ძაბაბულ ბრძოლაში მანანა და ალექსანდრა ვერას გახდნენ – 7:6 (7), 6:7 (6), 9:11.

სამმა ქართველმა იასპარეზა ეგვიპტის 18-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში. საკვალიფიკაციო ბადიდან ბრძოლით გავიდა **მარიამ კუპრეიშვილი**, ხოლო **გვანცა რობაქიძე** და **მარი მარტიროსოვი** ძირითად ბადეში „იღბლიანი დამარცხებულის" სტატუსით მოხვდნენ. სამიდან ორმა პირველი ბარიერი დასძლია: კუპრეიშვილმა რუს **ანა პოპუგაევას** მოუგო – 3:6, 6:2, 6:3, ხოლო რობაქიძემ იტალიელი **საბილა ფიორენტინო** დაამარცხა – 2:6, 6:4, 6:4. მარტიროსოვი ეგვიპტელ **დინა ელ ფარუკთან** დამარცხდა – 6:3, 2:6, 5:7. ტურნირის მერვედფინალში მარიამ კუპრეიშვილი პირველ ჩოგანთან, ეგვიპტელ **მენა ელ ნაგდისთან** ბრძოლაში დამარცხდა – 3:6, 3:6. ტურნირს ამავე სტადიაზე დაემშვიდობა გვანცა რობაქიძე, რომელიც მე-4 ნომრად განთესილმა ინდოელმა **კუმარი სოლანკიმ** შეაჩერა – 1:6, 1:6. სხვათა შორის, ამავე ტურნირში მე-7 ნომრად 15 წლის **ნათელა ძალამიძეა** განთესილი, მაგრამ ის რუსეთის სახელით ასპარეზობს. ძალამიძე მეოთხედფინალში გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# გამოფხიზლდი, როჯერ!

შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ძალიან მძიმედ დაიწყო ცინცინატის მასტერსზე შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა. მსოფლიოს პირველი ჩოგანი კლასიფიკაციის 64-ე ნომერს, ამერიკელ **რობი ჯინეპრის** ხვდებოდა. მატჩის წინ ამ უკანასკნელმა განაცხადა - სწორედ ახლა მაქვს დიადი შვეიცარიელის დამარცხების ყველაზე კარგი შანსიო. ბუნებრივია, ამერიკელი როჯერის ბოლოდროინდელ ჩავარდნას გულისხმობდა (ერთი კვირის წინ, ფედერერმა ტორონტოს მასტერსზე სენსაციურად წააგო ფრანგ **ჟილ სიმონთან**).

შვეიცარიელს მართლაც ურთულესი პერიოდი უდგას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამ კვირას, როჯერი შეიძლება კლასიფიკაციის უმაღლესი საფეხურიდან ჩამოაგდონ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ **რაფაელ ნადალი** ცინცინატის მასტერსს მოიგებს, ფედერერი კი, ნახევარფინალამდე ვერ მიაღწევს. ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია - ესპანელი საუკეთესო ფორმაში იმყოფება, როჯერი კი პირიქით, დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებს.

რა თქმა უნდა, ფედერერი გრძნობს, რომ შორს აღარ არის ის დღე, როცა ATP-ის რეიტინგში ნადალს გაუცვლის ადგილს. *"მან ეს ნამდვილად დაიმსახურა. რაფა ძალიან დიდხანს იყო მეორე ნომერი. თუმცა უბრძოლველად არაფრის დათმობას ვაპირებ. იმედი მაქვს, რომ ჯინეპრისთან მოგებული მატჩი მეტ დამაჯერებლობას შემძენს და საკუთარ თამაშს ვიპოვი"*, - განაცხადა ფედერერმა მესამე წრეში გასვლის შემდეგ.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ჯინეპრისთან მატჩს როჯერისთვის ოპტიმიზმი შეემატებინა. შვეიცარიელმა წაგებული შეხვედრა გადაარჩინა. პირველ სეტში ფედერერს ტაი-ბრეიკამდე არ უნდა მიეყვანა საქმე - 5:4-ზე თავად იყო მოწოდებაზე, მაგრამ მეტოქეს საკუთარი გეიმი დაუთმო, ტაი-ბრეიკზე კი, თავიდანვე ზედიზედ ხუთი ქულა წააგო და უშანსოდ დარჩა.

მეორე სეტში შვეიცარიელმა ბეწვის ხიდზე გაიარა. მე-11 გეიმში, როცა ანგარიში 5:5 იყო, ჯინეპრიმ მორიგი ბრეიკი გაახერხა და 6:5 დაწინაურდა. რჩებოდა საკუთარ მოწოდებაზე გეიმის მოგება და მორიგი სენსაციის მოწმენიც გავხდებოდით. მაგრამ რობი ანერვიულდა, რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დაუშვა, ზედიზედ დათმო ეს გეიმიც და შემდეგ ტაი-ბრეიკი. დემორალიზებულმა ამერიკელმა მესამე პარტიაში ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ფედერერს და სეტი 0:6 წააგო.

მესამე წრეში შვეიცარიელს უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის მეტოქე ეყოლება - ხორვატი **ივო კარლოვიჩი**, რომელიც ნამდვილად არ აპატიებს როჯერს ისეთ შეცდომებს, რაც ჯინეპრისთან მატჩში დაუშვა.

ტურნირს უთამაშებლად გამოეთიშა ადგილობრივი პუბლიკის ფავორიტი, ამერიკელი **ენდი როდიკი**. 25 წლის ჩოგბურთელმა წლევანდელი სეზონი რიხით დაიწყო - მოიგო სან ხოსესა და დუბაის ტურნირები, მაგრამ მაისში, რომის მასტერსზე მიღებული მხარის ტრავმის შემდეგ, ჯერაც ვერ აღიდგინა ოპტიმალური კონდიციები. ამას ადასტურებს უიმბლდონის მეორე წრეში გავარდნა და გასულ კვირას, ტორონტოს მასტერსის სტარტზე ხორვატი **მარინ ჩილიჩთან** წაგება. გუშინ კი, როდიკი მხოლოდ იმისთვის გავიდა კორტზე, რომ მაყურებლებისთვის მიკროფონით გამოეცხადებინა - ტრავმა გამიმიზეზდა და ამ მასტერსზე ვერ ვითამაშებო.

როგორც იცით, როდიკი ოლიმპიადაზე არ მიემგზავრება და აშშ-ის ღია პირველობისთვის ინტენსიურად მზადებას აპირებს. ვნახოთ, რას მოუტანს პეკინის თამაშების მსხვერპლად შეწირვა ამერიკელთა მთავარ იმედს.



**ATP**

**ცინცინატის მასტერსი**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 615 000 დოლარი

**I წრე**

**ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-ვიქტორ ესტრელა (დომ) 6:3, 7:5; **რიშარ გასკე (საფ, 11)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 3:6, 6:1, 1:0 ლოდრას უარი; **იგორ ანდრეევი (რუს)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 15) 7:6(4), 6:7(4), 7:6(3); **ჯონ ისნერი (აშშ)**-ანდრეა სტოპინი (იტა) 7:6(2), 6:3; **ფლორან სერა (საფ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 4:6, 7:6(4), 6:4; **კარლოს მოია (ესპ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 7:6(5), 7:5; **არნო კლემანი (საფ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 7:6(4), 6:7(5), 6:3; **კრის გუჩიონე (ავსტრა)**-ჯესი ლივაინი (აშშ) 6:3, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-მარიან ჩილიჩი (ხორ) 7:6(5), 6:2; **ჟილ სიმონი (საფ)**-რაჯივ რამი (აშშ) 7:6(5), 6:4; **სიმონე ბოლელი (იტა)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 6:3, 7:6(1).

**II წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:7(2), 7:6(5), 6:0; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-ტომი რობრედო (ესპ, 12) 7:6(6), 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 16)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:3, 7:6(3); **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ვუნ-იუნ სუნი (კორ) 6:2, 6:2.

**WTA**

**Rogers Cup**

მონრეალი (კანადა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**I წრე**

**მარიონ ბარტოლი (საფ, 2)**-ალისა კლეიბანოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-ხისელა დულკო (არგ) 7:5, 7:5; **ნადია პეტროვა (რუს, 8)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:4, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა)**-კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) 7:6 (3), 6:4.

**II წრე**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 11)**-ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:1, 6:1; **ნადია პეტროვა (რუს, 12)**-მარი-ივ პელეტიე (კან) 6:0, 6:1; **მარია კირილენკო (რუს, 13)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 6:1, 7:5; **ფლავია პენეტა (იტა, 15)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 1:6, 7:5, 6:3; აი სუგიამა (იაპ)-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 16) 6:3, 3:6, 6:2; **სიბილ ბამერი (ავსტრია)**-მონიკ ადამჩაკი (ავსტრა) 6:7(6), 6:1, 6:2; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-აშა როლული (აშშ) 6:4, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-იუნ-იან ჩანი (ტაივ) 6:2, 1:6, 7:5; **მარტა დომახოვსკა (პოლ)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 7:5, 6:2; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-შარონ ფიხმანი (კან) 6:4, 6:3; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-ჯული დიტი (აშშ) 7:6(4), 6:0.

**Nordic Light Open**

სტოკჰოლმი (შვედეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 145 000 დოლარი

**I წრე**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 1)**-ნატალი დეში (საფ) 6:2, 6:3; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 3)**-ანა ლაპუჩენკოვა (რუს) 6:2, 6:1; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 4)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:3, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 5)**-სანდრა რომა (შვედ) 6:3, 6:1; მარია ელენა კამერინი (იტა)-მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელ, 8) 6:3, 6:4; **მარია კორიტცევა (უკრ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:3, 6:4; **ვერა დუშევინა (რუს)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 7:6(4), 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 3:6, 7:6(5), 6:2; **ბარბარა სტრიხოვა (ჩეხ)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:4, 6:7(2), 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:4, 3:6, 6:1; **იოჰანა ლარსონი (შვედ)**-ჯულია გორგესი (გერ) 3:6, 7:6(5), 6:4.

კალათბურთი. ახალი ამბები

# არტესტი ჰიუსტონში!



ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დიდი გარიგებების დრო დგება. პირველი მნიშვნელოვანი ტრეიდის მონაწილე "საკრამენტო კინგზის" ლიდერი, **რონ არტესტი** უნდა გახდეს. ფორვარდმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ აღარ სურს "მეფეების" რიგებში თამაში და როგორც ჩანს, "საკრამენტოს" შეფობამ შეისმინა რონის თხოვნა.

გაზეთი Houston Chronicle წერს, რომ თითქმის გადაწყვეტილია არტესტის "ჰიუსტონ როკეტსში" გადასვლა. ჰიუსტონელები რონის სანაცვლოდ **ბობი ჯექსონსა და დონტე გრინს** დათმობენ. ამ დუეტის გარდა, "საკრამენტო" ერთ მილიონ დოლარსა და მომავალი წლის დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლებასაც მიიღებენ.

# კრსტიჩიც რუსეთში წავიდა

ამასობაში, კიდევ ერთმა კალათბურთელმა დატოვა NBA და კარიერის გასაგრძელებლად ევროპაში გადაბარგდა. ეს გახლავთ "ნიუ ჯერსის" აწ უკვე ყოფილი ცენტრი **ნენად კრსტიჩი**. სერბმა მოთამაშემ მოსკოვის ოლქის კლუბ "ტრიუმფთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

კრსტიჩს ტრავმების გამო, შარშანდელი სეზონის თითქმის ნახევარი გაუცდა. ის მხოლოდ 45-ჯერ გავიდა მოედანზე და "ნიუ ჯერსის" საშუალოდ 6.6 ქულითა და 4.4 მოხსნით დაეხმარა. აღიარებულია, რომ სერბმა ოკეანის გაღმა თავისი საუკეთესო სეზონი 2007-08 წლებში გაატარა, როცა 26-ჯერ მოხვდა სასტარტო ხუთეულში. ის მოედანზე საშუალოდ 32 წუთს ატარებდა და 16.4 ქულასა და 6.8 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

ევროპაში კარიერის გაგრძელებაზე ფიქრობს "ჩიკაგო ბულზის" ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი, **ბენ გორდონი**. წარმოშობით ბრიტანელი მცველი, კვლავაც ვერ მოურიგდა "ხარების" ხელმძღვანელობას ახალი კონტრაქტის დეტალებზე და ამიტომაც არ გამორიცხავს "ძველ" კონტინენტზე გადაბარგებას.

*"ჯოშ ჩილდრესმა ყველა ჩვენთაგანს კარგი მაგალითი მისცა. შესაძლოა, მეც მის გზას დავადგე. წარმოშობით ლონდონიდან ვარ, ამიტომაც შეიძლება რომელიმე ევროპული გუნდიდან სარფიანმა წინადადებამ დამაინტერესოს"*, - განუცხადა გაზეთ Daily Herald-ის გორდონმა.

■ ■ ■

ანალოგიური განწყობილება აქვს NBA-ის (და მსოფლიოს) ყველაზე ტანმორჩილ კალათბურთელს, 165 სანტიმეტრი სიმაღლის **ირლ ბოიკინსს**. ესპანური "მარკას" ცნობით, ამჟამად ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს ესპანეთის ჩემპიონატში მონაწილე "ტაუგრესსა" და კალათბურთელის აგენტს შორის.

გასულ წელს, ბოიკინსი "შარლოტ ბობკეტსის" ღირსებას იცავდა (5.1 ქულა და 2.7 შედეგიანი პასი). გამთამაშებელს საუკეთესო სეზონი (2006-07 წლებში) "დენვერში" აქვს ჩატარებული. მაშინ ის 28 წუთში 15.2 ქულასა და 4.3 გადაცემას უყრიდა თავს.

# დონაჰი 15 თვით ჩასვეს

დასრულდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სკანდალურად ცნობილი მსაჯის, **ტიმ დონაჰის** სასამართლო პროცესი.

ნიუ-იორკის საოლქო სასამართლომ, არბიტრი დამნაშავედ ცნო NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის მატჩებზე ფსონების გაკეთებასა და უცხო პირებისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემაში. ამ ცნობებისთვის, დონაჰი გარკვეულ ანაზღაურებას იღებდა.

პროცესის მსვლელობისას გაირკვა, რომ დონაჰის აზარტული თამაშებისადმი ფსიქიკური მიდრეკილება აქვს. *"მაგრამ ეს გარემოება, არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს მის მოქმედებას*, - ხაზი გაუსვა მოსამართლე **კეროლ ემონმა**. - *ბევრი ადამიანი ენდობოდა მას. მათ მიაჩნდათ, რომ დონაჰი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობებს"*.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ბრალდების მასალების მიხედვით, დონაჰი დაინტერესებულ პირებს მომავალი მატჩების შესახებ საინტერესო ინფორმაციებს აწვდიდა. დამტკიცებულია, რომ სამ შემთხვევაში, ექსკლუზიური ინფორმაციის სანაცვლოდ, მან 5 ათასი დოლარი მიიღო. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ მსაჯის დახმარებით სარგებლობდნენ მისი ყოფილი თანაკლასელები - **ჯეიმს ბატისტა** და **ტომას მარტინო**. ერთი კვირის წინ, მათ შესაბამისად, 15-თვიანი და ერთწლიანი პატიმრობა მიესაჯათ.

მძლეოსნობა. მონაკოს სუპერგრანპრი

# ისინბაევას 5.04



მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები პეკინის ოლიმპიადისთვის ბოლო რეპეტიციებს გადიან. მონაკოში, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) მორიგი სუპერგრანპრი გაიმართა და მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ლეგენდარულმა ჭოკით მხტომელმა, **ელენა ისინბაევამ**. რუსი ათლეტი შესანიშნავ ფორმაში იმყოფება, რისი დამადასტურებელიცაა ბოლო სამი კვირის განმავლობაში დამყარებული ორი რეკორდი.

ამჯერად, ისინბაევამ თავის წინა მიღწევას ერთი სანტიმეტრი დაუმატა და მონაკოში 5 მეტრსა და 4 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო.

ელენამ თავიდან 4.71 მეტრი შეუკვეთა და ეს სიმაღლე მეორე ცდაზე დასძლია. ამით მან, პრაქტიკულად, გაინაღდა გამარჯვება, რადგან მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა სპორტსმენებმა, რუსმა **იულია გოლუბჩიკოვამ** და პოლონელმა **მონიკა პირეკმაც** სწორედ ეს შედეგი დააფიქსირეს. ამის შემდეგ, ისინბაევამ მსოფლიო რეკორდს შეუტია.

ჯერ მეორე ცდაზე 4.83 მეტრი აიღო, მოგვიანებით, ასევე ორი ცდა დასჭირდა 4.93 მეტრის დასაძლევად. ბოლოს კი თამასა სარეკორდო მაჩვენებელზე დააყენა. პირველი ორი ცდა უშედეგო იყო, მაგრამ მესამეზე რუსს გაუმართლა და ახლა ქალებს შორის მსოფლიო რეკორდი 5.04 მეტრს უდრის.

ამ ტურნირის შემდეგ, ისინბაევას აქტივში უკვე 23 სარეკორდო ნახტომია.

■ ■ ■

ზედიზედ მესამე სუპერგრანპრი მოიგო იამაიკელმა სპრინტერმა **ასაფა პაუელმა**. რაც მთავარია, 100 მეტრზე ოლიმპიადის ოქროს ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი, ყოველი ეტაპის შემდეგ აუმჯობესებს დროს. ლონდონში დისტანცია 9.94 წამში დაფარა, სტოკჰოლმში - 9.88 წამში, ამჯერად კი სეზონში მესამე საუკეთესო დრო აჩვენა - 9.82. ნელს, ასაფაზე სწრაფად 100 მეტრი მის თანამემამულეს, **უსაინ ბოლტსა** და ამერიკელ **ტაისონ გაის** აქვთ დაფარული.

მონაკოში პაუელის ძირითადი კონკურენტები არ გამოდიოდნენ და ამიტომაც, მის გარდა 10 წამზე ნაკლები დრო მხოლოდ ერთმა სპრინტერმა, ამერიკელმა **დერვის პატონმა** აჩვენა - 9.98. მესამეზე კიდევ ერთი იამაიკელი, **ნესტა კარტერი** გავიდა - მისი დრო იყო 10.02 წამი. თუმცა, კარტერს უფრო სწრაფად სირბილიც შეუძლია - გასულ კვირას, სტოკჰოლმის სუპერგრანპრიზე ის პირველად კარიერაში 10 წამიდან გამოვიდა.

მოკლედ, ოლიმპიადაზე ამ დისციპლინაში ბრძოლა ყველაზე საინტერესო იქნება - პაუელი, ბოლტი, გაი... ძნელია რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება. ასევე საინტერესო უნდა იყოს 4x100 მეტრზე ესტაფეტა, სადაც იამაიკელებს ბოლტისა და პაუელის გარდა, კარტერიც ეყოლებათ.

■ ■ ■

მონაკოში კიდევ რამდენიმე მაღალი შედეგი დაფიქსირდა. მაგალითად, კენიელმა სტაიერმა, **დანიელ კიპჩირჩირ კომენმა** 1500 მეტრ დისტანციაზე სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა - 3:31.49. მასთან წამის მეასედები წააგო ასევე კენიელმა - **კიბეტ კორირმა**.

პორტუგალიელმა **ნაიდე გომეშმა** ეროვნული რეკორდი დაამყარა - სიგრძეზე ხტომის სექტორში საკმაოდ მაღალი შედეგი, 7.12 მეტრი აჩვენა, რაც წლევანდელ სეზონში, ასევე საუკეთესო მაჩვენებელია. ამ მხრივ, გომეშმა 8 სანტიმეტრით გააუმჯობესა რუსი **ლუდმილა კოლჩანოვას** შედეგი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ერაყს მწვანე შუქი აუნთეს

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება გააუქმა და ერაყის ოლიმპიურ დელეგაციას პეკინში გამგზავრების უფლება დართო.

ეს გადაწყვეტილება ლოზანაში, სოკ-ის მორიგ სხდომაზე იქნა მიღებული. სპორტულმა ჩინოვნიკებმა ერაყის მთავრობისგან გარანტია მიიღეს იმის შესახებ, რომ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მთავრობის ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად მიიღებს ყველა გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, რომ ერაყის ოლიმპიურ ნაკრებს პეკინის თამაშებზე გამოსვლა 25 ივლისს აუკრძალეს. ამის მიზეზი გახდა მთავრობის უხეში ჩარევა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში. 21 მაისს, ხელისუფლებამ ეს ორგანიზაცია დაშალა და მის ნაცვლად ახალი სტრუქტურა შექმნა, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა არ აღიარა.

*"ერაყის მთავრობას ამ კომპრომისისთვის დიდ მადლობას ვუხდით. უკვე არაერთხელ გვითქვამს იმის შესახებ, რომ პეკინში ერაყელი სპორტსმენების ხილვა გვსურს. იმ შეთანხმების თანახმად, რომელსაც ქვეყნის მთავრობასთან ერთად მოვაწერეთ ხელი, სულ მალე გაიმართება ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სამართლიანი არჩევნები, 2008 წლის ბოლომდე კი ეს ორგანიზაცია მთლიანად დამოუკიდებელი გახდება"*, - განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ**.



ამჟამად, ერაყის ნაკრებში მხოლოდ ორი სპორტსმენი დარჩა. ვარაუდობდნენ, რომ პეკინში 7 ერაყელი ათლეტი გაემგზავრებოდა, მაგრამ ხუთმა სპორსტმენმა რეგისტრაციის გავლა ვერ მოასწრო.

# ვის დარჩება მერიონის ოქრო?



სიდნეიში 100 მეტრზე ფინალი: ჯონსი (მარცხნივ) და ტანუ

საბერძნეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პეკინში გასამგზავრებელი 156 სპორტსმენის სია გამოაქვეყნა. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, ეს ბერძნების ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია გახლავთ.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ბერძენთა შემადგენლობაში ვხედავთ 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს, სპრინტერ **კატერინა ტანუს**. შეგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინ, ათენის თამაშებამდე ცოტა ხნით ადრე, ტანუმ და მისმა სახელოვანმა თანამემამულემ, **კოსტას კენტერისმა** დოპინგ-კონტროლის გავლაზე უარი განაცხადეს და ამის გამო, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს.

მართალია, ტანუმ სასჯელი მოიხადა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი წინააღმდეგია იმისა, რომ სპრინტერმა პეკინის თამაშებში მიიღოს მონაწილეობა. ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას კვირის ბოლოს, სოკ-ის ალმასკომის სხდომაზე მიიღებენ. სხვათა შორის, ამავე სხდომაზე ტანუსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ. როგორც ზემოთ ვთქვით, კატერინამ 2000 წელს, სიდნეიში 100 მეტრ დისტანციაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, მაგრამ ახლა, ბერძენმა შეიძლება ოქროს გამოჰკრას ხელი. რვა წლის წინანდელი ოლიმპიადის სპრინტში პირველი ადგილი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც მაშინდელ ჩემპიონს, ამერიკელ **მერიონ ჯონსს**, სიდნეიში მოპოვებული ყველა მედალი ჩამოართვეს.

# პოლონეთი სერიოზულად მოემზადა

პეკინის ოლიმპიადისთვის საფუძვლიანი შეკრება გაიარა პოლონეთის ნაკრებმა. იქაური ათლეტების მოსამზადებლად, ჯამში 134 მილიონი დოლარი გამოიყო, რაც წინა ორი ოლიმპიადის მზადების ციკლში ერთად დახარჯულ თანხას აღემატება.

გარდა ამისა, ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს დაახლოებით სამი მილიონი დოლარი აქვს გამზადებული მომავალი მედალოსნების დასაჯილდოვებლად.

პოლონელთა ასეთი მონდომება ოთხი წლის წინათ, ათენის ოლიმპიადაზე განცდილმა ფიასკომ გამოიწვია. მაშინ გუნდმა მხოლოდ 10 მედლის (მათ შორის, 3 ოქროსი) მოპოვება შეძლო, რაც 1956 წლიდან მოყოლებული, ყველაზე უარესი შედეგი იყო.

პეკინში 261 პოლონელი სპორტსმენი მიემგზავრება. ბოლო 30 წლის განმავლობაში, ეს ამ ქვეყნის ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაცია გახლავთ.

# მზის დაბნელება საშიში არ არის

ოლიმპიადის დაწყებიდან ერთი კვირით ადრე, 1 აგვისტოს ნავარაუდებ მზის დაბნელებას, შეიძლება არასასიამოვნო შედეგები მოყვეს. თუმცა ჩინეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მოსალოდნელი პრობლემები ოლიმპიადის მსვლელობას ხელს ვერ შეუშლის.

ტრადიციისამებრ, ჩინეთში მზის დაბნელებას კატასტროფის მოახლოებად აღიქვამენ. იქაური ასტროლოგები თვლიან, რომ ამჯერადაც ეს ყველაფერი გარკვეულ არეულობებსა და საფონდო ბაზრებზე რყევას გამოიწვევს.

ასტროლოგიის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ექსპერტი, **მაკ ლინ-ლინი** ამბობს, რომ მზის დაბნელებას შეიძლება მოჰყვეს ოლიმპიადის დროს მცირე პოლიტიკური არეულობები, აგრეთვე ავარიები და პრობლემები სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სამსახურების მუშაობაში. *"მოსალოდნელია ქუჩებში მანიფესტაციები და ქაოსი, მაგრამ ის დიდ ზიანს ვერ მოუტანს ჩინეთის მთავრობას"*, - მიაჩნია ასტრონომს და იქვე დასძენს, რომ ვარსკვლავები კეთილგანწყობილნი არიან მომავალი სტარტებისადმი.

მაკ ლინ-ლინმა მთავრობას ისიც შესთავაზა, რომ შეიქმნას ჩინეთის ნაკრების ყველა წევრის პირადი ჰოროსკოპი, რათა წინასწარ იცოდნენ მათ შორის ფავორიტები და აუტსაიდერები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| არმინია-ალენი | 1:2 |
| გრენობლი-ლე მანი | 0:1 |
| ალკმაარი-ტელსტარი | 6:1 |
| უტრეხტი-ტოპ ოსი | 6:2 |
| ჰანზა-ვერდერი | 1:5 |
| ნანტი-ლორიანი | 1:0 |
| ნიურნბერგი-პანიონიოსი | 0:0 |
| ვალანსი-სტანდარდი | 0:1 |
| ვიტესი-აბერდინი | 0:1 |
| მიუნხენი-კაიზერი | 1:0 |
| ტინენი-სტ. ტრუიდენი | 4:2 |
| ვაასლანდი-ლოკერენი | 0:2 |
| ვილემი-გენკი | 1:0 |
| შტუტგარტი-არსენალი | 1:3 |
| ბრედფორდი-ბარნლი | 1:2 |
| ლეიტონი-ტოტენჰემი | 1:5 |
| ნოტინგემი-სანდერლენდი | 0:1 |
| აეკ-ბურსა | 1:0 |
| ფიორენტინა-ბარსელონა | 1:3 |
| ვილიარეალი-ლივერპული | 0:0 |

| ნორვეგიის თასი | |
|---|---|
| აალესუნდი-ლინი | 1:4 |
| ბოდო გლიმტი-ჰაუგესუნდი | 3:1 |
| ფრედრიკსტადი-ლოვ ჰამი | 5:2 |
| სიოგნდალი-სტაბეკი | 1:3 |
| სტარტა-ოდ გრენლანდი | 2:3 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ნორჩოპინგი-ელფსბორგი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| იორგრიტე-იონჩოპინგი | 1:0 |
| ანგელჰოლმი-ბუნკეფლო | 4:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ტურკუ-კუოპიო | 3:3 |
| **II დივიზიონი** | |
| იიპო-გრანკულა | 6:3 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-სიონი | 3:1 |

| რუსეთი | |
|---|---|
| კრილია-სატურნი | 4:0 |
| ცსკა-ზენიტი | 0:0 |

| უკრაინა | |
|---|---|
| მეტალისტი-ტავრია | 3:0 |

| რუმინეთი | |
|---|---|
| ვასლუი-სტიაუა | 1:0 |

| პერუ | |
|---|---|
| სენსიანო-ხოსე გალვესი | 2:1 |
| ატ. მინერო-მელგარი | 2:0 |

### ჩოგბურთი

| ATP. ცინცინატი (მასტერსი) | |
|---|---|
| ბლეიკი-სიმონი | 6:4, 6:3 |
| გულბისი-კლემანი | 6:4, 3:6, 7:6 |
| ფერერი-ლაპენტი | 6:7, 6:3, 3:6 |
| ბერდიხი-სეპი | 7:5, 5:7, 5:7 |
| მარეი-კუერი | 7:6, 6:1 |
| ჰაასი-მონფილსი | 6:1, 6:0 |
| ანდრეევი-ისნერი | 3:6, 7:6, 7:5 |
| ვერდასკო-გუჩიონე | 7:6, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-ბოლელი | 7:6, 7:6 |
| გასკე-ტურსუნოვი | 6:7, 0:6 |

| WTA. მონრეალი | |
|---|---|
| აზარენკა-ბამერი | 6:2, 6:2 |
| საფინა-პოდიონოვა | 6:2, 6:4 |
| შნიდერი-ნიკულესკუ | 6:1, 7:5 |
| პეტროვა-ტანასუგარნი | 6:3, 6:2 |
| სუგიამა-პეერი | 6:2, 6:2 |
| კირილენკო-დუბუა | 2:6, 6:2, 6:7 |
| პაჩეკი-ჩინკი | 6:4, 7:5 |
| პენეტა-ლაშარდ ბრიტუ | 3:6, 6:0, 3:6 |
| ჩაკვეტაძე-კრეიბასი | 6:2, 7:5 |
| ივანოვიჩი-კვიტოვა | 6:3, 4:6, 6:3 |

| WTA. სტოკჰოლმი | |
|---|---|
| მირზა-ლუა | 6:3, 6:2 |
| სრებოტნიკი-პავლიუჩენკოვა | 6:3, 6:4 |
| შავაი-დუშევინა | 4:6, 6:7 |
| ა. რადვანსკა-კორიტცევა | 6:1, 6:1 |

### ჩემპიონთა ლიგა

| II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები | |
|---|---|
| ტამპერე (ფინეთი)-არტმედია (სლოვაკეთი) | 1:3 |
| შერიფი (მოლდოვა)-სპარტა (ჩეხეთი) | 0:1 |
| ოლბორგი (დანია)-მოდრიცა (ბოსნია) | 5:0 |
| ბეითარი (ისრაელი)-ვისლა (პოლონეთი) | 2:1 |
| ფენერბაჩე (თურქეთი)-მტკ (უნგრეთი) | 2:0 |
| გიოტებორგი (შვედეთი)-ბაზელი (შვეიცარია) | 1:1 |
| ანდერლეხტი (ბელგია)-ბატე (ბელარუსი) | 1:2 |
| ანორთოსისი (კვიპროსი)-რაპიდი (ავსტრია) | 3:0 |
| დომზალე (სლოვენია)-დინამო (ხორვატია) | 0:3 |
| რეინჯერსი (შოტლანდია)-კაუნასი (ლიტვა) | 0:0 |

*საპასუხო მატჩები 5-6 აგვისტოს გაიმართება*

## TV სპორტი

### 31 ივლისი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

21:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. საბერძნეთი-ესპანეთი.
14:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:35 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ალმერია.
17:25 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
21:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 უიქ-ენდის მატჩების ანონსი.
19:40 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი.
21:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:55 ევრო 2008. რუსეთი-შვედეთი.
23:55 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 სპორტკლუბი.
07:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბაიერნი-ვერდერი.
09:00 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
09:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ცინცინატი. აშშ.
14:00 ძრავების საუკარო. ტელეჟურნალი.
14:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბაიერნი-ვერდერი.
16:10 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
18:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
18:25 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
18:55 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. უნივერსიტარიო-დეპორტივო.
20:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ცინცინატი. აშშ.
01:10 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
02:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბაიერნი-ვერდერი.
04:40 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
05:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. რაფაელ ნადალი-ნიკოლას კიფერი. ტორონტო. კანადა.

#### EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა. ჰიკსტედი. ბრიტანეთი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. ჰინტერცარტენი. გერმანია.
13:30 მულტისპორტი.
14:00 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. მონაკო.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. ჰინტერცარტენი. გერმანია.
17:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. მონრეალი. კანადა.
20:00 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
20:15 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. კვალიფიკაცია. შვეიცარია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. IV დღე. მონრეალი. კანადა (LIVE).
22:45 პროფესიული კრივი.
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:45 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური.
12:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ანგოლა-ავსტრალია. ჩინეთი (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. მსოფლიო ტური.
15:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". სერბეთი-არგენტინა. ჩინეთი (LIVE).
17:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ანგოლა-ავსტრალია. ჩინეთი.
18:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
19:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი. დანია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
21:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი. სპეციალური გამოშვება (LIVE).
22:15 ნარდი. მსოფლიო სერია. დანიის ღია პირველობა.
23:15 მულტისპორტი.
00:15 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ანგოლა-ავსტრალია. ჩინეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური.
00:30 კიბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ლოს ანჯელესი. აშშ.
03:00 ახალი ამბები.
03:34 სერფინგი. მსოფლიო ტური.
04:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი გადასახლება: ბოლიდით დაწყებული და სკამით დამთავრებული

## როგორ მოგზაურობენ ფორმულა 1-ის მანქანები

კვირა-ნახევრის წინ, ფორმულა 1-ის ბოლიდები გერმანიის "ჰოკენჰაიმზე" დაქროდნენ, უახლოეს უიქ ენდზე კი, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები ბუდაპეშტში შეიკრიბებიან.

სანამ პილოტის ფეხი მანქანის აქსელერატორის სატერფულს შეეხება, მანამდე თავიანთი საქმის ოსტატებმა ეს გიგანტური მეგა-შოუ, ბოლო ჭანჭიკამდე ახალ ადგილას უნდა გადაიტანონ. ამისთვის მათ 120 კონტეინერში 300 ტონა ბარგის გადანაწილება უწევთ: თითო საჯინიბოს საკონტროლო სია, A4 ფორმატის 80-გვერდიან ტექსტს შეიცავს. არც ერთი საბურავი არ შეეხება ტრასას და არც ერთი ძრავა არ ამუშავდება, სანამ ამ ურთულესი მექანიზმის ყველა დეტალი არ შეერთდება იმ გასაღების წყალობით, რასაც ლოჯისტიკა ჰქვია.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ფორმულა 1-ის სატრანსპორტო უზრუნველყოფით გერმანული კომპანიაა დაკავებული. იდეალურად აწყობილი სამუშაოს წყალობით, ბოლიდები ათასობით კილომეტრს ფარავენ, ქალაქიდან ქალაქში და კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობენ.

ევროპის ტერიტორიაზე ბოლიდები სატვირთო მანქანებზე დაწყობილი სპეციალური კონტეინერებით გადააქვთ. მცირეხნიანი საზღვაო მოგზაურობებისას (მაგალითად, თურქეთში) ძველ მეთოდს იყენებენ - გემით სარგებლობენ, ნახევარსფეროს მეორე ბოლოში გადასასვლელად კი სატრანსპორტო თვითმფრინავები გამოიყენება.

ფორმულა 1-ის "დიდი გადასახლების" ძირითადი პრინციპი ასეთია: რაც შეიძლება ნაკლები ტვირთი და რაც შეიძლება მეტი საჭირო ნივთი უნდა წაიღო. ყოველ გუნდში აუცილებლად არის სამი ბოლიდი (რომელთაგან ერთი სარეზერვოა - ე. წ. T-car), ერთი დამატებითი შასი და ექვსი ერთეული ნებისმიერი სათადარიგო ნაწილი.

კონტეინერებში დაახლოებით 20 ათასამდე დასახელების ნივთია. ყველაზე პატარაა ერთ-ნახევარი მილიმეტრი დიამეტრის ჭანჭიკი, ყველაზე დიდი - აწყობილი ძრავა. ყოველ რბოლაზე, ჯამში 44 ძრავა მიაქვთ. გარდა ამისა, მთელი სარბოლო სეზონისას, ბოლიდებთან ერთად მილიონობით ტონა საწვავი დააქვთ. მას სპეციალურ ცეცხლგამძლე ავზებში ასხამენ (ფორმულა 1-ის სარბოლო მანქანებისთვის განკუთვნილი საწვავი, ჩვეულებრივისგან შემადგენლობით არ განსხვავდება, უბრალოდ, სხვა პროპორციები აქვს). ბოლიდებთან ერთად მოგზაურობს 50 ტონა სატელევიზიო აპარატურა, აგრეთვე, Paddock Club-ში ექსკლუზიური VIP-ზონის აღჭურვილობა.

ცალკე ყუთებში იწყობა კომპიუტერები და ნოუთბუკები, ასობით რაცია და ყურსასმენი, ძალიან დიდი რაოდენობით ხელსახოცი და დაახლოებით 3 ათასი ბოთლი მინერალური წყალი. მომდევნო რბოლის მთავარ მოქმედ პირებთან ერთად მოგზაურობა უწევთ ყავის ავტომატებს, სპორტულ ტრენაჟორებს, მტვერსასრუტებს, კონდიციონერებს, მაგიდებსა და სკამებს... მოკლედ, ყველაფერი თან უნდა ატარო, რადგან ამ ნივთების ადგილზე დაქირავება ან შეძენა გუნდს საკმაოდ დიდი თანხა დაუჯდება.



განსაკუთრებით რთული გადასატანი, თავად ბოლიდი გახლავთ. ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის დროს, ერთმა პატარა დარტყმამაც შეიძლება დააზიანოს ავტომობილი, რომელიც რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს. ამიტომაც, ტრანსპორტირებამდე მას საჭეს, სარკეებს, ფრთებსა და სხვა მგრძნობიარე დეტალებს ხსნიან. ზემოდან და გვერდებზე ბოლიდს დარტყმებისგან ხის პანელები იცავს. ხოლო გადაცემათა კოლოფს სპეციალური მასალით ფუთავენ. ბოლიდს საბურავებს არ ხსნიან. საბოლოოდ, სარბოლო მანქანა სწორედ ასეთი სახით იტვირთება ჯერ მეტალის კონტეინერში, შემდეგ კი სატრანსპორტო თვითმფრინავში ან სატვირთო მანქანაში. და იწყება ახალი თავგადასავალი...

# ფორმულას ახალი ასოციაცია აქვს




### ბრიატორე: ფორმულას გარდაქმნა სჭირდება!

ფრანგული საჯინიბო "რენოს" სპორტულ დირექტორს, **ფლავიო ბრიატორეს** არაერთხელ ულაპარაკია ფორმულა 1-ში გარდაქმნის აუცილებლობაზე. მარანელოს სხდომის გამართვამდე, იტალიელმა დაწვრილებით ისაუბრა იმ ფაქტორების შესახებ, რაც, მისი აზრით, ხელს უშლის ჩემპიონატის პროგრესს.

*"ფედერაციის პრეზიდენტი, მაქს მოსლი ძალიან დიდი ხანი იყო დაკავებული პირადი პრობლემებით და მისი არყოფნა შესამჩნევი გახდა - გუნდებმა მიტოვებულად იგრძნეს თავი. თანხმობის ხელშეკრულება, კალენდარში ეტაპების რაოდენობა, გუნდების გასავალი და შემოსავალი, რბოლების სანახაობითი მხარე - ეს ყველაფერი გადახედვას მოითხოვს. ფორმულა 1-ს გარდაქმნა სჭირდება. იქნებ ჯობს დირექტორი ავირჩიოთ, რომელიც ყველა ამ სამუშაოს შეასრულებს? აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღება ხმების უბრალო უმრავლესობით, რათა არ ველოდოთ ჩემპიონატის ყველა მონაწილის მხარდაჭერას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფორმულა 1 არ განვითარდება.*

*დღეს, შემოსავლის 50 პროცენტი ბერნი ექლსტოუნს ერგება, ჩვენ კი გვთავაზობენ, რომ 50 პროცენტით შევამციროთ ხარჯები. როგორ? დავიწყოთ ძრავებით. ისინი უფრო ეკოლოგიური უნდა გავხადოთ, შევამციროთ საწვავის მოხმარების ხარჯი - ამას გვთავაზობს მოსლი. ეს ღირებულებასა და გუნდის შტატს შეამცირებს, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ძრავის მოდერნიზაცია რეგლამენტით არის აკრძალული. სხვა სერიებში ასეთი შეზღუდვები არ არსებობს და იქ ძალიან წინ წავიდნენ, ჩვენ კი ერთ ადგილს ვტკეპნით. ეს არასამართლიანია"*, - ამბობს ბრიატორე.

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ახალ ორგანიზაციას ქმნიან. სამეფო რბოლების მთავარმა პრომოუტერმა, **ბერნი ექლსტოუნმა** და მისმა ბიზნესპარტნიორმა, კომპანია CVC-ის წარმომადგენელმა **დონალდ მაკენზიმ** მარანელოში, "ფერარის" ბაზაზე მოლაპარაკება გამართეს, რის შემდეგაც, "ფერარის" პრესსამსახურმა მოკლე განცხადება გაავრცელა.

*"დღეს, ფორმულა 1-ის ყველა გუნდის წარმომადგენელი მარანელოში შეიკრიბა და ბერნი ექლსტოუნისა და დონალდ მაკენზის თანდასწრებით, კონსტრუქციული მოლაპარაკებები გამართა. საჯინიბოები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ შეიქმნას ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ახალი ასოციაცია, რათა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან შეათანხმოს პირველობის რეგლამენტი და კომერციული პირობები. მომავალში ეს გახდება ძლიერი და დინამიური სპორტის სახეობის ჩამოყალიბების წინაპირობა"*, - წერია განცხადებაში.

როგორც ჩანს, FIA-ის პრეზიდენტის, **მაქს მოსლის** წინადადებაზე საპასუხოდ სწორედ ახალი ასოციაცია იმუშავებს და ამჯერად, გუნდებს კონსენსუსის მიღწევის მეტი შანსი ექნებათ. საქმე ისაა, რომ არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო აღარ იქნება ერთსულოვანი მხარდაჭება. ადრე, ზოგიერთი გუნდი ბლოკავდა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას და ამას პოლიტიკური თუ სხვა მიზეზით ხსნიდა. ახლა კი, ამ ასოციაციაში კენჭისყრის რეგლამენტი, განსხვავებული იქნება FIA-ის კარნახით მოქმედი ტექნიკური თუ სხვა ჯგუფების სხდომების რეგლამენტისგან.

# ჰეიკი მაკლარენში დარჩება?

გერმანული პრესა საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს "მაკლარენის" მეორე პილოტის, ფინელი **ჰეიკი კოვალაინენის** მომავალი კარიერის შესახებ. ჟურნალისტები "მერსედესის" სპორტული დეპარტამენტის ხელმძღვანელის, **ნორბერტ ჰაუგის** სიტყვებს ეყრდნობიან და წერენ, რომ კოვალაინენი გაისადაც "მაკლარენის" რიგებში იქნება და **ლუის ჰემილტონს** გაუწევს პარტნიორობას.

*"უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰეიკი ჩვენთან დარჩება*, - აცხადებს ჰაუგი, რომელიც ამავდროულად, მოვლენათა განვითარების არც სხვა ვარიანტს გამორიცხავს. - *ამ საკითხთან დაკავშირებით არ ვჩქარობთ. სულაც არ ვართ ვალდებულნი, კონკრეტულ ვადაში მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება"*.

ჰეიკი კოვალაინენს მხოლოდ ამ სეზონისთვის აქვს გაფორმებული "მაკლარენთან" კონტრაქტი. დღეისთვის, ფინელს 28 ქულა აქვს და საერთო ჩათვლაში მე-6 ადგილს იკავებს. იმის გამო, რომ ჰეიკი 30 ქულით ჩამორჩება თანაგუნდელ ლუის ჰემილტონს, უკვე დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რომ კოვალაინენმა ტემპს უნდა მოუმატოს, რათა გუნდის ლიდერის დონეს მიუახლოვდეს და რეალურად დაეხმაროს პარტნიორს ტიტულის მოპოვებაში.

თუმცა "მაკლარენის" ხელმძღვანელობა ამ კრიტიკას არ ეთანხმება და ჰაუგის რეპლიკაც ჰეიკის საბრძოლო განწყობილების ამაღლებას ემსახურება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ფოტოინფო



ამ დღეებში, ბარსელონაში სექსუალურ უმცირესობათა თამაშები (Eurogames-2008) მიმდინარეობს. ეს სინქრონულ ცურვაში იტალიის ნაკრებია, რომელიც თავისი კომპოზიციის შესასრულებლად ემზადება.